

ქანონისმიერი და დელიქტური პაუდაბულებანი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2018, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2018, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2018, №4

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2018, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **გიორგი ჭყონიკა**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299 04 18; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

1.1 საზიარო უფლებები

საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-826-792-2016

14 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისში, დ-ის შესახვევი №8-ში მდებარე 526კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებულ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია ნაგებობა №1 საერთო ფართობით 553.68კვ.მ, საიდანაც თ. მ-ის (შემდგენი: მოსარჩელე) არის 1/4 ნაწილი; ამავე შენობიდან ე. თ-ის საკუთრებაა 1/8 ნაწილი და №1 შენობის „ა“ ნაწილზე მეორე სართულზე მიშენება (ვერანდა). ვ. ბ-ის საკუთრებაა №1 შენობის „ა“ ნაწილში ორ სართულზე მშენებარე მიშენებიდან 1/2 ნაწილი. გ. ჩ-ის საკუთრებაა მანსარდის საერთო სართული ფართობით 115.19 კვ.მ; მ. ზ-ის საკუთრებაა ნაგებობა №1-დან (საერთო ფართობით 553.68 კვ.მ) 1/4 ნაწილი და №1 შენობის „ვ“ ნაწილში მე-3 სართულზე, საერთო ფართობით 115.19 კვ.მ-დან 57.60 კვ.მ; ლ. ზ-ის საკუთრებაა ნაგებობა №1 (საერთო ფართობით 553.68 კვ.მ) 1/4 ნაწილი; ქ. ლ-ის საკუთრება №1 შენობის „ვ“ ნაწილში მე-3 სართულიდან (საერთო ფართობით 115.19 კვ.მ-დან) 57.59 კვ.მ; ა. ბ-ის საკუთრება ნაგებობა №1-დან (საერთო ფართობით 553.68კვ.მ) 1/8 ნაწილი, №1 შენობის „ა“ ნაწილში ორ სართულზე მშენებარე მიშენებიდან 1/2 ნაწილი და №1 შენობის „ა“ ნაწილში ერთსართულიანი მშენებარე მიშენების 1/2 ნაწილი; ი. გ-ის საკუთრებაა №1 შენობის „ბ“ ნაწილში

მანსარდის სართულის 1/2 ნაწილი. ა. ბ-ის საკუთრებაა №1 შენობის „ბ“ ნაწილში მანსარდის სართულის 1/2 ნაწილი და №1 შენობის „ა“ ნაწილში ერთ სართულიანი მშენებარე მიშენების 1/2 ნაწილი (იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

2. საზიარო უძრავი ქონების №1 შენობა-ნაგებობიდან პირველ სართულზე განთავსებული 137.22 კვ.მ. ფართი დაკავებული აქვთ ვ. ბ-ის უფლებამონაცვლეებს გ. ბ-სა და ა. ბ-ს (შემდეგში: მოპასუხეები, აპელანტები ან კასატორები).

3. საზიარო უძრავი ქონებიდან მოსარჩელის კუთვნილი 1/4 წილის შესაბამისად, ტექნიკურად შესაძლებელია გაიმიჯნოს №1 შენობა-ნაგებობიდან პირველ სართულზე განთავსებული 137.22 კვ.მ. ფართი, რაც დასტურდება მის მიერ წარდგენილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 28 იანვრის ექსპერტიზის დასკვნით (შემდეგში: ექსპერტიზის დასკვნა), რომლის შესაბამისად, მოსარჩელეს 1/4 წილის შესაბამისად ეკუთვნის 138.42 კვ.მ.; ტექნიკურად შესაძლებელია მოსარჩელის 1/4 წილის შესაბამისად გამოიყოს №1 შენობა-ნაგებობიდან პირველ სართულზე განთავსებული 137.22 კვ.მ. ფართი, დასკვნაზე თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

4. სასარჩელო მოთხოვნა და საფუძვლები

4.1. მოსარჩელემ 2011 წლის 7 თებერვალს სარჩელი აღძრა ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული პირებისა და მე-2 პუნქტში დასახელებული მოპასუხეების წინააღმდეგ და მოითხოვა საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით, მოპასუხე ვ. ბ-ის უფლებამონაცვლეების უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვა და მოსარჩელისათვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა;

4.2. მოსარჩელემ საზიარო საგანზე საკუთრების უფლება შეიძინა 2010 წელს სააღსრულებო ბიუროს მიერ ჩატარებულ იძულებით აუქციონზე, რომელიც მანამდე ვ. ბ-ის (იხ. მე-2 პუნქტი) საკუთრება იყო. ამჟამად ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლებები აგრძელებენ მოსარჩელის საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაში ცხოვრებას და მოსარჩელე ვერ სარგებლობს კუთვნილი ქონებით.

5. მოპასუხეთა შესაგებელი

5.1. მოპასუხეებმა არ ცნეს მათ წინააღმდეგ აღძრული სარჩელი, სადავოდ გახადეს პირველ სართულზე განთავსებული 137.22 კვმ ფართის მოსარჩელის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებობის ფაქტი იმ დასაბუთებით, რომ საზიარო საგანი გამიჯნული არ იყო;

5.2. მოპასუხეთა მტკიცებით, მოსარჩელე რაიმე სახის ფაქტობრივ ფლობას არ ახორციელებს სადავო უძრავი ქონების მისამართზე. ვერ დგინდება საზიარო უძრავი ქონებიდან მოსარჩელის საკუთრების უფლება კონკრეტულ ფართზე.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

6.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა:

6.1.1. გაუქმდა ქ. თბილისში, დ-ის შესახვევი №8-ზე თანამე-საკუთრეთა შორის საზიარო უფლება და მოსარჩელეს ინდივი-დუალურ საკუთრებაში გამოეყო 1/4 წილის შესაბამისად ზემო-აღნიშნულ მისამართზე მდებარე №1 შენობიდან პირველ სარ-თულზე განთავსებული 137.22 ფართი ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი);

6.1.2. მოპასუხეთა მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ზე-მოაღნიშნული ფართი და გამოთავისუფლებულ მდგომარეობა-ში გადაეცა მოსარჩელეს.

6.2. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არ არ-სებობდა უდავო ფაქტობრივი გარემოებები და წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში მითითებული გარემოებები დაად-გინა მხარეთა განმარტებების, ექსპერტის დასკვნის საფუძველ-ზე. ამასთან მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე მუხლის პირველი ნაწი-ლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარე-მოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ გარე-მოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატა-ციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებე-ბითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

6.3. მოსარჩელემ საზიარო საგნის ნატურით გამიჯვნის შე-საძლებლობის დასადასტურებლად სასამართლოს წარუდგინა ამ განჩინების მე-3 პუნქტში მითითებული ექსპერტიზის დას-კვნა.

6.4. სასამართლომ იმის დასადგენად, შესაძლებელი იყო თუ არა საზიარო საგანზე საზიარო უფლების ნატურით გამიჯვნა თითოეული მესაკუთრის წილის პროპორციულად ღირებულე-

ბის შემცირების გარეშე, რა ფართს ფლობდა თითოეული თანამესაკუთრე სახლთმფლობელობაში და შეესაბამებოდა თუ არა დაკავებული ფართები თითოეულის კუთვნილ იდეალურ წილს, ტექნიკური თვალსაზრისით რა თანმიმდევრობით იყო შესაძლებელი მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გამოყოფა თანამესაკუთრეებს შორის, 2011 წლის 25 ნოემბრის განჩინებით დანიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა (იხ. სსსკ-ის 162-ე-163-ე მუხლები).

6.5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განჩინებით საქმე ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაეგზავნა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, მხარეებს დაევალიათ უზრუნველყოთ ექსპერტების დაშვება გამოსაკვლევ ობიექტზე. მხარეებს ასევე განემარტათ, რომ თუ არასაპატიო მიზეზით არ შეასრულებდნენ ექსპერტის მითითებებს ან სხვაგვარად შეუშლიდნენ ხელს ექსპერტიზის ჩატარებას მოწინააღმდეგის პოზიცია ჩაითვლებოდა დადასტურებულად. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 17 სექტემბრის წერილის თანახმად, ექსპერტიზა ვერ ჩატარდა იმ მიზეზით, რომ მოპასუხემ საექსპერტო კვლევისათვის განკუთვნილ ვადაში არ გააფორმა საექსპერტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით საქმე კვლავ გაიგზავნა ექსპერტიზაზე. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 28 აპრილის წერილის თანახმად, მოპასუხეებმა ექსპერტი არ დაუშვეს გამოსაკვლევ ობიექტზე, რა მიზეზითაც ექსპერტიზა არ ჩატარდა.

6.6. სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-4 მუხლის მიხედვით, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტის მითითებებს ან სხვაგვარად უშლის ხელს ექსპერტიზის ჩატარებას, მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია ჩაითვლება დადასტურებულად.

6.7. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეებმა არ შეასრულეს ექსპერტის მითითებები, რითაც შეუშალეს ხელი ექსპერტიზის ჩატარებას. მიუხედავად იმისა, რომ მათ არაერთხელ განემარტათ ექსპერტის მითითებების შეუსრულებლობის ან სხვაგვარად ხელშეშლის სამართლებრივი შედეგები. სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, მოსარჩელის პოზიცია, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 28 იანვრის დასკვნის მიხედვით, საზიარო უძრავი ქონებიდან მისი კუთვნილი წილის შესაბამისად, №1 შენობის პირველ სართულზე 137.22 კვ.მ. ფართის ნატურით გამოყოფის შესაძლებლობის შესახებ, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია.

6.8. სსკ-ის 173-ე მუხლის თანახმად, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. ამავე კოდექსის 953-ე მუხლის შესაბამისად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. 954-ე მუხლის მიხედვით, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი.

6.9. სსკ-ის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება, ხოლო 963-ე მუხლის მიხედვით, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. აღნიშნული ნორმის დანაწესით, კანონმდებელი ადგენს ქონების ნატურით გაყოფისათვის ორ წინაპირობას: ნივთი უნდა დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად და ნივთი უნდა გაიყოს ღირებულების შემცირების გარეშე. ამდენად, საზიარო უფლების გაუქმება შესაძლებელია თუ ნივთი შესაძლებელია გაიყოს ორ ან მეტ დამოუკიდებელ ნაწილებად მათი ღირებულების (საგნობრივი დანიშნულების) შემცირების გარეშე.

6.10. სასამართლომ განმარტა, რომ ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფისას, მხედველობაში მიიღება ცალკეული ნაწილის მნიშვნელობა საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით, მისი მდებარეობა და განლაგება, ხოლო რაც შეეხება ნივთის ღირებულების შემცირებას, მასში იგულისხმება ნივთის ისეთი გაყოფა, რის შედეგადაც არ დაიკარგება ნივთის საყოფაცხოვრებო დანიშნულება.

6.11. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საზიარო საგნიდან შესაძლებელი იყო გამიჯნულიყო მოსარჩელის კუთვნილი 1/4 წილის შესაბამისად, №1 შენობის პირველ სართულზე განთავსებული ფართი 137.22 კვ.მ. ექსპერტიზის დასკვნაზე თანდართული დანართი 1-ის მიხედვით.

6.12. სსკ-ის 170-ე მუხლის შესაბამისად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქ-

მედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

6.13. სსკ-ის 173-ე მუხლის თანახმად, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარეგნობის საფუძველზე. ამავე კოდექსის 953-ე მუხლის შესაბამისად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. 954-ე მუხლის მიხედვით, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონილეს ეკუთვნის თანაბარი წილი.

6.14. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე, როგორც მე-საკუთრე ითხოვდა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას, შესაბამისად, აღნიშნული სარჩელი ვინდიკაციური იყო და მის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სსკ-ის 172-ე მუხლი, რომლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. აღნიშნული ნორმის შინაარსი, თავის მხრივ, სამ ელემენტს შეიცავს: მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, მოპასუხე ნივთის მფლობელი და მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

6.15. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და მხარეებს შორის სადავო არ იყო, რომ საზიარო საგნის იმ ნაწილს, რომელიც საზიარო საგნის გამიჯვნის შედეგად მოსარჩელეს მიეკუთვნა ფლობდნენ მოპასუხეები. საზიარო უფლების გაუქმების შემდეგ ამ ფართით სარგებლობისათვის მათ სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდათ, არსებობდა ყველა წინაპირობა, რაც მოსარჩელეს ანიჭებდა უფლებამოსილებას, მოეთხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და უძრავი ქონებიდან მისი კუთვნილი წილის მოპასუხისაგან გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა.

7. მოპასუხეთა სააპელაციო საჩივრის საფუძველები

7.1. მოპასუხეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვეს, რომლითაც არ დაკმაყოფილდებოდა სარჩელი.

7.2. აპელანტებმა შემდეგ პრეტენზიებზე მიუთითეს:

7.2.1. ქვემდგომმა სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მხარემ ხელი შეუშალა სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის ჩატარებას. ექსპერტიზის ჩატარების შესახებ შეტყობინება ეგზავნებოდა ვ. ბ-ის წარმომადგენელს, ვ. ბ-ი აღარ წარმოადგენდა დავის მონა-

წილეს მისი გარდაცვალების გამო და, შესაბამისად, წარმომადგენელი მისი სახელით ველარ იმოქმედებდა. აღნიშნული გარემოების შესახებ ექსპერტს ეცნობა;

7.2.2. ამის შემდეგ სწორი საპროცესო ფორმის დაცვით შეტყობინება მოპასუხეებთან ამგვარი ხელშეკრულების დადების შესახებ აღარ მისულა;

7.2.3. სასამართლომ გამოიყენა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით დადგენილია, რომ მოსარჩელეს 1/4 წილის შესაბამისად ეკუთვნის 138.42 კვ.მ. და რომ ტექნიკურად შესაძლებელია, რომ მას გამოეყოს №1 შენობა-ნაგებობიდან პირველ სართულზე განთავსებული 137.22 კვ.მ. ფართი, დასკვნაზე თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად. აპელანტის მტკიცებით, აღნიშნული დასკვნა შეიცავდა მონაცემებს იმის შესახებ, რომ კონკრეტული ფართი, კონკრეტული წილის შესაბამისად შეიძლებოდა რეალურად გამიჯნულიყო, თუმცა საზიარო უფლების გაუქმება ნიშნავს, რომ ეს უფლება უქმდება ყველა თანამესაკუთრისათვის და მათი წილის შესაბამისად მიეკუთვნებათ ფართი ინდივიდუალურ საკუთრებაში;

7.2.4. აპელანტის მოსაზრებით, დასკვნა არ შეიცავდა მონაცემებს სხვა თანამესაკუთრების შესახებ, რამაც გამოიწვია სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის უკანონოდ ფორმირება, რადგან სასამართლომ მხოლოდ მოსარჩელის ნაწილში მიიღო საზიარო უფლების გაუქმების გადაწყვეტილება და სხვა თანამესაკუთრების უფლებები არ გადაწყვიტა, რაც საზიარო უფლების გაუქმების დროს სამართლებრივად დაუშვებელია.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 მაისის განჩინება და დასკვნები

8.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

8.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები და მიუთითა მათზე (სსსკ-ის 390.3-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

8.3. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა მტკიცება, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლომ გადაწყვეტილება საზიარო უფლების გაუქმების შესახებ მიიღო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მხოლოდ მოსარჩელის ნაწილში და

სხვა თანამესაკუთრეების უფლებები არ გადაწყვიტა. ამ კონტექსტში სსკ-ის 961-ე, 963-ე მუხლებზე მიუთითა და განმარტა, რომ დასახელებული ნორმების შესაბამისად, საზიარო უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნის რეალიზაცია დამოკიდებულია ამ უფლების მფლობელ პირთა მდგომარეობასა და ინტერესებზე. საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას დასაშვებია, საზიარო უფლების მონაწილეთა წილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზიარო საგნის (საგნების) ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. ერთგვაროვნებასთან ერთად, გაყოფამ საზიარო საგანს არ უნდა დაუკარგოს ის სამომხმარებლო ღირებულება, რაც მას გაყოფამდე გააჩნდა. ნივთის ღირებულებაში იგულისხმება მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულება და არა მხოლოდ ღირებულება გამოხატული ფულადი ერთეულით;

8.4. სასამართლომ იმაზეც მიუთითა, რომ სსკ-ის 963-ე მუხლი უშვებს საზიარო საგნის ნატურით გაყოფას, ნივთის (საზიარო საგნის) ტექნიკურად ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობის შემთხვევაში, თუმცა, არ შეიცავს არავითარ დათქმას საზიარო საგნის სათანადო გადაკეთებების შედეგად მიღებულ შესაძლებლობებზე. დასახელებული ნორმის დანაწესი მიუთითებს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი საზიარო საგნის ნატურით გაყოფა, თუ იგი გაყოფის შედეგად არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას და ამასთან, გამოყოფილი ნაწილები იქნება ერთგვაროვანი როგორც ფუნქციონალური, თვისობრივი, ასევე, მისგან გამომდინარე ღირებულების თვალსაზრისით, რაშიც გაითვალისწინება ობიექტის საყოფაცხოვრებო დანიშნულება;

8.5. მოცემულ შემთხვევაზე მსჯელობისას, სასამართლომ განმარტა, რომ ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ქონებაზე თითოეულ მესაკუთრეს ინდივიდუალურად აქვს სარგებლობაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მისი კუთვნილი წილის შესაბამისი ფართები. საზიარო უფლების ნატურით გაყოფის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა კონკრეტულმა პირმა და მოითხოვა გამოყოფა თავის წილ ფართზე, რაც არ ნიშნავს ავტომატურად დანარჩენი თანამესაკუთრეების საზიარო უფლების გაუქმებას. დანარჩენ თანამესაკუთრეებს უფლება აქვთ დარჩნენ ერთმანეთთან საზიარო უფლებით, ან მათაც მიმართონ სასამართლოს თავისი წილის გამოყოფის მოთხოვნით;

8.6. სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველ-

ზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაუდონ საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სასამართლომ მიუთითა ასევე სსსკ-ის 102-ე მუხლზე და განმარტა, რომ დასახელებულ ნორმათა შესაბამისად, ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების ვალდებულება ეკისრებოდათ მხარეებს, რომლებიც თავის სამართლებრივ მოთხოვნას აფუძნებდნენ კონკრეტულ გარემოებებზე. საპროცესო კოდექსი ადგენს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს. მხარეს, რომელიც თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს აფუძნებს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, ეკისრება მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი.

8.7. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ საზიარო უფლების ნატურით გაყოფის შესაძლებლობის დასადასტურებლად სასამართლოს წარუდგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის შესაბამისად, მოსარჩელეს 1/4 ნილის შესაბამისად ეკუთვნის 138.42 კვ.მ. აღნიშნული დასკვნით დადგინდა, რომ ტექნიკურად შესაძლებელი იყო მოსარჩელის 1/4 ნილის შესაბამისად №1 შენობა-ნაგებობიდან პირველ სართულზე განთავსებული 137.22 კვ.მ. ფართის გამოყოფა დასკვნაზე თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

8.8. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ მოცემულ საქმეზე განჩინებით დაადგინა ექსპერტიზის ჩატარება და მოპასუხეებს არაერთხელ განემარტათ ექსპერტის მითითებების შეუსრულებლობის ან სხვაგვარად ხელშეშლის სამართლებრივი შედეგების შესახებ სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-4 მუხლის შესაბამისად, საქმის მასალებიდან დგინდებოდა, რომ მოპასუხეებმა არ შეასრულეს ექსპერტის მითითებები, რითაც შეუშალეს ხელი ექსპერტიზის ჩატარებას.

8.9. აპელანტებმა (მოპასუხეებმა) შესაბამის მტკიცებულებებზე მითითებით ვერ დაადასტურეს, რომ საზიარო საგანი არ იყო გამიჯნული, რომ არ დგინდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლება საზიარო უძრავი ქონებიდან კონკრეტულ ფართზე და იგი რაიმე სახის ფაქტობრივ ფლობას ამ მისამართზე არ ახორციელებდა. საქმეში წარდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდებოდა, რომ ამ განჩინების პირველ პუნქტში მი-

თითებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ უძრავ ქონებაზე, რეგისტრირებული იყო მოსარჩელისა და სხვა პირთა საკუთრების უფლება.

8.10. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მოპასუხეების მიერ ექსპერტიზის ჩატარებისათვის ხელშეშლას და დადასტურებულად მიიჩნია მოსარჩელის პოზიცია, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საზიარო უძრავი ქონებიდან მისი კუთვნილი წილის შესაბამისად, №1 შენობის პირველ სართულზე 137.22 კვ.მ. ფართის ნატურით გამოყოფის შესაძლებლობის შესახებ, რაც სამართლებრივად ეფუძნება სსკ-ის 170-ე, 172-ე მუხლებს.

8.11. მოცემული დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი იყო, დადგენილიყო მოსარჩელის საკუთრების უფლება სადავო საზიარო უძრავი ქონების №1 შენობა-ნაგებობიდან პირველ სართულზე განთავსებულ 137.22 კვ.მ. ფართზე. საჯარო რეესტრის ამონაწერით ასეთი უფლება დგინდებოდა.

8.12. სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ სსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, რაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველი იყო.

9. მოპასუხეთა საკასაციო პრეტენზიები

9.1. მოპასუხეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება ხელახლა განსახილველად სარჩელის უარყოფა სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების იდენტურ არგუმენტებზე დაყრდნობით. კასატორები აკრიტიკებენ სააპელაციო სასამართლოს დაკვენებს მოპასუხეთა მიერ ექსპერტიზის ხელშეშლასთან დაკავშირებით და მიაჩნიათ, რომ აღნიშნული არასწორადაა დადგენილი (იხ. ამ განჩინების 7.2 ქვეპუნქტი).

10. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

10.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო სა-

ჩივრების დასაშვებობის საფუძვლების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშვებელია, შემდეგი არგუმენტაციით:

11. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

12. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

13. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ-ები №ას-332-309-2010 28.10.2010 წ.; №ას-67-65-2014, 31.07.2014 წ.; №ას-954-904-2015, 11.12.2015).

14. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებიც რომ ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო საჩივრების დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედ-

ვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება აქვს გამოკვლეული და მართებული იურიდიული კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული განსახილველ სამართალურთიერთობას. კასატორის პრეტენზიები არაკვალიფიციურია და არ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები, ხელახლა განსახილველად საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის დასაბრუნებლად.

17. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მართებულად იმსჯელა და გადაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, რაც სამართალწარმოებისას მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით დადგენილი ფუნდამენტური უფლების რეალიზაციას ემსახურება

18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 963-ე მუხლის მიხედვით, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულ მონილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ სამოქალაქო კოდექსი იცნობს საზიარო უფლების გაუქმების ორ შესაძლებლობას, საზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით (963-ე მუხლი) და საზიარო უფლების გაუქმებას საზიარო საგნის გაყოფის გზით (964-ე მუხლი). ეს უკანასკნელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია.

19. ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობა და დასკვნები შეესატყვისება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, კერძოდ ზემოხსენებული ნორმა, ორ აუცილებელ წინა-

პირობაზე უთითებს – საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადავო უძრავი ქონებიდან მოსარჩელის კუთვნილი ნაწილის გამოყოფა, შესაძლებელია ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

20. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განამარტა, რომ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების საფუძველზე, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ თანასაკუთრების გაყოფა მის მიერ მოთხოვნილი წესით შესაძლებელია, მოსარჩელეს ეკისრებოდა. ნატურით გამიჯვნის მოთხოვნისას, სადავოობის შემთხვევაში, სასამართლო, 963-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ამონმებს გაყოფის შედეგად მიღებული საგნების ერთგვაროვნებას და ღირებულებას, რაც გაყოფის შედეგად მიღებული საგნების (მინის ნაკვეთების) ფუნქციური დანიშნულების და მისი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობას, ასევე ინფრასტრუქტურულ მოწყობასაც ითვალისწინებს“ (სუსგ №ას-661-628-20145; 30.09.2015). განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებების მიხედვით, ზემოხსენებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, დადგენილია საზიარო უფლების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, რადგან მოსარჩელემ, მისი წილი ტვირთის მტკიცების ფარგლებში, დამაჯერებელი მტკიცებულება წარადგინა ექსპერტიზის დასკვნის სახით, ხოლო მოპასუხეებმა საკუთარი უფლების რეალიზაციისათვის არათუ სამართლებრივად ვარგისი მტკიცებულებები არ წარადგინეს, არამედ სასამართლოს მიერ გამოსაკვლევი საკითხისათვის დანიშნული ექსპერტიზის ჩატრებასაც კი არ შეუწყვეს ხელი. ამ კონტექსტში კასატორის პრეტენზია სრულიად არაკვალიფიციურია, რადგან მოპასუხეები იურიდიული დასაბუთების ნაცვლად, უთითებენ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც სამართლებრივად უსაფუძვლოა.

21. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიებს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობასა და სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბ-

რუნების თაობაზე, ვინაიდან მოპასუხეებს არ წარუდგენიათ სასამართლოსათვის სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომლითაც, მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობა დადასტურდებოდა.

22. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, რაც გამოორიცხავს მისი დასაშვებად ცნობის სამართლებრივ შესაძლებლობას.

23. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის გამო, კასატორს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3 მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. ბ-ის, გ. ბ-ისა და ი. გ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. ი. გ-სა (პ/ნ 0..) და ა. ბ-ს (პ/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე ზ. ბ-ის (პ/ნ 0..) მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის (გადახდის თარიღი 2016 წლის 31 ოქტომბერი), 70% – 210 (ორას ათი) ლარი;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

1.2 უსაფუძვლო გამდიდრება

ვითომ-კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-294-281-2015

26 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც კომისია) 2007 წლის 27 დეკემბერს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ე-ში მდებარე 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი) რ. კ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი) საკუთრების უფლება აღიარა და საკუთრების უფლების მონაწილეობა (№3621) გასცა, რომლის საფუძველზეც მოპასუხე 11.01.2008 წელს საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ აღირიცხა.

2. მოპასუხემ მიწის ნაკვეთი ორ ნაწილად გაყო (1800 კვ.მ და 200 კვ.მ) და 200 კვ.მ მიწის ნაკვეთი 2008 წლის 25 მარტს 5000 ლარად მიჰყიდა მ. დ-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მყიდველი).

3. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ზემოაღნიშნული საკუთრების უფლების მონაწილეობა, ასევე, ბათილად იქნა ცნობილი მისი გაცემის საფუძველად არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილება. 19.09.2008 წლის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

4. 2009 წლის 24 ივლისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ მოპასუხეს 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარი უთხრა.

5. 2014 წლის 23 მაისს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ-მა სააგენტომ (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, კასატორი ან სააგენტო) სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ 5000 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე ამტკიცებდა, რომ მოპასუხემ გაყიდა სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთი და მყიდველისაგან მიღებული 5000 ლარით უსაფუძვლოდ გამდიდრდა, რაც სახელმწიფოს უნდა დაბრუნებოდა.

6. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა, როგორც მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი, ისე მისი განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებითვე კომისიას დაევალა, არსებითი საკითხების გამოკვლევის შემდეგ, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. მიუხედავად ამისა, კომისიას ახალი აქტი არ გამოუცია და არც საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ უმსჯელია. მოპასუხის განმარტებით, იგი დღესაც სარგებლობს სადავო მიწის ნაკვეთით, ვინაიდან სწორედ ამ ნაკვეთზე მდებარეობს მისი საცხოვრებელი სახლი, ხოლო მიწის ნაკვეთის ნაწილი გაასხვისა, როგორც საკუთარი და არ იცოდა, რომ მასზე ვინმეს პრეტენზია ჰქონდა. ამდენად, მოპასუხის მტკიცებით, იგი უსაფუძვლოდ არ გამდიდრებულია. შესაგებლის მიხედვით, სარჩელი ხანდაზმულია, ვინაიდან მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან სამ წელზე მეტია გასული.

7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით:

7.1 სარჩელი დაკმაყოფილდა;

7.2 მოპასუხეს დაეკისრა 5000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

8. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 987-ე მუხლის მეორე ნაწილი, 982-ე და 991-ე მუხლები, 128-ე, 129.1, 130-ე მუხლები და დაასკვნა:

8.1. მოპასუხემ 5000 ლარი მიიღო იმ ქონების საფასურად, რომელიც მისი საკუთრება არ იყო. ამ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება სასამართლომ გააუქმა, ხოლო მას არც სასამართლო გადაწყვეტილება და არც კომისიის ის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა მისი საკუთრება, არ გაუსაჩივრებია.

8.2. კომისიამ სადავო ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება 2007 წელს აღიარა, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით საკუთრების უფლების დამდგენი საბუთი გაბათილდა. სასამართლოს მითითებით, მოპასუხემ იცოდა, რომ ქონებაზე საკუთრების უფლება უკანონოდ ჰქონდა მოპოვებული, რის გამოც მას ქონება არ უნდა გაესხვისებინა, ხოლო მიღებული ქონებრივი სარგებელი – 5000 ლარი იმ პირს უნდა დაუბრუნდეს, რომლის ხარჯზეც მოპასუხე გამდიდრდა. სასამართლოს დასკვნით, ამ გზით მოსარჩელეს თავდაპირველი ქონებრივ-სამართლებრივი მდგომარეობა აღუდგებოდა.

8.3. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაზე სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები არ უნდა გავრცელდებულყო. ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე ხანდაზმულობის სპეციალური ვადა არ იყო დაწესებული, შესაბამისად, მასზე საერთო ათწლიანი ვადა გავრცელდებოდა (სსკ-ის 128.3 მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის საკუთრების უფლებისა და შემდეგ 200 კვ.მ მიწის ნაკვეთის გასხვისების შესახებ მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოსარჩელისათვის გაგზავნილი 2014 წლის 16 მაისის წერილით შეიტყო. შესაბამისად, მოსარჩელემ დარღვეული უფლებების შესახებ გაიგო და მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2014 წლის 16 მაისს, სარჩელი კი აღძრულია 2014 წლის 23 მაისს. ამდენად, მოპასუხის მტკიცება, სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:

9.1. სასამართლომ არასწორად შეაფასა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება, რადგან არ იმსჯელა, რომ ამ გადაწყვეტილებით აღიარების კომისიას დაევალა ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რაც არ შესრულდა. გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხე ოჯახთან ერთად ამჟამადაც ფლობს აღნიშნულ ნაკვეთს.

9.2. აპელანტის მტკიცებით, მან სადავო მიწის ნაკვეთი გაასხვისა კანონიერად, რადგან უძრავი ქონება საჯარო რეესტრში მის საკუთრებად იყო რეგისტრირებული.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა პალატის 2015 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით:

- 10.1. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;
- 10.2. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
- 10.3. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

11.1. სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 982.1 მუხლის საფუძველზე სარჩელი არ იყო დაკმაყოფილებადი, ვინაიდან ამ ნორმიდან გამომდინარეობს, რომ პირი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი მხოლოდ სხვისი ქონების განკარგვის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში კი, მართალია, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის სახელზე გაცემული საკუთრების მონაბა, მაგრამ, ამავე გადაწყვეტილებით, სასამართლომ საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერის გაუქმება დაუკავშირა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტს. ამგვარად, აშკარაა, რომ სასამართლომ განსაზღვრა ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეწყვეტის ვადა – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დრო, ე.ი. 2008 წლის 10 დეკემბერი. ეს კი ნიშნავს, რომ 2008 წლის 10 დეკემბრამდე გასაჩივრებულ აქტს სამართლებრივი ძალა ჰქონდა და შედეგებს წარმოშობდა.

11.2. პალატამ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ 2008 წლის 25 მარტს იგი სადავო ნაკვეთის მესაკუთრე იყო და სხვისი ქონება არ განუკარგავს. შესაბამისად, აპელანტი მონინალმდევე მხარის ხარჯზე უსაფუძვლოდ არ გამდიდრებულა.

11.3. პალატამ ასევე განმარტა, რომ მოსარჩელე მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას სსკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის სხვა საფუძველით ვერ მოითხოვდა, რადგან მხარეთა შორის ხელშეკრულება არ არსებობდა, ხოლო დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხანდაზმული იქნებოდა.

11.4 პალატამ სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებითაც გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და განმარტა, რომ, როგორც ზიანის არსებობის ფაქტის, ასევე, მის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ, სახელმწიფომ, ვის ინტერესებსაც წარმოადგენს მოსარჩელე, იცოდა გარიგების დადების მომენტისთანავე, ამიტომ, მას მოთხოვნის უფლებაც სწორედ ამ დროიდან წარმოეშვა. 2008 წლის 25 მარტიდან სარჩელის აღძვრამდე კი, სამ ნელზე მეტი გავიდა. ამდენად, პალატამ სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა.

12. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

12.1. სადავო შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს ხელყოფის კონდიქციის სპეციალური წესი (სსკ-ის 982.1), ვინაიდან ამ შემთხვევაში ზიანში მოიაზრება არა ზიანის ანაზღაურება, არამედ გამდიდრების გათანაბრება, რაც გულისხმობს, რომ ხელმყოფმა უფლების მქონე პირს უნდა გაუთანაბროს მის უფლებაში ჩარევა.

12.2. მოპასუხემ გაასხვისა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მას საკუთრების უფლება აღარ გააჩნდა, შესაბამისად, სახელმწიფოს წარმოეშვა ამ ქონების ხელმყოფისაგან ამოღების უფლება. საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, მყიდველის კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, ხოლო მოპასუხის არაკეთილსინდისიერება კომისიის 2009 წლის 24 ივლისის №23 ოქმით დასტურდება, სადაც მითითებულია, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე არსებული საცხოვრებელი ფართის მართლობიერი მფლობელი არა მოპასუხე, არამედ სხვა პირია.

12.3. რაც შეეხება გათანაბრების ოდენობის განსაზღვრის საკითხს, სააგენტო დაეყრდნო ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც მოპასუხემ ქონება 5000 ლარად გაასხვისა.

12.4. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. მისი მტკიცებით, საქმის მასალებითაც დასტურდება, რომ 2014 წლის 16 მაისამდე სააგენტო ოფიციალურად ჯერ კიდევ არ ფლობდა ინფორმაციას და დავის დაწყებისათვის საჭირო დოკუმენტაციას, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა გასული არ იყო.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 სექტემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

14. სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სა-

კასაცო სარჩივარი შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამართლის ნორმები დარღვეულად მიიჩნევა, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

15. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა მატერიალური სამართლის ნორმები და, შესაბამისად, იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

16. მოცემულ საქმეში მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის 5 000 ლარის დაკისრების თაობაზე ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: სადავო უძრავი ნივთის თავდაპირველი მესაკუთრე იყო სახელმწიფო. ამ ნივთზე აღიარებულ იქნა მოპასუხის საკუთრების უფლება. 2008 წლის 11 იანვრიდან საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო მოპასუხე. 2008 წლის 25 მარტს მან მიწის ნაკვეთის ნაწილი (200 კვ.მ.) 5 000 ლარად გაასხვისა. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საკუთრების უფლების მონაწილეობა, ასევე, ბათილად იქნა ცნობილი მისი გაცემის საფუძველად არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებაც.

17. მოპასუხისათვის 5 000 ლარის დაკისრების სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელე მიუთითებდა უსაფუძვლო გამდიდრების, კერძოდ კი, ხელყოფის კონდიქციის ნორმაზე (სსკ-ის 982.1 მუხლი). ამავე ნორმით იხელმძღვანელებს ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო არ არის შეზღუდული მოსარჩელის მიერ მითითებული მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი საფუძველით, მოსარჩელის მიერ მითითებული ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ

მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში) და 979-ე მუხლის მეორე ნაწილი (თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით).

18. შესრულების კონდიქცია გულისხმობს ვითომ კრედიტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი ან ამგვარი საფუძველი, ნორმაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო, არ წარმოიშობილა, ან შემდგომ შეწყდა. სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გარიგების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი უკავშირდება გარიგების დადებამდე არსებულ ვითარებაში დაბრუნებას, ანუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, რაც არარა გარიგებით მიიღეს მხარეებმა, უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს. სსკ-ის 982-ე მუხლით კი, რომელიც ხელყოფის კონდიქციის მომწესრიგებელ ნორმას განეკუთვნება, მოთხოვნა წარმოიშობა სხვის სამართლებრივ სივრცეში უნებართვო ჩარევითა და ამით ქონებრივი სარგებლის მიღებით.

19. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოპასუხეს სახელმწიფომ კანონის საფუძველზე („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის 15.09.2007წ. №525 ბრძანებულება) ქონება საკუთრებაში გადასცა მიზანმიმართულად (შესრულების კონდიქცია). მოპასუხემ საკუთრების მონაშობის გაუქმებამდე, კერძოდ, 25.03.2008 წელს გაყიდა მიწის ნაკვეთი და მხოლოდ მოგვიანებით, მესამე პირის მოთხოვნით, გამოეცალა ამ შესრულებას სამართლებრივი საფუძველი, რაც საფუძვლად დაედო მოსარჩელის (შემსრულებლის) მხრიდან შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნას სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად. ამ-

დენად, პალატას მიაჩნია, რომ მოთხოვნა არა ხელყოფის, არამედ შესრულების კონდიქციიდან გამომდინარეობს, რაც გულისხმობს შემდეგი წინაპირობების არსებობას: ერთი პირის მიერ მეორისათვის სამართლებრივი სიკეთის შესრულების საფუძველზე გადაცემა; მეორე პირის მიერ შესრულების საფუძველზე სამართლებრივი სიკეთის შექმნა; შესრულებისათვის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა. შესაბამისად, კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება; ამის შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; სამართლებრივ სიკეთეთა ამ გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა.

20. ფორმალურსამართლებრივი თვალსაზრისით სარჩელი დასაბუთებულია. მოპასუხე იმ ქონების გასხვისების შედეგად, რომელზეც მისი საკუთრების უფლება გაუქმდა, გამდიდრდა ანუ ამ გასხვისებით გაიზარდა მისი ქონება, რის გამოც მოპასუხეს სადავო ქონების გასხვისებით მიღებული თანხის ფლობის სამართლებრივი საფუძველი აღარ გააჩნია და იგი კრედიტორს უკან უნდა დაუბრუნოს. მოპასუხის შედავების მიხედვით, 19.09.2008 წლის სასამართლოს გადაწყვეტილებით მართალია გაუქმდა კომისიის მიერ მის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა, თუმცა ამავე გადაწყვეტილებით კომისიას დაევალა, არსებითი საკითხების გამოკვლევის შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. კომისიას კი, ახალი აქტი არ გამოუცია და არც საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ უმსჯელია. პალატა არ ეთანხმება მითითებულ არგუმენტს, რადგან საქმეში წარმოდგენილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2009 წლის 24 ივლისს №23 ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება შეასრულა და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოიკვლია სადავო მინის ნაკვეთის ფაქტობრივ-სამართლებრივი მდგომარეობა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ მოპასუხეს სადავო მინის ნაკვეთზე არ ჰქონდა განთავსებული საცხოვრებელი სახლი და ნაკვეთი არ წარმოადგენდა მის საკუთრებაში ან მართლობიერ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთს. სადავო მინის ნაკვეთის ფაქტობრივ მფლობელი სხვა ფიზიკური პირია. ამდენად, კომისიამ მოპასუხეს უარი უთხრა სადავო მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე.

21. ამდენად, არსებობს სსკ-ის სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებ-

რივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინაპირობები, კერძოდ, ამ ნორმით გათვალისწინებული „სხვა საფუძველი“ – 19.09.2008 წლის სასამართლოს გადაწყვეტილება და 2009 წლის 24 ივლისის კომისიის გადაწყვეტილება, რომლითაც სახელმწიფოს მიერ ვითომ-კრედიტორის წინაშე შესრულებას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა.

22. შესრულების კონდიქციისას, ისევე, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის მახასიათებელი მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნებაა, კანონის მიერი ამ ვალდებულების მთავარი მიზანი იმ ქონებრივი ბალანსის აღდგენაა, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვითომ კრედიტორის გამდიდრება. მოცემულ შემთხვევაში, უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლებს სსკ-ის 979.2 მუხლი განსაზღვრავს.

23. დადგენილია, რომ მოპასუხემ სადავო მიწის ნაკვეთის ნაწილი გაასხვისა, ასევე – სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის საკუთრების უფლების მონმობის ბათილობის თაობაზე ქონების გასხვისების შემდგომ გამოვიდა და ამ დროისათვის სადავო ქონება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით მოპასუხის სახელზე იყო აღრიცხული. ამასთან, შემძენის არაკეთილსინდისიერებაზე არც მოსარჩელე არ უთითებს. შესაბამისად, სადავო მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის დაბრუნება, სსკ-ის 185-ე მუხლიდან გამომდინარე, დღეისათვის შეუძლებელია, რის გამოც მოთხოვნა მისი ღირებულების ანაზღაურების თაობაზე საფუძველიანია.

24. რაც შეეხება გათანაბრების ოდენობას, მისი განსაზღვრისათვის მოსარჩელემ მიუთითა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომლითაც დგინდება, რომ მოპასუხემ ქონება 5 000 ლარად გაასხვისა. სადავო ქონების ღირებულებას (გათანაბრების ოდენობას) მოპასუხე შესაგებლით და არც სააპელაციო საჩივრით არ შესდავებია. შესაბამისად, პალატა ასკვნის, რომ, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელემ დაამტკიცა ე.წ. კომპენსაციის ოდენობა, რაც მოპასუხემ დასაბუთებული შედავებით ვერ გააქარწყლა, რის გამოც საკასაციო პალატა საფუძველიანად მიიჩნევს მოსარჩელის მტკიცებას ასანაზღაურებელი თანხის – სადავო მიწის ნაკვეთის ღირებულების ოდენობის თაობაზე.

25. პალატა არ იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ კონდიქციური ვალდებულების არსის გათვალისწინებით, ამ ინსტიტუტის მიმართ გამოიყენება სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ხანდაზმუ-

ლობის საერთო ვადა – 10 ნელი, რომელიც ყველა იმ ურთიერთობისათვისაა, რომელიც არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას (შდრ. სუსგ №ას-472-448-2013, 05.12.2013 წელი). კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხის შესაგებლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის ათვლა 2009 წლის 24 ივლისიდან უნდა დავიწყოთ, ვინაიდან კომისიამ 24.07.2009 გადაწყვეტილებით მოპასუხეს უარი უთხრა სადავო მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე და სამართლებრივი სიკეთის გადანაცვლებას საფუძველი გამოეცალა. მითითებული თარიღიდან სარჩელის აღძვრამდე (23.05.2014 წლამდე) ათწლიანი ვადა არ არის გასული, რის გამოც შედაგება მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი გარემოების თაობაზე უსაფუძვლოა. უფრო მეტიც, ხანდაზმულობის ვადის დენა ბათილად ცნობილი საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის თირილიდან – 27.12.2007 წლიდანაც რომ დაიწყოს, სასარჩელო მოთხოვნა მაინც არ არის ხანდაზმული, ვინაიდან არც ამ შემთხვევაშია სსკ-ის 128.3 მუხლით დადგენილი ათწლიანი ვადა გასული.

26. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

27. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო

სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

28. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი (მოსარჩელე) გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე, მოპასუხეც გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სსკ-ის 55.3 მუხლის მიხედვით, თუ ორივე მხარე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. ამდენად, მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების წინაპირობა მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 257-ე, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. რ. კ-ეს დაეკისროს 5 000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ;
5. მხარეები გათავისუფლებულნი არიან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სხვისი სასამართლებრივი სიკეთის ხელყოფის
შეღებები**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-685-639-2017

22 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ზ. ძლიერიშვილი**

დავის საგანი: მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. ბორჯომში, ...-ის ქუჩაზე №20 მდებარე უძრავი ქონება / ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 512.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 6.../ რეგისტრირებულია შემდეგი პირების თანასაკუთრებად:

1.1. ნ. ბ-ის (შემდეგში: მოსარჩელე, პირველი აპელანტი ან კასატორი) საკუთრებად – სართული 1; 112.50 კვ.მ;

1.2. ს. ქ-ის (შემდეგში: პირველი მოპასუხე ან მეორე აპელანტი) საკუთრებად – სართული 1; 56.90 კვ.მ;

1.3. ვ. ა-ის (შემდეგში: მეორე მოპასუხის მამკვიდრებელი) საკუთრებად – სართული 1; 61.60 კვ.მ.

2. ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინებით ვ. ა-ის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა მ. ლ-ე (შემდეგში მეორე მოპასუხე ან მესამე აპელანტი);

3. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულ თანამესაკუთრეთა წილები არსებობს იდეალური წილის სახით, მათი საკუთრება რეალური წილის სახით გამოყოფილი არ არის (იხ. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან).

4. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება

4.1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

4.1.1. ამ განჩინების 1.2. ქვეპუნქტში მითითებულ პირველ

მოპასუხეს და მე-2 პუნქტში დასახელებულ მეორე მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრათ, მიუღებელი შემოსავლის სახით, თითოეულს 21 112 – 21 112 (ოცდაერთი ათას ას თორმეტი) ლარის გადახდა;

4.1.2. ამავე გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხეებისათვის თანხის დანარჩენი ნაწილის (თითოეული მოპასუხისათვის 278 888 – 278 888 ლარის, ჯამში 557 776 ლარი) გადასახდელად დაკისრებაზე (იხ. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში სასარჩელო მოთხოვნა, რომლითაც მოსარჩელემ მოითხოვა ორივე მოპასუხისათვის ჯამურად 600 000 (შესაბამისად, თითოეულისათვის 300 000) ლარის, როგორც მიუღებელი შემოსავლის სახით, ზიანის დაკისრება იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელე წლებია ვერ განკარგავს საკუთარ ქონებას და ვერ აქირავებს მას, მოპასუხეთა მხრიდან ხელშეშლის გამო).

4.2. რაიონულმა სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 411-ე, 412-ე, 992-ე, 1008-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4, 102-ე-103-ე, 105-ე მუხლები.

5. მოსარჩელისა და მოპასუხეების სააპელაციო საჩივრები

5.1. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, როგორც მოსარჩელემ, ისე – მოპასუხეებმა.

5.1.2. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მისი სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ ნაწილში (სულ 557 776 ლარი; იხ. ამ განჩინების 4.1.2 ქვეპუნქტი) და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება (იხ. პირველი აპელანტის სააპელაციო საჩივარი).

5.1.3. მოპასუხეებმა (მეორე და მესამე აპელანტებმა) მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოსარჩელის სასარგებლოდ დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის მთლიანად უარყოფა (იხ. მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივარი. 223-234 და მესამე აპელანტის სააპელაციო საჩივარი).

6. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

6.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით არ დაკ-

მაყოფილდა პირველი აპელანტის (მოსარჩელის) სააპელაციო საჩივარი, დაკმაყოფილდა მოპასუხეთა (მეორე და მესამე აპელანტების) სააპელაციო საჩივრები და გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება;

6.1.1. სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების 1-3 პუნქტებში მითითებული საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და ყურადღება გაამახვილა, რომ მოსარჩელე ითხოვდა მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რაც გამოიხატებოდა იმ თანხაში, რომელსაც მოსარჩელე მისი კუთვნილი ფართის გაქირავების შემთხვევაში მიიღებდა და რაც ვერ მიიღო იმ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, რომ მოპასუხეთა მხრიდან ადგილი ჰქონდა მისი საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლას.

6.3. დავის საგნის არსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგენილიყო ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, იკვეთებოდა თუ არა მოპასუხეთა მხრიდან ხელშეშლის ფაქტი მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონებით (იხ. ამ განჩინების 1.1. ქვეპუნქტი) სარგებლობაში, და მხოლოდ, ამის შემდეგ უნდა შეფასებულიყო სსკ-ის 411-ე-412-ე და 408-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა თანაზიარი საკუთრების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების კონტექსტში, რადგან სადავო უძრავ ქონებაზე მხარეთა შორის წარმოშობილი იყო საერთო (თანაზიარი) საკუთრება.

6.4. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 172.2 მუხლზე მიუთითა: თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით“ და განმარტა, რომ ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნა წარმოადგენს ნეგატორულ სარჩელს, რომელიც, მესაკუთრის დაცვის მიზნით, მიმართულია უფლების დამრღვევი პირის წინააღმდეგ. ხელშეშლა გულისხმობს მესაკუთრისათვის ისეთი მდგომარეობის შექმნას, რომლის გათვალისწინებითაც მესაკუთრეს ეზღუდება თავისი უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა და ამასთან, ამის რაიმე საფუძველი

ხელშემშლელს არ გააჩნია. სასამართლო ამ ტიპის სარჩელის განხილვისას ადგენს არა რაიმე ახალ უფლებას, არამედ მოდავე სუბიექტთა უფლებრივი მდგომარეობის შეუცვლელად ახდენს სამოქალაქო უფლების სწორი რეალიზაციის წესის განსაზღვრას. აღნიშნული ტიპის სარჩელი დაკმაყოფილდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნივთის მესაკუთრე, რომლის საკუთრების ხელყოფა ან საკუთრების გამოყენებაში სხვაგვარი ხელშეშლა ხორციელდება სხვა პირის უკანონო მოქმედებით. ხელშეშლა გულისხმობს მესაკუთრისათვის ისეთი მდგომარეობის შექმნას, რომლის გათვალისწინებითაც მესაკუთრეს ეზღუდება თავისი უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა და ამასთან, ამის რაიმე საფუძველი ხელშემშლელს არ გააჩნია. ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის წარმოშობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის ფაქტის არსებობა. ფაქტის არსებობა კი დადასტურებული უნდა იქნეს სათანადო მტკიცებულებებით.

6.5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და სარჩელის შინაარსის გათვალისწინებით, მოცემულ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი შეფასების საგანია, ხდება თუ არა მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის, როგორც უძრავი ქონების მესაკუთრის უფლების ხელყოფა.

6.5.1. სსსკ-ის 4.1 მუხლის თანახმად, „სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები“. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, „1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. 2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. 3. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით“.

6.6. აღნიშნულ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით სა-

აპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა იმის დამტკიცება, რომ მოპასუხეები ხელს უშლიან მას საკუთრებით სარგებლობაში.

6.6.1 სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით ვერ შეძლო იმ ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება, რომ მოპასუხეები მას წლების განმავლობაში ხელს უშლიდნენ სადავო უძრავი ქონებით სარგებლობაში. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო არ იყო მოპასუხეების მხრიდან მთლიანი სადავო უძრავი ქონების და შესაბამისად, მოსარჩელის კუთვნილი ფართის ფლობის ფაქტი, თუმცა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეები წარმოადგენენ სადავო საცხოვრებელი სახლის იდეალური წილების მესაკუთრეებს და მათ შორის საკუთრება გამიჯნული არ იყო რეალურ წილებად, აღნიშნული სასამართლომ მოსარჩელის საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის დამადასტურებელ გარემოებად არ მიიჩნია.

6.7. სსკ-ის 173-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „საერთო საკუთრებაში არსებული ნივთი თანამესაკუთრებთან შეთანხმების საფუძველზე შეიძლება დაგირავდეს ან უფლებრივად სხვაგვარად დაიტვირთოს ერთ-ერთი მესაკუთრის სასარგებლოდ და მისი ინტერესებისათვის“. ამავე კოდექსის 956-ე მუხლის თანახმად, საზიარო საგანს მონილენი ერთობლივად მართავენ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული ნორმების ანალიზი ცხადყოფდა, რომ საგანს, რომელზეც თანასაკუთრების უფლება ვრცელდება, მესაკუთრეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მართავენ და ერთობლივად განკარგავენ. თანამესაკუთრეთა თანხმობა ასევე აუცილებელია თანასაკუთრებაში არსებული საგნის უფლებრივად დატვირთვის შემთხვევაშიც. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თანამესაკუთრეთა თანხმობა აუცილებელია მაშინაც, როდესაც საზიარო საგნის უფლებრივი დატვირთვა მხოლოდ ერთ-ერთი მესაკუთრის სასარგებლოდ ხორციელდება.

6.7.1. სსკ-ის 531-ე მუხლის თანახმად, „ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა“. ამდენად, იმისათვის, რომ საზიარო საგანი გაქირავდეს, თუ სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ან სანივთო-სამართლებრივი უფლებით დაიტვირთოს, აუცილებელია თანამესაკუთრეთა თანხმობა. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო უძრავი

ქონება ვერანაირად ვერ გახდებოდა ქირავნობის ობიექტი, თუკი არ იარსებებდა სამივე თანამესაკუთრის თანხმობა, რაც განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს არ წარუდგენია.

6.8. სსკ-ის 408-ე მუხლის შესაბამისად, „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, „ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“.

6.8.1. განსახილველ საქმეზე, მოსარჩელემ მოითხოვა მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც მისი მტკიცებით გამოიხატა იმ თანხაში, რომელსაც მოსარჩელე მისი კუთვნილი ფართის გაქირავების შემთხვევაში მიიღებდა, რომ არ შეეშალათ საკუთრების განკარგვაში ხელი მოპასუხეებს. აღნიშნულის დასადასტურებლად მოსარჩელემ ქირავნობის თანხის ოდენობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა წარადგინა (იხ. დასკვნა).

6.8.2. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ დასკვნა ქირავნობის თანხის ოდენობის შესახებ ვერ დაედებოდა საფუძვლად მოპასუხეებისათვის აღნიშნული თანხის, როგორც მოსარჩელის მიერ დაკარგული (მიუღებელი) შემოსავლის დაკისრებას, ვინაიდან სსკ-ის 411-ე მუხლის (ნორმის დეფინიცია იხ. ზემოთ – 6.8 ქვეპუნქტში) გამოყენების მიზნებისათვის, აუცილებელი იყო მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო ქმედების დადასტურება, რამაც მოსარჩელის მიერ მითითებული შემოსავლის დაკარგვა განაპირობა და რაც მთავარია, აღნიშნული შემოსავლის მიღების ობიექტური შესაძლებლობა. სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში ბინის ქირა არ წარმოადგენდა იმ შემოსავალს, რომელსაც მოსარჩელე ობიექტურად მიიღებდა. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს, როგორც სამართლებრივი საფუძვლებიდან, ასევე იმ ფაქტობრივი გარემოებებიდან, რომლებიც საქმეში იყო წარდგენილი.

6.8.3. სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით სასამართლომ იმსჯელა და დაასკვნა, რომ ფართის გაქირავების, როგორც თანაზიარი საგნის ვალდებულებით-სამართლებრივი უფლებით დატვირთვის მიზნებისათვის, მოსარჩელეს ამავე ქონების დანარჩენი ორი თანამესაკუთრის თანხმობა ესაჭიროე-

ბოდა, ხოლო რაც შეეხებოდა ფაქტობრივ საფუძვლებს, მოდავე მხარეთა იდეალური წილები სადავო უძრავ ქონებაში გამიჯნული არ იყო და, შესაბამისად, შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თითოეული თანამესაკუთრის იდეალურ წილს სადავო ქონების რომელი რეალური ნაწილი შეესაბამებოდა. ამდენად, იმის გამო, რომ არ იყო გამიჯნული მხარეთა იდეალური წილები, შესაბამისად, იდეალურ წილში არსებული ქონების გაქირავებით მიღებული შემოსავალი, მიუღებელი შემოსავლის კონტექსტში, ზიანად ვერ განიხილებოდა.

6.8.4. სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურებაზე მსჯელობისას მიუთითა სსკ-ის 412-ე მუხლის დანაწესზე, რომლის მიხედვითაც, „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ არის სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს“. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა: მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად, ამ უკანასკნელთათვის ეს ზიანი წინასწარ უნდა ყოფილიყო სავარაუდო. მოცემულ შემთხვევაში დასაკისრებელი ზიანის წინასწარ სავარაუდოობას გამორიცხავდა სადავო უძრავ ქონებაზე მესაკუთრეთა თანასაკუთრების უფლება იდეალურ წილში და, შესაბამისად, იდეალური წილის შესაბამისი ქონების გამიჯვნის გარეშე თანამესაკუთრების მიერ ფართის გაქირავების შეუძლებლობა.

6.9. ზემოხსენებული ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთებით გაუქმდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი.

7. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

7.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მისი სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, თითოეული მოპასუხისათვის 300 000-300 000 ლარის (სულ 600 000) დაკისრება მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანისათვის, რაც ამ უკანასკნელის საკუთრებად რიცხული ქონების წლების მანძილზე გაქირავების შეუძლებლობითაა გამომწვეული, მოპასუხეთა მხრიდან საკუთრების განკარგვის ხელშეშლის სახით.

7.1.1. კასატორის პრეტენზიები ეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებასაც, რომლითაც 2011 წლამდე გადასახდელი თანხის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა დელიქტის საფუძველზე ხანდაზმულად იქნა მიჩნეული, თუმცა, კასა-

ტორი უთითებს, რომ ხანდაზმულობის ფაქტზე მოპასუხეებს არ მიუთითებიათ შესაგებელში, შესაბამისად, ამაზე არც პირველი და არც მეორე ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების უდავო ან სადავო ფაქტებშია აღნიშნული. ხანდაზმულობა ფაქტია და არა სამართლებრივი შეფასება, რითაც რაიონულმა სასამართლომ დაარღვია სსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლები. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა უსაფუძვლო გამდიდრების წესებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა (კასატორის იდენტური პრეტენზია ასახულია მის სააპელაციო საჩივარშიც);

7.1.2. მოპასუხეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ მოსარჩელე (კასატორი) ვერ ახერხებს კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობას, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება პირველი ინსტანციის სასამართლომაც დაადგინა (იხ. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებების 3.2.1 ქვეპუნქტი), ამდენად, გაურკვეველია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმაზე, რაც მხარეს სადავოდ არ გაუხდია, ამასთან ამ გარემოებას სააპელაციო სასამართლოც ადგენს (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება);

7.1.3. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის სააპელაციო პრეტენზია, რადგან მოსარჩელე საკუთარ მოთხოვნას ამყარებდა სსკ-ის 982-ე მუხლს და კონდიქციური ნორმებით ითხოვდა მოპასუხეთათვის ზიანის დაკისრებას. კასატორი უთითებს სუსგ-ებზე №ას-1202-1131-2012, №ას-881-843-2014, რომელიც ე.წ. „გათანაბრების კონდიქციის“ საფუძველზე ზიანის ანაზღაურებას ეხება, ასევე, სუსგ-ზე №ას-838-796-2013 და მოხმობილი სასამართლო პრაქტიკით ამყარებს საკუთარ საკასაციო პრეტენზიებს, ამასთან, კონდიქციური და დელიქტური პასუხისმგებლობის გასამიჯნად უთითებს საკასაციო სასამართლოს სხვა განჩინებებზეც (სუსგ-ები: №ას-472-448-2013; №ას-445-420-2014; №ას-308-293-2013, №2ბ/2513-12). კასატორი აკრიტიკებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას და მიაჩნია, რომ განსახილველი დავის გადასაწყვეტად სასამართლოს უნდა ემსჯელა სსკ-ის 982-ე მუხლზე და არა სსკ-ის 172-ე მუხლზე;

7.1.4. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოცემულ შემთხვევაში თანასაკუთრებაშია უძრავი ქონება, რადგან საჯარო რეესტრის მონაცემებით მის საკუთრებად ირიცხება უძრავი ქონება ს/კ 6..., რაც მისი ინდივიდუალური ქონებაა და თუკი მაინც თანასაკუთრებაა, მაშინ სადავო არ არის, რომ მოპასუხეები 1989 წლიდან სარგებლობენ

მოსარჩელის კუთვნილი მთლიანი ქონებით, რითაც დაზოგეს თანხები, რაც აუცილებელი იქნებოდა ასეთი ფართით სრულად სარგებლობისათვის და გამოვლენილია უსაფუძვლო გამდიდრების წინაპირობები. მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ზიანი დასაბუთებულია ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც 2005-2016 წლებს ასახავს, რადგან წინა პერიოდი – 1989 წლიდან 2005 წლამდე ვერ დაიანგარიშა ექსპერტმა და აღნიშნული დაიანგარიშა მოსარჩელემ, თუმცა, საპირისპირო მტკიცება მოპასუხეებს არ წარუდგენიათ სასამართლოსათვის (იხ. საკასაციო საჩივარი).

8. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

8.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო განაცხადი არსებითად განსახილველად დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391.5-ე მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

9. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წამოყენებულ პრეტენზიათა ნაწილი დასაბუთებულია.

10. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების

მისადაგებას, სასამართლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით ადგენს, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, თუმცა, საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

11. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მოსარჩელის მოთხოვნას და მოთხოვნის საფუძველად მითითებულ გარემოებას, კერძოდ, იგი მოითხოვს 10 წლის განმავლობაში მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მოპასუხეთა მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას (იხ. სარჩელი; ამ განჩინების 4.1.2, 6.2, 6.8.1 ქვეპუნქტები). მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველად მითითებულია ის გარემოება, რომ სადავო პერიოდში და ფაქტობრივად დღემდე მოპასუხეები უკანონოდ ფლობენ მის საკუთრებას, რის გამოც მოსარჩელე ვერ აქირავებს თავის ქონებას და, შესაბამისად, ვერ ღებულობს ქონების გაქირავებით შემოსავალს;

12. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მოპასუხეთა შესაგებელი იმ გარემოებას ეფუძნება, რომ საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, ინდივიდუალურ საკუთრებად დარეგისტრირებულია არა მინის, არამედ – საცხოვრებელი ფართები, ხოლო მინა არის მოსარჩელისა და მოპასუხეთა თანასაკუთრება, რომელიც გასამიჯნია; ამასთან, საქმეში არ არის მტკიცებულება, რომ მოპასუხეებმა მოსარჩელის ქონების გამოყენებით რაიმე სახის შემოსავალი მიიღეს (იხ. შესაგებელი; ასევე, ამ განჩინების მე-3 პუნქტი).

13. სააპელაციო სასამართლოს უდავოდ აქვს დადგენილი, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეები ფლობენ მთლიან სადავო უძრავ ქონებას და შესაბამისად, მოსარჩელის კუთვნილ ფართს (იხ. ამ განჩინების 6.6.1 ქვეპუნქტი). საქმეში მოთავსებული საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით დგინდება, რომ 512 კვ.მ მინის ნაკვეთზე განთავსებული სახლის პირველ სართულზე მოსარჩელის საკუთრებად ირიცხება 112.50 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, პირველის მოპასუხის საკუთრებად – 59.60 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ხოლო მეორე მოპასუხის საკუთრებად – 61.60 კვ.მ საცხოვრებელი ფართი. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმ გარემოებას ემყარება, რომ რადგან გამიჯნული არ არის მხარეთა იდეალური წილები, შესაბამისად,

იდეალურ წილში არსებული ქონების გაქირავებით მიღებული შემოსავალი, მიუღებელი შემოსავლის კონტექსტში, ზიანად ვერ განიხილებოდა, რადგან მოსარჩელე ვერ გააქირავებდა სადავო უძრავ ქონებას მოპასუხეთა, როგორც საზიარო საგნის თანამესაკუთრეთა, თანხმობის გარეშე (იხ. ამ განჩინების 6.7., 6.7.1 და 6.8.3 ქვეპუნქტები).

14. საქმის მასალებშია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე არ დაკმაყოფილდა პირველი მოპასუხისა და მეორე მოპასუხის მამკვიდრებლის სარჩელი აღძრული მოპასუხისადმი, რომელიც ამჟამად განსახილველი დავის მოსარჩელეა (იხ. ამ განჩინების 1.1-1.3 ქვეპუნქტები) და რომლითაც მოთხოვნილი იყო კასატორის საკუთრების უფლების [ს/კ 6... გაუქმება 112,50 კვ.მ ფართზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ განსახილველი დავის მოსარჩელის (რომელიც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოპასუხის საპროცესო სტატუსის მფლობელია) საკუთრებას წარმოადგენს სადავო საცხოვრებელი სახლი (იხ. სუსგ №ას-692-658-2013, 23.12.2013 წ.).

15. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივად განაწილების შედეგად, დამატებით უნდა შემონმდეს მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი მისი მოთხოვნიდან გამომდინარე – მოსარჩელე ითხოვს მოპასუხეთა მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოსარჩელის ქონების ფლობის გამო, საკუთრების განკარგვის შეუძლებლობით მიყენებულ ზიანს.

16. სსკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი“ უნდა დადგინდეს განხორციელებულია თუ არა შესაბამისი ფაქტობრივი წინაპირობები.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ – გამდიდრების გათანაბრების შემთხვევას, რა დროსაც გასათვალისწინებელია, რომ მოხმობილი ნორმა უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტს განეკუთვნება, აღნიშნული კი მიუთითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამა-

ხასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმოწერა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება მიღებული დაზარალების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან (იხ. სუსგ: №ას-838-796-2013, 25.05.2015წ; შდრ. სუსგ №ას-881-843-2014, 02.07.2015წ).

18. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა იმსჯელოს იმაზე, რომ თუკი მოსარჩელემ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უკანონო მფლობელობის გამო დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლება აქვს, ამოიღოს ეს ქონება ხელმოწერისაგან. სწორედ აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება სსკ-ის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმოწერა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. გათანაბრების ოდენობის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: საყურადღებოა შესრულების კონდიქციის რეულირების მექანიზმი, კერძოდ, სსკ-ის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შექმნილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით... იმის გათვალისწინებით, რომ „შესრულების დაბრუნება“ (მოპასუხის მიერ სადავო უძრავი ქონების უკანონო სარგებლობით მიღებული სიკეთე) შეუძლებელია, ზემოხსენებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების მქონე პირმა (მოსარჩელემ) შეიძლება გამოიყენოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, რაც შეიძლება დადგინდეს მსგავსი უძრავი ქონების ქირის ოდენობით (იხ. სუსგ №ას-472-448-2013 05.12.2013წ).

19. საკასაციო სასამართლომ ისიც განმარტა, რომ ზემოხსენებული ფაქტობრივი წინაპირობების დადგენის შემთხვევაში, სამართლებრივი შეფასებისას „ინტერესს იწვევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი, რომლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს, როგორც ნივთი, ასევე, მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის გამოყენების უპირატესობა, რად-

გან „მიღებული სარგებლის“ დაბრუნება შეუძლებელია, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში „მიღებულ სარგებელს“ წარმოადგენს სადავო უძრავი ქონებით სარგებლობა, რაც შესაძლებელია გამდიდრების გათანაბრების ოდენობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დანაწესების გამოყენებით, რომლის თაობაზეც ზემოთ უკვე აღინიშნა“ (იხ. სუსგ №ას-472-448-2013, 05.12.2013წ.).

20. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი. სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. ეს ვადა დადგენილია ყველა იმ ურთიერთობისათვის, რომელიც არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას. ხანდაზმულობა წარმოადგენს ვადას, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა (კონკრეტულ დავაში ხელმოყოფისაგან უფლების მქონე პირის მიერ მის უფლებაში ჩარევის გათანაბრების მოთხოვნა).

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ კანონის დარღვევითაა გამოტანილი, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი (სსსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

22. იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ საქმეზე შესამონმეებელი და დასადგენია გარკვეული ფაქტობრივი წინაპირობები (იხ. ამ განჩინების 16-20 პუნქტები), გამოკვეთილია სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. 6. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-

რივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სსპის სარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგები

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-184-171-2015

20 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ი. ჩ-მა (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ე-ის (შემდეგში: მოპასუხე ან მონინააღმდეგე მხარე) მიმართ 23,000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მხარეები 5 წელია იმყოფებიან არარეგისტრირებულ ქორწინებაში. მოსარჩელემ მოპასუხე გაიცნო თურქეთში, სადაც იგი მის ოჯახში მუშაობდა 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და უვლიდა მოპასუხის მამას, რისთვისაც ყოველთვიურად უხდიდნენ 700 აშშ დოლარს. მამის გარდაცვალების შემდეგ, მოპასუხე საქართველოში ჩამოვიდა და მოსარჩელის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მოსარჩელის ხელი სთხოვა.

3. უფრო ადრე კი, მოსარჩელე თურქეთში მუშაობდა 6 თვის მანძილზე სხვა ოჯახში, რა დროის განმავლობაშიც დააგროვა

ფული უძრავი ქონების შესაძენად. მთლიანობაში, მოსარჩელეს დაგროვებული ჰქონდა 30,000-მდე აშშ დოლარი (ამ თანხაში მოსარჩელემ მოიაზრა ის 10,000 დოლარი, რომელიც მას გარდაცვლილმა მეუღლემ დაუტოვა). 5-წლიანი თანაცხოვრების პერიოდში, მოსარჩელემ მოპასუხეს გაუმხილა სურვილი, რაც საქართველოში ბინის შეძენაში მდგომარეობდა და ისიც, რომ მას ამისათვის დანაზოგიც გააჩნდა. 2013 წლის დასაწყისში, მხარეები ჩამოვიდნენ საქართველოში და შუამავლის დახმარებით შეარჩიეს ქ.რუსთაველი კ-ის ქ.№...-ში მდებარე ბინა. ბინის გადაფორმების დროს, მოპასუხემ მოსარჩელეს კატეგორიულად მოსთხოვა ბინის მის სახელზე დარეგისტრირება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრა მიტოვებითა და უსიამოვნებების შექმნით. მოპასუხე ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების სანოტარო წესით გაფორმების დროსაც შეეცადა უსიამოვნება შეექმნა მოსარჩელისათვის.

4. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 2013 წლის 28 თებერვალს ბინა გადაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და მოსარჩელემ გამყიდველს პირადად ჩაურიცხა საბანკო ანგარიშზე კუთვნილი 23000 აშშ დოლარი.

5. მოგვიანებით, მოპასუხის დამოკიდებულება მოსარჩელის მიმართ შეიცვალა, მოპასუხე გახდა აგრესიული და უმნიშვნელო მიზეზების გამო ქმნიდა კონფლიქტურ სიტუაციებს.

6. 2013 წლის 14 მაისის მორიგი კონფლიქტის დროს, მოპასუხემ გამოიძახა საპატრულო პოლიცია და მოსარჩელე საკუთარი დანაზოგით ნაყიდი ბინიდან ქუჩაში გააგდო.

7. მოპასუხემ წარმოდგინილი კვალიფიციური შედაგებით უარყო სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ მხარეებს შორის ცოლ-ქმრული ურთიერთობა არასოდეს ყოფილა, არც ამგვარ განზრახვას ჰქონია ადგილი. მოპასუხემ მხოლოდ მეგობრული ურთიერთობების არსებობა დაადასტურა. გარდა ამისა, მიუთითა, რომ საქართველოში, პირველად, ტურისტის სახით ჩამოსვლის დროს სტუმრად იმყოფებოდა მოსარჩელის ოჯახში.

8. მოპასუხემ დაადასტურა მის ოჯახში, მომვლელად მოსარჩელის მუშაობის ფაქტი, თუმცა აღნიშნა, რომ აღნიშნული 270 დღე გრძელდებოდა და მისი ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა 450 აშშ დოლარს.

9. მოპასუხემ მიუთითა თავისივე კარგ ფინანსურ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ იგი ხშირად მატერიალურად ეხმარებოდა მოსარჩელეს მისივე თხოვნის გათვალისწინებით. აღნიშნულმა კი, განაპირობა მოსარჩელის მისწრაფება ჰქონოდა მუდ-

მივი ფინანსური წყარო.

10. მოპასუხემ უარყო მოსარჩელის მტკიცება ქ.რუსთავში, კ-ის ქ.№...-ში მდებარე ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების მის სახელზე გაფორმების იძულების შესახებ. მოპასუხემ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს არასოდეს მიუმართავს შესაბამისი ორგანოებისათვის მის მიმართ იძულების განხორციელების ან მისი განხორციელების მცდელობის ფაქტზე.

11. მოპასუხემ სარჩელზე თანადართულ საბანკო ქვითარში მითითებულ თანხაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება უარყო, ხოლო სადავო თანხის ბანკში მოსარჩელის სახელზე შეიტანა იმით ახსნა, რომ მოპასუხე ფლობდა რა თურქულ პასპორტს, იცოდა თურქული ენა და არ გააჩნდა ნოტარიულად დამოწმებული პასპორტის ქართული თარგმანი, დამოუკიდებლად ვერ ახერხებდა სასურველი საბანკო ოპერაციის განხორციელებას.

12. მოპასუხემ აღნიშნა, რომ ბინის ნასყიდობის საფასურიდან 10 000 აშშ დოლარი აიღო პირადი საბანკო ბარათიდან, ნაწილი ჰქონდა ხელზე, ხოლო დარჩენილი თანხა ისესხა მისი ნაცნობი – ქ. ჰ-სგან.

13. მოპასუხემ განმარტა, მას ჰქონდა ქ. რუსთავში საცხოვრებელი ბინის შეძენის სურვილი, რადგან დაინტერესებული იყო აქ არსებული ბიზნესგარემოთი და გეგმავდა ბიზნეს საქმიანობას ამ ქალაქში.

14. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაზედაც მოსარჩელემ წარადგინა სააპელაციო საჩივრი.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება.

16. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

17. მხარეები იცნობენ ერთმანეთს. მოსარჩელე მუშაობდა თურქეთში მოპასუხის მამის მომვლელად. მამის გარდაცვალების შემდეგ, მათ გააგრძელეს ურთიერთობა, ხვდებოდნენ ერთმანეთს, ჰქონდათ სატელეფონო კავშირი, მოსარჩელე თურქეთში ყოფნისას სტუმრობდა მოპასუხეს. მოპასუხე საქართველოში პირველად ჩამოვიდა მოსარჩელის მოწვევით.

18. 2013 წლის 27 თებერვალს ქ. თბილისში, ნოტარიუს ჯ. ა-ის სანოტარო ბიუროში გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება

(შემდეგში: ხელშეკრულება), რომლითაც მოპასუხემ 23,500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ ა. ა-ან (შემდეგში: გამყიდველი) შეიძინა ქ.რუსთავში, კ-ის ...-ში, მე-... სართულზე, №...-ში მდებარე ბინა ((ს/კ: ...). ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა მოპასუხის საკუთრების უფლებით.

19. ხელშეკრულების 3.1 მუხლის მიხედვით მყიდველმა გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად გადაუხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონშებამდე, გამყიდველმა კი, მიიღო ნასყიდობის ფასი. ხელშეკრულება ხელმოწერილია უშუალოდ მხარეთა მიერ.

20. ნასყიდობის საფასური (23,000 აშშ დოლარი) ნაღდი ანგარიშსწორების გზით 2013 წლის 25 თებერვალს ჩაირიცხა გამყიდველის ანგარიშზე. შემოსავლის ორდერში თანხის შეტან პირად დაფიქსირებულია მოსარჩელე (მტკიცებულება: სს „... ბანკის“ რუსთავის ფილიალში 2013 წლის 25 თებერვალს განხორციელებული საბანკო ოპერაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – სალაროს შემოსავლის ორდერი 285617031).

21. 25.02.2013წ.-ს მოსარჩელის მიერ გამყიდველის სასარგებლოდ საბანკო ოპერაციით გადარიცხული თანხის მოსარჩელისადმი კუთვნილების ფაქტობრივი გარემოება საქმის მასალებით არ დადასტურდა. არც ის მტკიცებულება იყო წარმოდგენილი, ბანკში ნაღდი ანგარიშსწორების გზით მყიდველის ანგარიშზე შეტანილი თანხის გარკვეული ნაწილი წარმოადგენდა მოსარჩელის დანაზოგს, ხოლო სხვა ნაწილი – პირველი მეუღლისაგან დანატოვარ თანხას.

22. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე დაკითხული მოწმეები: მ. კ-ე და მ. ა-ე ვერ მიუთითებდნენ სადავო თანხის კუთვნილების ფაქტზე. კერძოდ, მ. კ-ე ადასტურებდა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ბანკში გამყიდველის ანგარიშზე თანხა შეიტანა უშუალოდ მოსარჩელემ, ხოლო თანხის წარმომავლობის შესახებ რაიმე ინფორმაცია მას არ გააჩნდა (იხ.: 08.01.2014წ. სხდომის ოქმი CD დისკზე, 16:01:12-16:01:37).

23. ამასთან, მოწმე მ. კ-ის ჩვენებით, მას საშუამავლო თანხა გადაუხადა პირადად მოპასუხემ (იხ.: 08.01.2014წ. სხდომის ოქმი CD დისკზე, 16:01:12-16:01:37).

24. მ. ა-ის განმარტებით, მისთვის უცნობი იყო ფულის წარმომავლობა. ბანკში მისვლისას კი, მხოლოდ ის დაინახა, რომ გამყიდველი და მოსარჩელე იდგნენ ოპერატორთან თანხის ან-

გარიშზე შეიტანის მიზნით და თანხა შეიტანა მოსარჩელემ (08.01.2014წ. სხდომის ოქმი CD დისკზე, 16:08:38-16:09:39; 16:10:48-16:11:41).

25. მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე მოწმედ დაკითხული ქ. ჰ. ო-ი ადასტურებდა ნასყიდობის საგნის ღირებულების მოპასუხისადმი კუთვნილების ფაქტს, კერძოდ, განმარტავდა, რომ მოპასუხემ გადაცვალა თურქული ვალუტა, დანარჩენი ჰქონდა ნაღდი ფულის სახით, შემდეგ ყველანი ერთად მივიდნენ ბანკში, მოპასუხემ ფული მისცა მოსარჩელეს და მან გადაიხადა გამყიდველის სახელზე ბინის ღირებულება. მოწმის განმარტებით, შემდეგ წავიდნენ თბილისში ნოტარიუსთან, სადაც მოპასუხემ გადაიხადა ყველაფრის ღირებულება და ბინა თავის სახელზე გაიფორმა (16:29:38-16:30:31; 16:30:55-16:31:08). მოწმის განმარტებით, სადავო თანხა ნამდვილად იყო მოპასუხის კუთვნილება და მან მისი თანდასწრებით გადასცა მოსარჩელეს ნასყიდობის თანხა (16:36:01-16:36:25; 16:39:28-16:39:48).

26. არ დადასტურდა ნასყიდობის ხელშეკრულების მოპასუხის მონაწილეობით გაფორმების და მის საფუძველზე ბინის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, მოპასუხის მიერ მოსარჩელის მიმართ განხორციელებული იძულების ან მუქარის ფაქტობრივი გარემოება.

27. მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე მოწმედ დაკითხული მ. კ-ის განმარტებით, მართალია მოპასუხემ მოითხოვა უძრავი ქონების მის სახელზე გაფორმება, თუმცა, ეს არ მომხდარა რაიმე სახის ძალადობის და კონფლიქტის გზით (08.01.2014წ. სხდომის ოქმი CD დისკზე, 15:57:22-15:57:34; 15:59:51). ამასთან, თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტებით და მის მიერ წარმოდგენილ მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდება, რომ ბინის ნასყიდობის გარიგებაში იგი მონაწილეობდა მოპასუხე ა. ე-ან დამოუკიდებლად, თავად შეათანხმა გამყიდველთან ნასყიდობის ფასი ან დამოუკიდებლად შეამონმა ნასყიდობის საგანი.

28. მოწმე მ. კ-ის ჩვენების გაბათილების მიზნით აპელანტი უთითებდა, რომ ადგილი ჰქონდა მოპასუხისა და მისი მეგობრის მხრიდან მოწმის მოსყიდვას („პატივისცემას, დაპირდნენ“) (იხ.: სააპელაციო საჩივარი). რაიმე მტკიცებულება, რაც აღნიშნულს დაადასტურებდა, საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა.

29. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 978-ე მუხლით, რომლის თანახმად, პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების

ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე და განმარტა, რომ ვალდებულების წარმოშობის საფუძველია ქონების მიმღების არამართლზომიერი ქმედება, რომელიც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებებით. მოპასუხის მხრიდან კი, ასეთი ქმედებას ადგილი არ ჰქონდა.

30. სასამართლომ ასევე მიუთითა სსკ-ის 991-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არც ის გარემოება დასტურდებოდა, რომ 2013 წლის 25 თებერვალს მოსარჩელის მიერ მყიდველისათვის სასარგებლოდ საბანკო ოპერაციით გადარიცხული თანხა ეკუთვნოდა მოსარჩელეს. არ იქნა დადასტურებული, რომ რეალურად უძრავი ნივთის ნასყიდობისას გარიგების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა მოსარჩელე და მოპასუხის სახელზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება მოხდა იძულების ან მუქარის საფუძველზე.

31. იმ პირობებში, როდესაც ნაყიდი უძრავი ქონება შეიძინა მოპასუხემ, არ დგინდებოდა, რომ რეალურად უძრავი ნივთის ნასყიდობისას გარიგების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა მოსარჩელე და ბინის გამყიდველისათვის საბანკო ოპერაციით გადარიცხული თანხა წარმოადგენდა მოსარჩელის კუთვნილებას, პალატამ მიიჩნია, რომ მხოლოდ საბანკო ოპერაციაში მოსარჩელის მონაწილეობა არ წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილების და მოპასუხისათვის აღნიშნული თანხის დაკისრების საკმარის საფუძველს.

32. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტის უფლებამონაცვლემ – ტ. კ-მა, რომელმაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

33. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომლითაც უარყოფილია მოსარჩელის საკუთრების უფლება მყიდველისათვის ნაღდი ანგარიშსწორების გზით გადარიცხულ თანხაზე.

34. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელის პირად საბანკო ანგარიშზე აღრიცხული 23 000 აშშ დოლარის, რომელიც გადარიცხულ იქნა ბინის შესაძენად, მოპასუხის მიერ შეტანის ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

35. კასატორი სადავოდ ხდის მოწმე – ქ. ჰ. ო-ის ჩვენების იურიდიულ შეაფასებას და აღნიშნავს, რომ ვინაიდან მასსა და მოპასუხეს შორის არსებობდა ახლო მეგობრული ურთიერთობა დაუშვებელი იყო მისი შინაარსით სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენა.

36. კასატორი დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს შეაფასებას მოპასუხის მხრიდან მოსარჩელეზე იძულების და მუქარის განხორციელების არარსებობის შესახებ.

37. კასატორი აღნიშნავს, რომ 2014 წლის 24 დეკემბერის თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსამართლის შეკითხვაზე მოპასუხემ არ უარყო, რომ მას გააჩნდა ბანკში უმნიშვნელო თანხების მიმოქცევა, მაგრამ ამ თანხით არ შეუძენია სადავო ბინა. თუმცა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ 23 000 აშშ დოლარი იყო მისი კუთვნილი თანხა, მას სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია.

38. კასატორი სადავოდ ხდის საქმის განმხილველი სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობის მიერ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს და არ ეთანხმება დასკვნას, რომლითაც რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ნაღდი ფულის სახით ბანკში გამყიდველის ანგარიშზე შეტანილი თანხის მოსარჩელისადმი კუთვნილების ფაქტს მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. აღნიშნული დასკვნა სასამართლომ გააკეთა იმ პირობებში, როდესაც სახეზეა თანხის არსებობა მოსარჩელის პირად ანგარიშზე საბანკო დანესებულებაში და მოპასუხეს არ წარმოუდგენია აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება.

39. კასატორმა მიუთითა სსკ-ის 477-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, ხოლო ამავე კანონის მე-2 ნაწილის თანახმად, მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი. ნორმის საფუძველზე გამყიდველისათვის 23 000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტი უნდა დაადასტუროს მყიდველმა – მოპასუხემ, ხოლო მისგან თანხის მიღების ფაქტი უნდა დაადასტუროს გამყიდველმა. მოცემულ შემთხვევაში, ქონების გამყიდველი არ ადასტურებს მოპასუხისაგან გაყიდული ბინის საფასურის მიღების ფაქტს. იგი ადასტურებს, რომ გაყიდული ბინის საფასური საბანკო ოპერაციის საფუძველზე გადაიხადა მოსარჩელემ.

40. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და მოწმე მ. კ-აც დაადასტურა ის გარემოება, რომ ბანკში გამყიდველის ანგარიშზე თანხა შეიტანა უშუალოდ მოსარჩელემ. ასევე დადგენილად

მიიჩნია სასამართლომ მოწმე მ. ა-ის განმარტება, რომელმაც დაადასტურა ანალოგიური გარემოება.

41. კასატორის განმარტებით, მოპასუხე მოპასუხე ვერ ადასტურებს შესყიდული ბინის საფასურის პირადად გამყიდველისათვის გადახდის ფაქტს. იგი ჯერ აღნიშნავს, რომ 25 თებერვალს ბანკიდან გამოიტანა გარკვეული რაოდენობის თანხა, რის დასტურადაც წარმოადგინა ქვითრები ბანკის ანგარიშიდან თანხის გამოტანის შესახებ. მისი მეგობარი, მოწმე ქ. ჰ. ო-ი კი განმარტავს, რომ თითქოს მისი თანდასწრებით მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა გადაცვლილი თურქული ვალუტა, ხელზე არსებული დანარჩენი ნაღდი ფული, ერთად მივიდნენ ბანკში და მოსარჩელემ გადაიხადა ბინის ღირებულება გამყიდველის სახელზე.

42. კასატორის მოსაზრებით, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საბანკო ამონაწერების ქსეროასლები (რომლებიც ნათარგმნია 25 თებერვალს) რომ არ წარმოადგენს ბანკიდან გამოტანილი თანხის გადახდის მტკიცებულებას და ეს ოპერაცია არ წარმოადგენს ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ ფაქტს, დადასტურებულია თვითონ მოპასუხე ა. ე-ის მიერ 2014 წლის 23 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე, სადაც მან განმარტა, რომ ამ საბანკო ქვითრების მეშვეობით არ მომხდარა ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდა, მას გააჩნდა სხვა ანგარიშებიც, რისი მტკიცებულებაც სასამართლოში არ წარმოუდგენია.

43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განჩინებით ტ. კ-ი ცნობილ იქნა ი. ჩ-ის უფლებამონაცვლედ საქმეში ი. ჩ-ის სარჩელის გამო ა. ე-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე; ამავე განჩინებით ტ. კ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 13 ნოემბერს საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

44. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგი გარემოებების გამო:

45. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2013 წლის

27 თებერვალს ქ. თბილისში, ნოტარიუს ჯ. ა-ის სანოტარო ბიუროში გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხემ 23,500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ შეიძინა ქ.რუსთავში, კ-ის ...-ში, მე-.. სართულზე, №...-ში მდებარე ბინა. უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა მოპასუხის საკუთრების უფლებით. ხელშეკრულების 3.1 მუხლის მიხედვით მყიდველმა გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად გადაუხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონმებამდე, გამყიდველმა კი, მიიღო ნასყიდობის ფასი. ხელშეკრულება ხელმოწერილია უშუალოდ მხარეთა მიერ.

46. დადგენილია, რომ ნასყიდობის საფასური (23,000 აშშ დოლარი) ნაღდი ანგარიშსწორების გზით 2013 წლის 25 თებერვალს ჩაირიცხა გამყიდველის ანგარიშზე. შემოსავლის ორდერში თანხის შემტან პირად დაფიქსირებულია მოსარჩელე (მტკიცებულება: სს „... ბანკის“ რუსთავის ფილიალში 2013 წლის 25 თებერვალს განხორციელებული საბანკო ოპერაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – სალაროს შემოსავლის ორდერი ...).

47. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი რაიმე პრეტენზიას დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ შეიცავს. შესაბამისად, ამ ნაწილში, გასაჩივრებელი განჩინებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

48. წარმოდგენილი სარჩელით და საკასაციო საჩივრით მოსარჩელე სადავოდ ხდის 2013 წლის 25 თებერვალს გამყიდველის ანგარიშზე შეტანილ 23,000 აშშ დოლარზე (ნასყიდობის საფასური) საკუთრების უფლებას და აღნიშნავს, რომ სადავო თანხის გარკვეული ნაწილი წარმოადგენდა მის დანაზოგს, ხოლო სხვა ნაწილი – პირველი მეუღლისაგან დანატოვარ თანხას.

49. სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა თანხის დაბრუნების და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების სსკ-ის 978-ე, 991-ე მუხლებით გათვალისწინებულ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს. სახელდობრ, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც ნაყიდი უძრავი ქონება შეიძინა მოპასუხემ, არ დგინდებოდა, რომ რეალურად უძრავი ნივთის ნასყიდობისას გარიგების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა მოსარჩელე და ბინის გამყიდველისათვის საბანკო ოპერაციით გადარიცხულ თანხაზე ვრცელდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლება, მარტოოდენ საბანკო ოპერაციაში მოსარჩელის მონაწილეობა კი, არ წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპა-

სუხისათვის ამ თანხის დაკისრების საკმარის საფუძველს. აღნიშნული კი, წარმოდგენილ სარჩელს წარუმატებელს ხდიდა.

50. კასატორმა სადავოდ გახადა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა სარჩელის წარუმატებლობის შესახებ, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძველით. კასატორი თავის საკასაციო პრეტენზიას იმ გარემოებებზე აფუძნებს, რომ მხარეები იცნობენ ერთმანეთს. მოსარჩელე მუშაობდა თურქეთში მოპასუხის მამის მომვლელად. მამის გარდაცვალების შემდეგ, მათ გააგრძელეს ურთიერთობა, ხვდებოდნენ ერთმანეთს, ჰქონდათ სატელეფონო კავშირი, მოსარჩელე თურქეთში ყოფნისას სტუმრობდა მოპასუხეს. მოპასუხე საქართველოში პირველად ჩამოვიდა მოსარჩელის მოწვევით. კასატორმა მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ ნასყიდობის საფასური გამყიდველს ჩაერიცხა მოსარჩელის პირადი საბანკო ანგარიშიდან, რაც ერთმნიშვნელოვნად გამოდგებოდა იმის დასტურად, რომ სადავო თანხა წარმოადგენდა მოსარჩელის საკუთრებას, რაზედაც წარმოდგენილი სარჩელის ფარგლებში ვრცელდებოდა მოპასუხის უკან დაბრუნების ვალდებულება (სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები – პპ: 4.1.; 4.3).

51. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოების კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ – 23,000 აშშ დოლარი ნაღდი ანგარიშსწორების გზით 2013 წლის 25 თებერვალს ჩაირიცხა გამყიდველის ანგარიშზე, შემოსავლის ორდერში თანხის შემტან პირად დაფიქსირებულია მოსარჩელე – ამოქმედდა პრეზუმფცია სადავო თანხის კუთვნილების შესახებ მოსარჩელის სასარგებლოდ.

52. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართალწარმოებაში პრეზუმციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება უნდა გააქარწყლოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება პირიქით, უნდა გააქარწყლოს მოსარჩელემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველს. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების

ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში.

53. ამავდროულად, სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სსსკ-ის მე-4 მუხლით, აგრეთვე, 102-ე მუხლით, რომლის თანახმად, მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განხორციელდეს.

54. მოცემულ შემთხვევაში, საპირისპირო მტკიცებების ტვირთი, რომლითაც გამოირიცხებოდა სადავო თანხაზე მოსარჩელის საკუთრების უფლება, მოპასუხის მხარეზეა, რომელიც სადავო თანხის მოსარჩელის პირად ანგარიშზე მოხვედრის გარემოებას იმით ხსნის, რომ მას ჰქონდა ქ.რუსთავეში საცხოვრებელი ბინის შეძენის სურვილი, რადგან დაინტერესებული იყო იქ არსებული ბიზნესგარემოთი და გეგმავდა ბიზნეს საქმიანობას ამ ქალაქში, თუმცა იგი ფლობდა რა თურქულ პასპორტს, იცოდა თურქული ენა და არ გააჩნდა ნოტარიულად დამონმებული პასპორტის ქართული თარგმანი, დამოუკიდებლად ვერ ახერხებდა სასურველი საბანკო ოპერაციის განხორციელებას. შესაბამისად, უძრავი ქონების ნასყიდობის საფასურის გადახდის შესახებ მყიდველის ვალდებულების შესრულებას. მოპასუხის მითითებული პოზიცია საკასაციო პალატას სარწმუნოდ, მით უფრო, მოსარჩელის სასარგებლოდ მოქმედი პრეზუმციის გაქარწყლების საფუძვლად არ მიაჩნია, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც ეს საქმეში თავად მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საბანკო ანგარიშის ამონაწერებით ირკვევა, ქართულ საბანკო დანესებულებაში – სს „... ბანკის“ ერთ-ერთ ფილიალში ა. ე-ის სახელზე 2013 წლის 04 ოქტომბერს გახსნილია ანაბარი. მით უფრო, იმ ვითარებაში, რომ მოპასუხის აღნიშნული პოზიცია ლოგიკურ დასაბუთებასაა მოკლებული მოპასუხისავე ახსნა-განმარტების იმ შინაარსის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ მას საფულიდან მოჰპარა 400 აშშ დოლარი (იხ., რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 08 იანვრის სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი 13:59 სთ.). საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ ვითარებაში, ნაკლებად სავარა-

უდოა მოპასუხეს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაში დახმარება ეთხოვა მოსარჩელისათვის, უფრო მეტიც, მოსარჩელის პირადი საბანკო ანგარიშის მეშვეობით გადაეხადა ნასყიდობის საფასური (23,000 აშშ დოლარი).

55. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული (დასაშვები) საკასაციო პრეტენზია, რაც საქმის განმხილველი სააპელაციო სამართლოს შემადგენლობის მიერ სსკ-ის 991-ე მუხლის არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში გამოიხატა:

56. საკასაციო პალატა მიუთითებს სსკ-ის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამავე კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კი, დადგენილია ქცევის იმგვარი წესი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. ნორმის მიზნიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ, რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. ასევე, აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს

სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

57. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

58. მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, სახელდობრ, იმის გათვალისწინებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხემ 23,500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრში აღირიცხა მოპასუხის საკუთრების უფლებით; აგრეთვე, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ხელშეკრულების მიხედვით მყიდველმა გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად გადაუხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებამდე, გამყიდველმა კი, მიიღო ნასყიდობის საფასური (23,000 აშშ დოლარი), რომელიც უნაღდო ანგარიშსწორების გზით მის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა 2013 წლის 25 თებერვალს; შემოსავლის ორდერში თანხის შემტან პირად დაფიქსირებულია მოსარჩელე, გამოსაკვლევი, მოსარჩელის საბანკო ანგარიშიდან გადარიცხული სადავო თანხის (23,000 აშშ დოლარის) დაბრუნების კონდიქციის არსებობა, უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი სსკ-ით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

59. ამას გარდა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მყიდველის ვალდებულება ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის შესახებ (სსკ-ის 477-ე მუხლი) შესრულდა მოსარჩელის პირადი საბანკო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვით, ხოლო მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი იურიდიული შედეგი (ანუ, ნასყიდობის საგანზე მოპასუხის საკუთრების უფლების წარმოშობა), საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ უნდა შეამოწმოს ადგილი ხომ არ ჰქონდა სსკ-ის 371-ე მუხლის შემადგენლობას, რომლის საკანონმდებლო დანაწესი ითვალისწინებს უფ-

ლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულებას მესამე პირის მიერ, ამ ურთიერთობის მომწესრიგებელ დამფუძნებელ ნორმებთან ერთობლიობაში.

60. სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულიად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერების შემოწმება შეუძლებელია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტობრივი გარემოებები. ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს მისი პირადი საბანკო ანგარიშიდან გადარიცხული თანხის მოპასუხისათვის დაკისრებას, დასადგენია ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც შექმნის ობიექტურ, რეალურ სურათს სადავო თანხის მოპასუხის ვალდებულების შესასრულებლად გადარიცხვასთან (გადახდა) დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას (სსკ-ის 361-ე მუხლი), თუ არ დგინდება მხარეთა შორის ვალდებულების არსებობა (სსკ-ის 317-ე მუხლი) და აღნიშნული არც სახელშეკრულებო ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის კვლევისათვის რელევანტურია უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი საფუძვლების ძიება, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადანყდეს საკითხი სარჩელის წარმატებულობის შესახებ.

61. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

62. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს მოცემულ განჩინებაში მოცემულ საკასაციო პალატის მითითებებზე და ამ მითითებების გათვალისწინებით ყოველმხრივი, სრული და ობიექტური

განხილვის შედეგად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

63. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულის ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადანყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ჩ-ის უფლებამონაცვლე ტ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. დელიქტური ვალდებულებანი

ზიანის ანაზღაურება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-638-605-2014

22 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სამეწარმეო საზოგადოების კრების ოქმის ბათილად ცნობა, მეუღლეთა თანასაკუთრების წილიდან ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ზ-ემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც რწმუნებული, პირველი მოპასუხე, მეორე აპელანტი, მეორე კასატორი) ვ. მ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მარწმუნებელი, პირველი მოსარჩელე, პირველი აპელანტი, პირველი კასატორი) მიერ გაცემული მინდობილობის (21.05.2007წ.) საფუძველზე, 2007 წლის 28 მაისს პირველი მოსარჩელის სახელით მ. გ-ის, ბ. ბ-ის, ლ. მ-ის და ც. ბ-ის წარმომადგენელ ნ. ჭასთან (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც გამყიდველთა წარმომადგენელი, მონმე) გააფორმა გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდეგში, ნასყიდობის ხელშეკრულება) ქ. ქ-ში, ა-ლის გამზირის №...-ში მდებარე 4990 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (შემდეგში, სადავო მიწის ნაკვეთი). ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 424 150 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარით, რომელიც მყიდველს შემდეგი გრაფიკის მიხედვით უნდა გადაეხადა: 120 000 აშშ დოლარი – ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონმებისთანავე, 261 735 აშშ დოლარი – 2007 წლის 14 ივნისამდე, ხოლო 42 415 აშშ დოლარი – 2007 წლის 28 ივნისამდე.

2. 2007 წლის 16 აგვისტოს, პირველმა მოსარჩელემ პირველი მოპასუხის სახელზე კვლავ გასცა მინდობილობა (სანოტარო აქ-

ტი №...), რომლითაც მას უფლება მისცა, შეესრულებინა ყველა ის იურიდიული მოქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა სადავო მიწის ნაკვეთში მრავალბინიანი სახლის დაპროექტებასთან, აშენებასთან, სამშენებლო კომპანიებთან შესაბამისი ხელშეკრულების დადებასთან, ადმინისტრაციული ორგანოებისგან შესაბამისი ნებართვების მიღებასა და საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად სხვა მოქმედებების შესრულებასთან.

3. 2007 წლის 15 სექტემბერს პირველმა მოპასუხემ, პირველი მოსარჩელის მიერ 2007 წლის 16 აგვისტოს გაცემული მინდობილობის საფუძველზე, შპს „ა-თან“ (შემდეგში მოხსენიებული, როგორც სამშენებლო კომპანია, მენარდე) გააფორმა ხელშეკრულება სადავო მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე (შემდეგში, სადავო ნარდობის ხელშეკრულება). მშენებლობის საერთო ღირებულებად 7 585 000 ლარი განისაზღვრა.

4. 16.08.2007 წლის მინდობილობის საფუძველზევე, პირველმა მოპასუხემ შპს „გ.დ.მ-ის“ დირექტორ და არქიტექტორ გ. მ-თან (შემდეგში მოხსენიებული, როგორც არქიტექტორი, მეორე მენარდე), მშენებარე ბინის პროექტის შესადგენად, გააფორმა ხელშეკრულებები. თავდაპირველი ხელშეკრულების ღირებულებად 192 000 აშშ დოლარი განისაზღვრა, ხოლო შემდგომში 2008 წლის 22 მარტს, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომსახურების საზღაური 70 000 ლარი იქნებოდა. მხარეებმა პირველი ხელშეკრულება რუსულ ენაზე შეადგინეს, რომელიც რწმუნებულმა მარწმუნებელს რუსეთში გაუგზავნა. ამ უკანასკნელმა არქიტექტორისათვის გადასაცემად რწმუნებულს 192 000 აშშ დოლარი გამოუგზავნა.

5. 2008 წლის 20 ნოემბერს პირველმა მოსარჩელემ პირველი მოპასუხის სახელზე გასცა მინდობილობა სადავო უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებით.

6. 2008 წლის 21 ნოემბერს პირველმა მოსარჩელემ დააფუნა შპს „კ. ი-ი“, ამჟამად შპს „ე. დ-ი“ (შემდეგში მოხსენიებული, როგორც მეორე მოსარჩელე), რომლის დირექტორად დაინიშნა პირველი მოპასუხის შვილი – გ. ზ-ე (შემდეგში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე).

7. 2008 წლის პირველ დეკემბერს, პირველ მოპასუხეს, როგორც პირველი მოსარჩელის წარმომადგენელს, სამშენებლო კომპანიასა და მეორე მოსარჩელეს შორის გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება, რომლითაც ცვლილება შევიდა 2007 წლის 15 სექტემბრის ნარდობის ხელშეკრულებაში იმდაგვარად, რომ

პირველი მოსარჩელის ყველა უფლება-მოვალეობა გადავიდა მეორე მოსარჩელის სახელზე და „დამკვეთად“ ხელშეკრულებაში ეს უკანასკნელი მიეთითა.

8. 2008 წლის 16 დეკემბერს პირველმა მოსარჩელემ მეორე მოპასუხის სახელზე გასცა მინდობილობა, რომლითაც ამ უკანასკნელს მიანიჭა უფლებამოსილება, თავისი შეხედულებისამებრ ეყიდა ქ.ქ-ში, ა-ლის ქუჩაზე მდებარე ნაკვეთი №... და ამ დავალებასთან დაკავშირებით შეესრულებინა ყველა საჭირო მოქმედება. 2009 წლის 9 ივლისს პირველმა მოსარჩელემ კვლავ გასცა მეორე მოპასუხის სახელზე მინდობილობა, რომლითაც მიანიჭა უფლებამოსილება, ყოფილიყო მისი წარმომადგენელი ყველა ორგანიზაციასა და დანესებულებაში ყველა იმ საკითხის თაობაზე, რომელიც ეხებოდა მას, როგორც მეორე მოსარჩელე კომპანიის დამფუძნებელს და ესარგებლა საქართველოს კანონმდებლობით დამფუძნებლისათვის მინიჭებული ყველა უფლებით.

9. 2007 წლის 11 ივლისს პირველმა მოპასუხემ შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქ-ში, ა-ლის ქუჩა №...-ში (საკადასტრო კოდი: ...), რომელიც 2011 წლის 6 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მიჰყიდა თავის შვილს – ე. ზ-ეს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მესამე მოპასუხე). ამ უკანასკნელმა 2011 წლის 17 აგვისტოს №... კრების ოქმის საფუძველზე (შემდეგში, სადავო კრების ოქმი) ეს ქონება შეიტანა შპს „ნ. ჰ-ის“ (შემდეგში, ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეოთხე მოპასუხე) სანესდებო კაპიტალში.

10. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, პირველი მოპასუხის მეუღლის მ. ბ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეხუთე მოპასუხე) საკუთრებაშია უძრავი ქონება, მდებარე ქ.თ-ში, პ. ი-ის ქ.№...-ში.

11. 2010-2011 წლებში პირველმა მოსარჩელემ რამდენჯერმე მოითხოვა მოპასუხეთაგან მის მიერ გადარიცხული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა, რომელთა სრულყოფილად წარდგენაც მოპასუხეებმა ვერ შეძლეს, რის გამოც 2011 წლის მაისიდან პირველმა მოსარჩელემ მეორე მოპასუხე გაათავისუფლა კომპანიის დირექტორის თანამდებობიდან (რომლის დირექტორად დაინიშნა პირველი მოსარჩელის შვილი – ო. მ-ა). ამასთან, მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს და პირველი მოპასუხის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

12. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენით პირველი მოპასუხე ცნობილ იქნა დამნაშავედ

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და 220-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განაჩენით კი, დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც გასაჩივრებული განაჩენი პირველი მოპასუხის მიმართ შეიცვალა სასჯელის მხოლოდ ნაწილში მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

13. სამშენებლო კომპანიის მიერ სადავო ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 სექტემბრის განჩინებით მხარეებს შორის დამტკიცდა მორიგება, რომლის თანახმადაც პირველმა და მეორე მოპასუხემ სრულად აღიარეს 751 041.49 აშშ დოლარის (1 285 172.69 ეკვივალენტი ლარის) სასარჩელო მოთხოვნა. ამასთან, მისი დაფარვის ვალდებულება ნაწილობრივ თანხით, ხოლო დარჩენილი ნაწილის სანაცვლოდ მათი კუთვნილი უძრავი ქონების მენარდის საკუთრებაში გადაცემით იკისრეს. სამშენებლო კომპანიის მიერ პირველი და მეორე მოსარჩელის წინააღმდეგ 1 285 172.69 ლარის დაკისრების მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, მოსარჩელისა და შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ (რომლის ავტორიც მეორე მოსარჩელე იყო) სარჩელზე/შეგებებულ სარჩელზე უარის თქმის გამო, შეწყდა საქმისწარმოება.

14. 2013 წლის პირველ თებერვალს პირველმა და მეორე მოსარჩელემ (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც მოსარჩელეები) სარჩელი აღძრეს მოპასუხეთა წინააღმდეგ და მოითხოვეს:

14.1. პირველი და მეორე მოპასუხისათვის 316 150 აშშ დოლარის დაკისრება პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ.

14.2. პირველი და მეორე მოპასუხისათვის 730 069 აშშ დოლარის დაკისრება მოსარჩელეთა სასარგებლოდ.

14.3. პირველ მოპასუხესა და მესამე მოპასუხეს შორის ქ.ქ-ში, დ. ა-ლის გამზირ №251-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: ...) 2011 წლის 6 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

14.4. მეოთხე მოპასუხე კომპანიის 2011 წლის 17 აგვისტოს №... კრების ოქმის (სანოტარო აქტი №...) ბათილად ცნობა.

14.5. პირველი მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღების დადგენა მეხუთე მოპასუხის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქ.თ-ში, პ. ი-ის ქ.№13-ში მდებარე (ყოფილი ჯ-ის) საკადასტრო კოდი: ..., 1/2 ნაწილიდან.

15. მოსარჩელეთა მითითებით, 2007 წლის პირველ მაისს პირველმა მოსარჩელემ სადავო მიწის ნაკვეთის შესაძენად კომპანია „ე. ტ. ი-ისაგან“ ისესხა 500 000 ლარი. იმავე წელს ისესხა 6 000 000 აშშ დოლარიც. პირველი მოსარჩელე მოპასუხეებს ურიცხავდა თანხას მიწისა და სამშენებლო მასალების შესაძენად, სახლის მშენებლობისათვის და შესაბამისი ნებართვების მისაღებად, რაც მათ არადანიშნულებისამებრ გამოიყენეს, კერძოდ: ა) პირველმა და მეორე მოპასუხემ ვერ წარადგინეს 730 069 აშშ დოლარის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები. აღნიშნული არის პირველი და მეორე მოპასუხის მიერ მითვისებული ის თანხა, რომელიც უნდა მოხმარებოდა მშენებლობის მიზნით მენარდესთან დადებულ ხელშეკრულებას. მითითებული დასტურდება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენითაც; ბ) მოსარჩელეთა მტკიცებით, არქიტექტორთან 192 000 აშშ დოლარის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება ყალბი იყო და რეალურად მხარეებმა მომსახურების ღირებულებად 70 000 ლარი განსაზღვრეს; გ) სადავო მიწის ნაკვეთის შესაძენად, პირველმა და მეორე მოპასუხემ 424 000 აშშ დოლარის ნაცვლად, 300 000 აშშ დოლარი გადაიხადეს. მითვისებული ფულის დაბრუნების თავიდან არიდების მიზნით, პირველმა მოპასუხემ 2011 წლის 6 ივნისს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა თავის შვილთან – მესამე მოპასუხესთან, რომელმაც ეს ქონება 2011 წლის 18 აგვისტოს მეოთხე მოპასუხე კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეიტანა. ამდენად, მოსარჩელები მოითხოვენ ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობას, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულების დადგენას პირველ მოპასუხის მეუღლის კუთვნილი უძრავი ქონებიდან.

16. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მათ წარადგინეს როგორც მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი, ისე მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და მიუთითეს, რომ ისინი მოქმედებდნენ სწორედ მათი მარწმუნებლის დავალების შესრულების მიზნით და მისი ინტერესების შესაბამისად. ამასთან, პირველი მოპასუხე არასოდეს ყოფილა მეორე მოსარჩელე კომპანიის წარმომადგენელი, შესაბამისად, მეორე მოპასუხისათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნა უსაფუძვლოა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენს კი, არ გააჩნია პრეიუდიციული ძალა. იგი ვერც თანხის დაკისრების საფუძვლად ვერ გამოდგება და ვერც ამ განაჩენით დადგენილი ფაქტები ვერ მიიჩნევა უდავოდ. მოპასუხეთა მითითებით, მოსარჩელებს არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები.

ბები, რომლებიც 06.07.2011 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების მოწვევებითობას დაადასტურებდა. ამასთან, მოპასუხეთა შედაგების მიხედვით, თანხის დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნები ხანდაზმულია.

17. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით:

17.1. მოსარჩელეთა სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

17.2. პირველ მოპასუხეს 152 200 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ;

17.3. პირველ მოსარჩელეს უარი ეთქვა მეორე მოპასუხისათვის თანხის დაკისრებაზე.

17.4. არ დაკმაყოფილდა მეორე მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა პირველი და მეორე მოპასუხისათვის თანხის დაკისრების თაობაზე.

17.5. არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მოპასუხის მიმართ მოთხოვნის ნაწილობრივად.

18. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 394-ე, 317-ე, 709-ე, 715-ე, 992-ე, 50-ე, 56-ე, 1158-ე, 1159-ე და 1170-ე მუხლები და მიუთითა შემდეგი:

18.1. სასამართლომ, მონმეთა ჩვენებებით, ასევე, საქმეში წარმოდგენილი თანხის მიღების დამადასტურებელი ხელწერილებით დადგენილად მიიჩნია, რომ უძრავი ქონების მესაკუთრეებმა განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას მეორე მოპასუხისაგან ბანკის ფილიალში მიიღეს ნასყიდობის თანხის ნაწილი, თითოეულმა 25 000 – 25 000 აშშ დოლარი. მათი წარმომადგენლის განმარტებით კი, პირველმა მოსარჩელემ მას უძრავი ქონების ნასყიდობის ფასი 300 000 აშშ დოლარი ნაწილ-ნაწილ ერთი თვის ვადაში გადაუხადა. 2007 წლის 4 ივნისს გამყიდველი მხარის წარმომადგენელმა სასამართლო წესით დაამონმა განცხადება, სადაც მიუთითებდა, რომ მან სრულად მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 424 150 აშშ დოლარი. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება, რომ, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ პირველმა მოპასუხემ სადავო მინის ნაკვეთში გამყიდველებს გადაუხადა მხოლოდ 300 000 აშშ დოლარი, ხოლო პირველმა მოსარჩელემ ამავე მინის ნაკვეთის შესაძენად გადმორიცხა 424 150 აშშ დოლარი, მას მიადგა 124 150 აშშ დოლარის ზიანი. სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილია ნოტარიალურად დამოწმებული ხელშეკრულება,

რომლითაც ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 424 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. სასამართლომ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად მიიჩნია, რომ სადავო მიწის ნაკვეთი ხელშეკრულებაში მითითებულ ფასად არის შეძენილი და აღნიშნული მოქმედებით მოსარჩელეს ზიანი არ მისდგომია.

18.2. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ არქიტექტურული მომსახურებისათვის პირველმა მოსარჩელემ არქიტექტორს სულ გადაუხადა 38 000 აშშ დოლარი და 3000 ლარი, მათ შორის, 38 000 აშშ დოლარი გადასცა ხელზე, ხოლო 3000 ლარი ჩაურიცხა ანგარიშზე. ვინაიდან მარწმუნებელმა რწმუნებულს 192 000 აშშ დოლარი გამოუგზავნა არქიტექტორისათვის გადასაცემად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პირველმა მოპასუხემ სრულყოფილად არ შეასრულა 2007 წლის 16 აგვისტოს მინდობილობის საფუძველზე დაკისრებული ვალდებულება და დასაბრუნებელი თანხა 152 200 აშშ დოლარს შეადგენდა.

18.3. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ პირველი მოსარჩელე მეორე მოსარჩელის დაფუძნების შემდეგაც აგრძელებდა სადავო მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის თანხის ჩარიცხვას როგორც პირველი, ისე მეორე მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე.

18.4. სასამართლომ განაჩენით, მხარეთა ახსნა-განმარტებებით, მოწმე ე. გ-ის (სამშენებლო კომპანიის დირექტორის) ჩვენებით და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილად მიიჩნია, რომ მეორე მოსარჩელის მიერ სასარჩელო განმცხადებით მოთხოვნილი 730 069 აშშ დოლარი, რომლის დახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტებიც მოპასუხეებმა ვერ წარადგინეს, არის სწორედ ის თანხა, რომელიც პირველი მოპასუხის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ, პირველმა და მეორე მოპასუხემ მენარდეს მეორე მოსარჩელის ვალის სანაცვლოდ გადაუხადეს. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მტკიცება იმის თაობაზე, რომ მეორე მოსარჩელეს სამშენებლო კომპანიის მიმართ დავალიანება არ გააჩნდა, რაც, მოსარჩელის მტკიცებით, დასტურდებოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 ოქტომბრის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ გაიზიარა მოპასუხეთა განმარტება, რომ სამშენებლო კომპანიამ სარჩელზე უარი თქვა იმის გამო, რომ 2012 წლის 30 ოქტომბრისათვის უკვე ძალაში იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 სექტემბრის განჩინება მხარეთა მორიგების შესახებ და მოპასუხეებს

მისთვის უკვე ანაზღაურებული ჰქონდათ მეორე მოსარჩელის ვალი. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ დროისათვის უკვე აღარ არსებობდა დავის საგანი, რის გამოც შეწყდა საქმის წარმოება. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან ზიანი უკვე ანაზღაურებული იყო, არ არსებობდა მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურებისათვის ხელმეორედ თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

18.5. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ, პირველი მოსარჩელე პირველ და მეორე მოპასუხეებისათვის 316 150 აშშ დოლარის დაკისრებას მოითხოვდა იმ საფუძველით, რომ მოპასუხეებმა, მათთან გაფორმებული დავალების ხელშეკრულებების შესაბამისად, მიწის ნაკვეთის შესაძენად და არქიტექტურული პროექტის შესადგენად გადმორიცხული თანხა მიითვისეს. სასამართლოს მითითებით, პირველ მოსარჩელეს მეორე მოპასუხისათვის ასეთი დავალებები არ მიუცია და არც ამ უკანასკნელს არ შეუსრულებია ისინი. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი მოსარჩელის მოთხოვნა მეორე მოპასუხისათვის დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ნაწილში უსაფუძვლო იყო და არ დააკმაყოფილა.

18.6. რაც შეეხება სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებისა და კრების ოქმის ბათილობას, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეებმა ვერ დაასაბუთეს, თუ რატომ შეიძლებოდა, დაედოთ მოპასუხეებს მოჩვენებითი გარიგება. სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ მოპასუხეებს ნამდვილად სურდათ სადავო გარიგებების დადება და ამით არ ილახებოდა მესამე პირთა, მათ შორის, მოსარჩელეთა ინტერესი.

18.7. მეხუთე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 1158-ე და 1170-ე მუხლებზე და განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში ამ ნორმებით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა არ დასტურდებოდა, ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა აღსრულების წესის დადგენის თაობაზე დაუსაბუთებელი იყო.

19. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელეებმა და პირველმა მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

20. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვე-

ტილება.

20.1. სააკველაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება (წინამდებარე განჩინების 18.1-18.7 პუნქტები) და დამატებით მიუთითა, რომ ის ფაქტი, რომ პირველმა მოპასუხემ პირველ მოსარჩელეს არ აცნობა 2008 წლის 22 მარტს არქიტექტორთან გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების შესახებ, მიუთითებდა მის არაკეთილსინდისიერებაზე, მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსით მყარადაა განმტკიცებული პრინციპი, რომ „ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, ჯეროვნად დათქმულ დროსა და ადგილას“ და ასევე მხარეები „ვალდებული არიან სამოქალაქო უფლებები განახორციელონ კეთილსინდისიერად“. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ამ მხრივ ნაწილობრივ საფუძვლიანი იყო.

20.2. სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 715-ე მუხლის გამოსაყენებლად აუცილებელი იყო შემდეგი წინაპირობები: დავალების ხელშეკრულების არსებობა, რწმუნებულისათვის მინდობილი მოქმედების შესასრულებლად რაიმეს გადაცემის ფაქტი, დავალების შესასრულებლად რწმუნებულს არ უნდა გამოეყენებინა მისთვის გადაცემული თანხა. სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, მხარეებს შორის არსებობდა დავალების ხელშეკრულება, რწმუნებულმა კი, სრულად არ გამოიყენა დავალების შესრულებისათვის მისთვის გადაცემული თანხა.

20.3. სააკველაციო სასამართლომ, სსკ-ის 464-ე მუხლზე მითითებით, განმარტა, რომ სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. მოცემულ შემთხვევაში, პირველი და მეორე მოპასუხის სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის არცერთი მითითებული საფუძველი არ არსებობდა.

20.4. სააკველაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეთა მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულებისა და კრების ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში აღიარებითი ხასიათის იყო, ხოლო იურიდიული ინტერესის არსებობაზე, სარჩელში არაფერი იყო აღნიშნული. შუამდგომლობების განხილვის ეტაპზე, მხარემ თავის იურიდიულ ინტერესად მიუთითა ის გარემოება, რომ, თუკი გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ გამოვიდოდა, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იძულებითი აღსრულების საფუძველზე მოპასუხის საკუთრებაში უნდა ყოფილიყო რაიმე ქონებრივი ფასეულობა. პალატამ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში იურიდიული ინტერესი სადავო გარიგებების ბათილობისა, არ იკვეთებო-

და, გარდა მხარის ვარაუდისა, რომ გადანყვეტილების აღსრულებას ხელი შეეშლებოდა. საქმის მასალებით კი, არც ურთიერთშეთანხმება, არც სხვა გარიგების დაფარვის ან იურიდიული შედეგის გარეშე გარიგებების დადების მიზანი მხარეებს არ ჰქონდათ. შესაბამისად, არ არსებობდა მოსარჩელეთა მიერ მითითებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში სწორად ეთქვათ უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

20.5. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ პირველი და მეხუთე მოპასუხეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან და ეს უძრავი ქონება მათი ქორწინების დროს არის შეძენილი, რის გამოც პალატამ მეხუთე სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია.

21. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე მოსარჩელებმა და პირველმა მოპასუხემ საკასაციო საჩივარი წარადგინეს.

21.1. პირველმა კასატორმა ახალი გადანყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

21.1.1. უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება მეორე მოსარჩელის უშუალო მონაწილეობით გაფორმდა, რის გამოც მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის, 991-ე და 998-ე მუხლების შესაბამისად, პირველი და მეორე მოპასუხე ვალდებული არიან, სოლიდარულად დააბრუნონ პირველი მოსარჩელის უსაფუძვლოდ მიღებული, მითვისებული 124 150 აშშ დოლარი.

21.1.2. სააპელაციო სასამართლომ პირველ მოსარჩელეს არასწორად უთხრა უარი არქიტექტორისთვის, ვითომ გადასახდელი 192 000 აშშ დოლარის ანაზღაურებაზე. ამ ნაწილში სასამართლო გადანყვეტილება უპირისპირდება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს (ქმნის კოლიზიას). სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-8, 463-ე, 464-ე, 969-ე, 991-ე და 996-ე მუხლები.

21.1.3. სააპელაციო სასამართლომ კასატორებს უარი უთხრა 730 069 აშშ დოლარის ანაზღაურებაზე. ამ შემთხვევაშიც სასამართლომ უარყო სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ცალსახად დაადგინა, რომ მათ აღნიშნული ქმედება არ ჩაუდენიათ, მაშინ, როცა, ამავე განაჩენებზე დაყრდნობით, პალატამ და-

ადგინა, რომ 741 613.83 აშშ დოლარი მენარდის მიერ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებელი თანხა იყო.

21.1.4. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კონსტიტუციური პრინციპი (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 სექტემბრის განჩინების კასატორებზე გავრცელებით, რომლებიც არ იყვნენ მინვეულები ამ საქმის განხილვაში და აღნიშნული კოლეგია არ იხილავდა მათ წინააღმდეგ მიმართულ საქმეს, რის გამოც, პირველი კასატორები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, დაეცვათ საკუთარი უფლებები. სსსკ-ის 422-ე მუხლით დადგენილი წესითაც კი, მათ არ აქვთ შესაძლებლობა, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობა.

21.1.5. პირველ და მესამე კასატორს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება დროის ზუსტად იმ მონაკვეთშია გაფორმებული, როდესაც გამოვლინდა პირველ და მეორე მოპასუხის მიერ საკუთარი მოვალეობების არაკეთილსინდისიერად შესრულების ფაქტი, გამოვლინდა იმ ეტაპზე მათ მიერ 730 069 აშშ დოლარის მითვისება, შესაბამისად, აღნიშნული თანხის შესაძლო დაკისრებისა და გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, პირველმა მოპასუხემ თავის სახელზე რიცხული ქონება გადააფორმა ოჯახის წევრზე, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს აღნიშნული გარეგების დადების მოჩვენებით ხასიათზე.

21.1.6. მოპასუხეებს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ პირველი და მეხუთე მოპასუხე მეუღლეები არიან და უძრავი ქონება თანაცხოვრების პერიოდში აქვთ შეძენილი. მათ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მთავარ სხდომაზე უარყვეს, რაც განიხილება, როგორც ახალ გარემოებაზე მითითებად და სასამართლომ არ უნდა გაიზიაროს.

21.2. მეორე კასატორმა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად უარყოფა მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით: არქიტექტორმა ხელი მოაწერა რუსულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას, სადაც სამუშაოს ღირებულება განსაზღვრული იყო 192 000 აშშ დოლარით. შემდგომში შეიცვალა მხარეთა შეთანხმება და ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება 70 000 ლარით განისაზღვრა. სამოქალაქო სამართალში მოქმედი ზოგადი პრინციპის თანახმად, ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საგანზე დადებული რამდენიმე ხელშეკრულებ

ბიდან ნამდვილად მიიჩნევა ყველაზე გვიან გაფორმებული ხელშეკრულება. იგივე პრინციპი მოქმედებს სამართლის ნორმის მიმართ მისი დროსა და სივრცეში გამოყენებისას, თანახმად „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონისა. ამდენად, ნამდვილად მიიჩნევა სწორედ მხარეთა შორის ბოლოს გაფორმებული ხელშეკრულება. არქიტექტორის ჩვენებით დასტურდება, რომ მან ხელშეკრულების შესრულებისათვის აიღო 38 000 აშშ დოლარი და 3 000 ლარი, რომლის ჯამი 70 000 ლარია. ამდენად, ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა სრულად არის გადახდილი და არ არსებობს სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილების საფუძველი.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეტუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

23. საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი, დაუსაბუთებლობის გამო, არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პირველი კასატორის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ნაწილობრივ გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე, ხელახალი განხილვის მიზნით, დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

24. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამო-

ყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმების გამოყენებისა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასება-დადგენის თვალსაზრისით, მეორე კასატორს დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) არ წარმოუდგენია, ხოლო პირველმა კასატორმა კი, ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა.

25. მოცემულ საქმეში პირველი მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხებისათვის 316 150 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: პირველ მოპასუხეს პირველმა მოსარჩელემ დაავალა მისი სახელით უძრავი ქონების შეძენა და საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შედგენა. ამ დავალებათა შესასრულებლად პირველმა მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს გადასცა 424 150 აშშ დოლარი მიწის ნაკვეთის შესაძენად, ხოლო 192 000 აშშ დოლარი – არქიტექტურული პროექტის შესადგენად. პირველმა მოპასუხემ ბოროტად გამოიყენა მარნმუნებლის (პირველი მოსარჩელის) ნდობა, თავის შვილთან, მეორე მოპასუხესთან ერთად, მოტყუებით დაეუფლა და მიისაკუთრა მარნმუნებლის ფული, რომელიც განკუთვნილი იყო ზემოხსენებულ დავალებათა შესასრულებლად, კერძოდ, მოპასუხეებმა მიწის ნაკვეთის შესაძენად გადააცემული თანხიდან მიითვისეს 124 150 აშშ დოლარი, ხოლო არქიტექტურული პროექტის შესადგენად გადაცემული 192 000 აშშ დოლარი კი, სრულად მიისაკუთრეს, შესაბამისად, მითვისებულმა თანხამ შეადგინა 316 150 აშშ დოლარი (124150+192000). პირველი მოსარჩელის განმარტებით, მითითებული გარემოებები დასტურდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით (იხ. სარჩელი და მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტება სასამართლო სხდომაზე).

26. პირველი მოსარჩელის მიერ მითითებული ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 998-ე (თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღა-

უროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლები.

27. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი), შესაბამისად, უნდა შევამოწმოთ, შესრულებულია თუ არა ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა. როგორც აღინიშნა, მოსარჩელე მოითხოვს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რის დასადასტურებლადაც სარჩელს დაურთო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. ამ განაჩენით დასტურდება პირველი მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოსარჩელის საკუთრების უფლების ხელყოფა), ზიანი (ქონებრივი დანაკლისი, რომელიც მოსარჩელეს მიადგა), მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის (მიღებული ზიანი არის პირველი მოპასუხის მოქმედების უშუალო შედეგი) და ზიანის მიმყენებლის ბრალი (პირველმა მოპასუხემ განზრახ ხელყო მოსარჩელის საკუთრების უფლება).

28. პირველი მოპასუხის მოსაზრებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული ზემოხსენებული განაჩენით დადგენილი ფაქტები არ შეიძლება, ზიანის ანაზღაურების საფუძვლად გამოვიყენოთ, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლში შესული ცვლილებით, განაჩენით დადგენილ ფაქტებს აღარ გააჩნიათ პრეიუდიციული მნიშვნელობა სამოქალაქო საქმეების განხილვისას. საკასაციო პალატა ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ სსსკ-ის 106-ე მუხლზე მითითება ამავე კოდექსის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილის გაუთვალისწინებლად არ შეიძლება. მართალია, სსსკ-ის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი („ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება“) 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა, მაგრამ იმავე წლის 15 დეკემბრის კანონით

(№4075.სსმ1, №76) განხორციელებული ცვლილებით დანაშაუ-
ლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნე-
ბის განხილვისას მოქმედებს განსხვავებული წესი, რაც იმას გუ-
ლისხმობს, რომ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითე-
ბული სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები ხელახლა არ
დგინდება, ანუ ისინი დადგენილად მიიჩნევა (სსსკ-ის XXXIV თა-
ვი).

29. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი მოსარჩელის
მოთხოვნა მოპასუხებისათვის 192 000 აშშ დოლარის სოლიდა-
რულად დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დასაბუთებულია
შემდეგ მოსაზრებათა გამო:

29.1. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით,
მართალია, დადგენილია, რომ დავალების შესასრულებლად,
კერძოდ, არქიტექტურული პროექტის შესადაგენად პირველმა
მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს გადასცა 192 000 აშშ დოლა-
რი, რომელიც ამ უკანასკნელმა მიითვისა, მაგრამ წინამდებარე
დავის განხილვის პროცესში გაირკვა შემდეგი: არქიტექტურუ-
ლი პროექტის დამზადების ღირებულება 39 800 აშშ დოლარი
პირველმა მოპასუხემ გადაუხადა საპროექტო სამუშაოების შემ-
სრულებელ არქიტექტორს (მენარდეს), თანახმად ნარდობის
ხელშეკრულებისა, რომლის ღირებულებაა 70 000 ლარი. სადა-
ვო არაა, რომ არქიტექტურული პროექტი გადაეცა შემკვეთს
(პირველ მოსარჩელეს). ამდენად, განაჩენის გამოტანის შემდეგ
პირველმა მოპასუხემ გადაუხადა რა მენარდეს შესრულებული
სამუშაოს ღირებულება, ამდენითვე შემცირდა მოსარჩელისათ-
ვის მიყენებული ზიანი და ამ თანხის პირველი მოპასუხისათვის
დაკისრება გამოიწვევს მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრე-
ბას. ზიანის ანაზღაურების მიზანია არა დაზარალებულის უსა-
ფუძვლო გამდიდრება, არამედ მისთვის ქონებრივი დანაკლი-
ნის შესაბამისი ეკვივალენტის გადახდა. მოცემულ შემთხვევა-
ში, ვინაიდან მოსარჩელემ (შემკვეთმა) მიიღო მენარდის მიერ
შესრულებული 39 800 აშშ დოლარის ღირებულების სამუშაო და
ეს თანხა პირველმა მოპასუხემ გადაიხადა, მოსარჩელის ქო-
ნებრივი დანაკლისი კვლავ 192 000 აშშ დოლარი ვეღარ იქნება.
ამ თანხას უნდა გამოაკლდეს პირველი მოპასუხის მიერ გადახ-
დილი 39 800 აშშ დოლარი და მიღებული სხვაობა – 152 200 აშშ
დოლარი უნდა აუნაზღაურდეს მოსარჩელეს (სამართლებრივი
დასაბუთებისთვის დამატებით იხ. წინამდებარე განჩინების
31.3. და 31.4. პუნქტები).

29.2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს 39 800 აშშ დოლა-
რის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში პირველი მოსარჩელის

პრეტენზიას, ვინაიდან მას პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას (იხ. საპაექრო სიტყვა) არ მიუთითებია, რომ ზემოხსენებული თანხა პირველმა მოპასუხემ გადაიხადა პროექტის საავტორო ზედამხედველობის ხელშეკრულების შესაბამისად და არა არქიტექტურული პროექტის დამზადებისათვის. შესაბამისად, ამ გარემოებაზე საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს (სსკ-ის 407-ე მუხლი). ამასთან, კასატორის მიერ მიუთითებული გარემოება არც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არ დასტურდება.

29.3. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს 152 200 აშშ დოლარის პირველი მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე ამ უკანასკნელის პრეტენზიას (იხ. წინამდებარე განჩინების 21.2. პუნქტი), ვინაიდან მან მხოლოდ იმის დამტკიცება შეძლო, რომ 39 800 აშშ დოლარი გადაიხადა მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. მან ვერ შეძლო იმის დამტკიცება, თუ რატომ არ უნდა გადაიხადოს დარჩენილი თანხა, მაშინ, როდესაც განაჩენით ზიანის ფაქტი დადგენილია.

29.4. საკასაციო პალატა ვერც პირველი კასატორის (პირველი მოსარჩელის) იმ პრეტენზიას ვერ გაიზიარებს, რომ 152 200 აშშ დოლარი სოლიდარულად ორივე მოპასუხეს უნდა დაჰკისრებოდა. პალატა განმარტავს, რომ სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები სსკ-ის 464-ე მუხლით არის განმტკიცებული (ამგვარი ვალდებულება წარმოიშობა: ა) ხელშეკრულებით, ბ) კანონით, გ) ვალდებულების საგნის განუყოფლობით). ვინაიდან მოსარჩელე დანაშაულით მიყენებული ზიანის ანზღაურებას მოითხოვს, მეორე მოპასუხის სოლიდარული ვალდებულება შესაძლებელია, სსკ-ის 998-ე მუხლს დაფუძნებოდა, მაგრამ, პალატა მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, ამ ნორმით გათვალისწინებული წინაპირობები არ არსებობს, კერძოდ, 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენი მხოლოდ პირველი მოპასუხის მიმართ გამოვიდა, შესაბამისად, ზიანის მიყენებაში მეორე მოპასუხის თანამონაწილეობა არ დადგენილია. ამასთან, კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა მეორე მოპასუხის თანამონაწილეობა ზიანის მიყენებაში, მაშინ როდესაც დადგენილია, რომ პირველმა მოსარჩელემ 192 000 აშშ დოლარი სწორედ პირველ მოპასუხეს გამოუფხავა დავალების შესასრულებლად, ამ უკანასკნელმა კი, ეს თანხა მიითვისა. ამდენად, მოსარჩელისათვის ზიანის უშუალოდ მიმყენებელი პირველი მოპასუხეა. მართალია, სსკ-ის 998.2 მუხლის მიხედვით, ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ

მიყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მეორე მოპასუხემ პირველი მოპასუხე დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო ან, რომ მან შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით.

29.5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, პირველი მოპასუხისათვის 152 200 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში, გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს (სსსკ-ის 410-ე მუხლი).

30. საკასაციო პალატა იზიარებს პირველი მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 124 150 აშშ დოლარის პირველი მოპასუხისათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მითითებული თანხის დაკისრებაზე უარი იმით დაასაბუთა, რომ მინდობილმა პირმა დავალების შესასრულებლად გადაცემული თანხა განკარგა ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის შესაბამისად. სასამართლომ აღნიშნული დასკვნა დაამყარა მონებითა განმარტებებს, ასევე, საქმეში წარმოდგენილ თანხის მიღების დამადასტურებელ ხელწერილებს. სააპელაციო პალატამ მითითებული დასკვნა ისე გამოიტანა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი საერთოდ არ შეაფასა, კერძოდ, არ გამოიკვლია, თუ რა დაადგინა განაჩენმა უძრავი ქონების შესაძენად პირველი მოპასუხისათვის გადაცემული თანხის ხარჯვის ნაწილში, ასევე, არ იმსჯელა იმაზე, შეეძლოთ თუ არა გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულ მტკიცებულებებს განაჩენით დადგენილი ფაქტების გაქარწყლება (იხ. წინამდებარე განჩინების პ.28). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მითითებულ ნაწილში დაუსაბუთებელია, რის გამოც უნდა გაუქმდეს და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

31. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია მეორე მოსარჩელის მოთხოვნა 730 069 აშშ დოლარის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე შემდეგ მოსაზრებათა გამო:

31.1. მეორე მოსარჩელის ზემოხსენებული მოთხოვნა ეფუძნება შემდეგ ფაქტებს: პირველმა მოსარჩელემ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის მოპასუხეებს სხვადასხვა დროს ჩაურიცხა 1 690 956 აშშ დოლარი. პირველმა მოსარჩელემ

მოპასუხეებს მოსთხოვა მათ მიერ მიღებული თანხის მიზნობრივად დახარჯვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, რაც მათ არ შეასრულეს. ამის შემდეგ, პირველმა მოსარჩელემ დააფუძნა საწარმო (მეორე მოსარჩელე), რომლის დირექტორმა მოპასუხეებს იგივე პრეტენზია წაუყენა. მოპასუხეებმა მეორე მოსარჩელეს წარუდგინეს ზემოხსენებული თანხის მხოლოდ ნაწილის მიზნობრივად დახარჯვის დამადასტურებელი მტკიცებულებები, 730 069 აშშ დოლარის მიზნობრივად დახარჯვის დამტკიცება კი, ვერ შეძლეს, შესაბამისად, მათ ეს თანხა მიითვისეს. მეორე მოსარჩელის განმარტებით, მითითებული გარემოებები სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დასტურდება.

31.2. სარჩელში მითითებული ზემოხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ მოპასუხეების მიერ მითვისებული სადავო თანხის (730 069 აშშ დოლარის) მოთხოვნის უფლება პირველმა მოსარჩელემ მეორე მოსარჩელეს დაუთმო (სსკ-ის 199-ე მუხლი), კერძოდ, მოთხოვნის დათმობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მეორე მოსარჩელემ, პირველი მოსარჩელის თანხმობით, წაუყენა პრეტენზია მოპასუხეებს სადავო თანხის გადახდის თაობაზე, ხოლო მოგვიანებით ამავე თანხის გადახდის მოთხოვნით სწორედ მან მიმართა სასამართლოს. წარმოდგენილი სარჩელით ირკვევა, რომ პირველი მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხეებისათვის 316 150 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრებას, ხოლო მეორე მოსარჩელე – 730 069 აშშ დოლარის იმავე მოპასუხეებისათვის დაკისრებას. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ 730 069 აშშ დოლარის მოთხოვნის უფლება მეორე მოსარჩელემ პირველი მოსარჩელისგან მიიღო მოთხოვნის დათმობის საფუძველზე.

31.3. მეორე მოსარჩელის მოთხოვნაც სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1 მუხლებს ეფუძნება, თუმცა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეებისათვის სადავო თანხის დაკისრების საფუძველი აღარ არსებობს, ვინაიდან მეორე მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნები გაქვითულია სსკ-ის 442.1 მუხლის (ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა) საფუძველზე.

31.4. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია და არც მოპასუხეები არ დავობენ, რომ მათ სადავო თანხა მიიღეს პირველი მოსარჩელისგან. დადგენილია ისიც, რომ მოპასუხეებმა ეს თანხა მიითვისეს, შესაბამისად, მოსარჩელეს სადავო თანხის მოთხოვნის

უფლება წარმოეშვა კანონის, კერძოდ, დელიქტური ვალდებულების საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ასევე, რომ მეორე მოსარჩელეს, როგორც შემკვეთს, 741 613.83 აშშ დოლარის დავალიანება გააჩნდა მენარდის მიმართ ამ უკანასკნელის მიერ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე შესრულებული სამუშაოსათვის. სასამართლომ ისიც დაადგინა, რომ მოპასუხეებმა შეასრულეს შემკვეთის ვალდებულება, კერძოდ, მენარდეს გადაუხადეს სადავო თანხა, შესაბამისად, მათ წარმოეშვათ ამ თანხის მეორე მოსარჩელისაგან მოთხოვნის უფლება სსკ-ის 986-ე მუხლის (პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია, ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება) საფუძველზე. ამდენად, ვინაიდან მეორე მოსარჩელესა და მოპასუხეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ ვადამოსული მოთხოვნები, ისინი გაქვითვას ექვემდებარება, რაც, თავის მხრივ, ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია.

31.5. მეორე მოსარჩელის საკასაციო პრეტენზია ისაა, რომ მას მენარდის მიმართ არავითარი დავალიანება არ გააჩნდა და სააპელაციო სასამართლომ ეს ფაქტი არასწორად დაადგინა. საკასაციო პალატა ამ პრეტენზიას არ იზიარებს და, უპირველესად, მიუთითებს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე, რომლითაც დადგენილია, რომ პირველი მოპასუხის მიერ მითვისებული 1 046 219 აშშ დოლარიდან, 741 613.83 აშშ დოლარი შემკვეთის კუთვნილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხაა. გარდა ამისა, კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ მენარდის მიერ ნარდობის საზღაურის გადახდის თაობაზე აღძრული სარჩელის წინააღმდეგ მან წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა 2007 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების, ურთიერთშედარებისა და სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტების ბათილად ცნობა, რომლითაც არარეალურად იყო გაზრდილი შესრულებული სამუშაოს ღირებულება. ამდენად, თავად კასატორის განმარტებით, მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების (მათ შორის, სადავო თანხის ფარგლებში შესრულებულის) თაობაზე არსებობს ორმხრივად შედგენილი ურთიერთშედარებისა და სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტები. სწორედ ამ მტკიცებულებებს აფუძნებდა მენარდე თავის სარჩელს, რომელზეც მოგვიანებით უარი თქვა იმის გამო, რომ მოპასუხეებმა შეასრულეს შემკვეთის ვალდებულება. ამ აქტებში მითითებულ მონაცემთა უსწორო-

ბა, კერძოდ, რომ არარეალურად იყო გაზრდილი შესრულებული სამუშაოს ღირებულება, მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა. მითითებული გარემოების დასადასტურებლად მოსარჩელეს, საკუთარი ახსნა-განმარტების გარდა, სხვა მტკიცებულება არ წარმოუდგენია, შესაბამისად, მან ვერ დაამტკიცა, რომ შემკვეთს მენარდის მიმართ დავალიანება არ გააჩნდა და მოპასუხეებმა არარსებული ვალდებულება შეასრულეს.

31.6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, მოპასუხეებისათვის 730 069 აშშ დოლარის მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს (სსსკ-ის 410-ე მუხლი).

32. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საწარმოს კრების ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ მოსაზრებათა გამო:

32.1. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ, მოცემულ შემთხვევაში, აღძრულია აღიარებითი სარჩელი. ასეთი სარჩელი უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 180-ე მუხლის მოთხოვნებს (სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს).

32.2. აღიარებითი სარჩელის სამართლებრივი ბუნების თაობაზე საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ: მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვილაც ედავება მას ამ უფლებაში. აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას (სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი) – საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების არსებობა: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებე-

ბა უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტილებით მხარე გარკვეულ იურიდიულ შედეგს უნდა იღებდეს, ალიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ალიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელის აღძვრა ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია, აღიძრას მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი. ალიარებითი სარჩელის დასაშვებობის ეს უკანასკნელი კრიტერიუმი განპირობებულია საპროცესო ეკონომიისა და სწრაფი მართლმსაჯულების ინტერესებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთი დავის ფარგლებში რამდენიმე სარჩელის აღძვრა. ალიარებითი სარჩელი დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი ალიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს. მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ, ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, ალიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (შდრ. სუსგ, საქმე №ას-551-522-2015, 14.08.2015; საქმე №ას-937-887-2015, 10.11.2015).

32.3. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი, სარჩელის მიხედვით, ისაა, რომ მოპასუხეებისათვის დაკისრებული თანხის ამოღება მოხდეს იმ ქონებიდან, რომელიც, მოსარჩელეთა განმარტებით, მოსაჩვენებლად დადებული გარიგების საფუძველზე განკარგა პირველმა მოპასუხემ ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდების მიზნით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხოლოდ ზემოხსენებულ გარიგებათა ბათილად ცნობით, მოსარჩელები ვერ მიაღწევენ დასახულ მიზანს, ვინაიდან ასეთი გადანყვეტილებით სადავო ქონება პირველ მოპასუხეს საკუთრებაში არ დაუბრუნდება და, შესაბამისად, ვერც აღსრულება ვერ მიექცევა მასზე. ამისათ-

ვის აუცილებელია მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელის აღძვრა, კერძოდ, სადავო ქონების პირველი მოპასუხის საკუთრებაში აღრიცხვისა და მასზე აღსრულების მიექცევის თაობაზე. ასეთი სარჩელი მოსარჩელებს არ აღუძრავთ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 399-ე, 372-ე მუხლებითა და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და მასში ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემოწმებაზეა საუბარი, თუმცა ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის 7.2 მუხლი) მაშინ, როდესაც იკვეთება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა. მოცემულ საქმეში ასეთი შემთხვევა ისაა, რომ მოსარჩელებს არ აღუძრავთ მიკუთვნებითი სარჩელი, მაშინ, როდესაც ასეთი სარჩელის აღძვრა შესაძლებელი იყო. ეს კი, მოსარჩელეთა აღიარებითი სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველია.

33. საკასაციო პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსარჩელეთა საკასაციო პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ პირველი მოპასუხისათვის დაკისრებული თანხა უნდა ამოიღონ მისი მეუღლის (მეხუთე მოპასუხის) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 1/2 ნაწილიდან, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

33.1. ამ მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველად მოსარჩელეები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ მეხუთე მოპასუხის საკუთრებაში აღრიცხული უძრავი ქონება შეძენილია მეუღლეთა (პირველი და მეხუთე მოპასუხის) რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში და, შესაბამისად, მეუღლეების თანასაკუთრებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, პირველი მოპასუხის ვალის დასაფარავად გადახდევინება უნდა მოხდეს მეუღლეთა თანასაკუთრებაში პირველი მოპასუხის წილიდან (იხ. სარჩელი და საპაექრო სიტყვა).

33.2. მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 1170.1 მუხლი (ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შე-

იძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში). აღნიშნული ნორმის მიხედვით, მოვალე მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება მიიქცევა მის ინდივიდუალურ საკუთრებაზე ან იმ წილზე, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებაში ეკუთვნის. მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი მოცემულია სსკ-ის 1158.1 მუხლში (მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქონინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი). ამდენად, სსკ-ის 1170.1 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღწევად აუცილებელი წინაპირობაა დადგინდეს, რომ მოვალე მეუღლეს წილი გააჩნია მეუღლეთა თანასაკუთრებაში. ამისათვის, თავის მხრივ, ისიც უნდა დადგინდეს, რომ ქონება, რომელზედაც მოვალე მეუღლის ვალის გადახდევინება უნდა მოხდეს, შექმნილია მეუღლეთა რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში. ამ ფაქტის როგორც მითითება, ასევე, დამტკიცება მოსარჩელის ვალდებულებაა.

33.3. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ მიუთითა, რომ პირველი მოპასუხის მეუღლის საკუთრებაში ირიცხება უძრავი ქონება, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს. მოსარჩელეს ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, მაგრამ მიიჩნევს, რომ, ვინაიდან მოპასუხე ამ ფაქტს შესაგებლით არ შესადავებია, სსკ-ის 201.4, 219-ე და 380-ე მუხლების შესაბამისად, მან დაკარგა შედავების უფლება. საკასაციო პალატა კასატორის ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან სსკ-ის 201.4 მუხლის მიხედვით, თუ სარჩელში მოყვანილ რომელიმე ფაქტობრივ გარემოებას მოპასუხე შესაგებლით არ შეედავება, იგი კარგავს ასეთი მოქმედების შესრულების უფლებას საქმის არსებითად განხილვის დროს, ხოლო ამავე კოდექსის 219.1 მუხლის მიხედვით, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე. ამ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ სარჩელში მითითებულ რომელიმე ფაქტობრივ გარემოებასთან შესაგებელში შეუდავებლობისას, მოპასუხე კარგავს შედავების უფლებას მხოლოდ საქმის არსებითი განხილვის დროს და არა საქმის მომზადების სტადიაზე. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 29 აპრილის გან-

ჩინებით სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა ამავე წლის 30 მაისს. ამ განჩინების მხარეთათვის შეტყობინებამდე და საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე, 07.05.2013 წელს მოპასუხეებმა (მათ შორის, პირველმა მოპასუხემ) წარადგინა განცხადება-შუამდგომლობა, სადაც შეედევა მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას და განაცხადა, რომ სადავო ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებას არ წარმოადგენს, შესაბამისად, სასამართლოს სსსკ-ის 201.4 და 219.1 მუხლების მოთხოვნები არ დაურღვევია, როდესაც შედავებული ფაქტის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეებს დააკისრა. მათ კი, ვერ შეძლეს მტკიცების ტვირთის დაძლევა და საქმის განხილვის ვერცერთ ეტაპზე სასამართლოს ვერ წარუდგინეს სადავო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მოსარჩელე სააპელაციო საჩივრით არ შედავებია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებას იმის შესახებ, რომ სადავო ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებობის ფაქტი არ დასტურდებოდა. უფრო მეტიც, სააპელაციო საჩივრით საერთოდ არ ირკვევა, თუ კონკრეტულად რა პრეტენზია გააჩნიათ აპელანტებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილის მიმართ, რომლითაც მათი მეხუთე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

33.4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა მეხუთე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს (სსსკ-ის 410-ე მუხლი).

34. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი მოსარჩელის დაკმაყოფილებუ-

ლი საკასაციო პრეტენზიის პროპორციულად სასამართლო ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს ქვემდგომი სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას, რაც შეეხება კასატორთა მიერ გადახდილ სახელმწიფო ბაჟის იმ ნაწილს, რა ნაწილშიც უცვლელად იქნა დატოვებული გასაჩივრებული განჩინება, იგი სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 180-ე, 187.2, 372-ე, 399-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „E. D.-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ვ. მ-ს უარი ეთქვა 2007 წლის 28 მაისის გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მ. ზ-ისათვის თანხის დაკისრების მოთხოვნაზე და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
5. ვ. მ-ისა და შპს „E. D.-ის“ სარჩელი მ. ზ-ის, ე. ზ-ისა და შპს „N. H.-ის“ მიმართ 2011 წლის 6 ივნისს მ. და ე. ზ-ეებს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების, ასევე შპს „N. H.-ის“ 2011 წლის 17 აგვისტოს №... კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნის თაობაზე დარჩეს განუხილველად;
6. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 14 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად;
7. საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
8. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-332-317-2016

9 დეკემბერი, 2016 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ბ-ის“ (შემდეგში: მოსარჩელის ან სანარმოს) 100%-იანი წილის მესაკუთრე და დირექტორი ა. ლ-აა (შემდეგში სა-ნარმოს დირექტორი).

2. მოსარჩელეს საკუთრებაში ჰქონდა ქ.თბილისში, ბ-ის ქ.№... „ა-ში“ მდებარე 173.15 კვ.მ უძრავი ქონება.

3. 2009 წლის 8 ოქტომბერს, სანარმოს დირექტორმა ა. ო-ს (შემდეგში: პირველ მოპასუხეს, კასატორს) მისცა მინდობილობა, რომლითაც მას მიანიჭა სანარმოს კუთვნილი უძრავი ქონე-ბის გასხვისების (გაყიდვის) უფლებამოსილება.

4. 2009 წლის 12 ოქტომბერს სანარმოს დირექტორი დააკა-ვეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 იანვრის განაჩენის საფუძველზე. სა-ნარმოს დირექტორი სასჯელადსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2013 წლის იანვარში.

5. 2009 წლის 15 ოქტომბერს, პირველმა მოპასუხემ, 08.10.2009 წლის მინდობილობის საფუძველზე, მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება 15 000 ლარად მიჰყიდა ო. ბ-ს (შემ-დეგში: მეორე მოპასუხეს).

6. 2009 წლის 3 ნოემბერს, ზემოხსენებული უძრავი ქონება მეორე მოპასუხემ 100980 ლარად მიჰყიდა შპს „ს. კ. ა-ს“ (შემ-დეგში მესამე პირს). მყიდველმა გადაიხადა ნასყიდობის ფასი.

7. მოპასუხეებმა მოსარჩელეს არ გადასცეს უძრავი ქონე-ბის გაყიდვით მიღებული თანხა.

8. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეე-

ბის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხეებისათვის, მის სასარგებლოდ, სანარმოს ქონების გასხვისებით მიღებული თანხის – 100 980 ლარისა და ამ თანხის დაუბრუნებლობით გამონვეული ზიანის – 15 686 ლარის დაკისრება. სარჩელისა და, საქმის ზეპირი განხილვისას, მოსარჩელის მიერ მიცემული ახსნა-განმარტების თანახმად, მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს მისცა მინდობილობა სანარმოს უძრავი ქონების გასასხვისებლად. მოპასუხეებმა ისარგებლეს სანარმოს დირექტორის დაპატიმრებით და პირველმა მოპასუხემ მეორე მოპასუხესთან (თავის სიმამრთან), მინდობილობის საფუძველზე, ფორმალურად (მოსაჩვენებლად) გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება სანარმოს უძრავ ქონებაზე. მოპასუხეებს ამ ხელშეკრულების დადების მიზანი არ ჰქონიათ, ამიტომ მათ, ნასყიდობის საგნის რეალური საბაზრო ფასის ნაცვლად, ხელშეკრულებაში მიუთითეს არარეალური ფასი – 15 000 ლარი, ამასთან, ვინაიდან ხელშეკრულება ფორმალურ ხასიათს ატარებდა, მეორე მოპასუხეს ეს თანხა არ გადაუხდია პირველი მოპასუხისათვის. ზემოხსენებული ე.წ. ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე დღეში, 2009 წლის 3 ნოემბერს, მეორე მოპასუხემ სადავო ქონება 100980 ლარად მიჰყიდა მესამე პირს, რომელსაც სანარმოსგან ადრეც ჰქონდა შეძენილი სხვა უძრავი ქონება და იგი ამჯერადაც დაინტერესებული იყო სადავო ქონების შეძენით. ამის თაობაზე იცოდნენ მოპასუხეებმა, შესაბამისად, ისინი მოქმედებდნენ შეთანხმებულად, რათა დაეფარათ ქონების რეალური ღირებულება და მისი გაყიდვით მიღებული ნამდვილი შემოსავალი. მოპასუხეები მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად. მათ არ სურდათ, მოსარჩელისათვის გადაეცათ სანარმოს ქონების გასხვისებით მიღებული რეალური შემოსავალი. ისინი ასეც მოიქცნენ და, მიუხედავად იმისა, რომ სანარმოს ქონება 100980 ლარად გაყიდეს, მოსარჩელეს ერთი თეთრიც კი არ გადაუხადეს. უფრო მეტიც, მათ პირველ გარიგებაში სიმბოლურად მითითებული თანხაც კი არ გადასცეს მოსარჩელეს და არც ამ გარიგების დადების შესახებ აცნობეს მას. ერთ-ერთმა მოპასუხემ მიღებული თანხით თავისი ვალი გაისტუმრა და გარიგების დადების მეორე დღესვე, 04.11.2009 წელს, ამ ვალის სანაცვლოდ იპოთეკით დატვირთული ბინა იპოთეკისგან გაათავისუფლა. მოპასუხეთა შეთანხმებულად მოქმედების ფაქტი, ზემოხსენებულ გარემოებათა გარდა, იმითაც დასტურდებოდა, რომ პირველმა მოპასუხემ, ვითომ მის მიერ გასხვისებულ უძრავ ქონებაზე, საჯარო რეესტრის ამონაწერი დაჩქარებული წესით აიღო 2009 წლის 3 ნოემბერს, ანუ იმ დღეს, როდესაც მეორე მოპასუხემ

სადავო ქონება მიჰყიდა მესამე პირს. „გაყიდული“ ქონების მიმართ პირველი მოპასუხის ასეთი აქტიურობა აჩენდა ეჭვს, რომ იგი მეორე მოპასუხესთან (თავის ნათესავთან) ერთად მონაწილეობდა ისეთ მანიპულაციებში, რომელიც მოსარჩელეს ქონების გაყიდვით მიღებულ რეალურ ფასს დაუმალავდა. საწარმოს დირექტორს, მინდობილობის გაცემის შემდეგ, აღარ უნახავს პირველი მოპასუხე. 2013 წლის იანვარში, პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, მან მოიკითხა საწარმოს კუთვნილი ქონება, რაზეც მინდობილობა ჰქონდა გაცემული და გამოარკვია ზემოხსენებული გარემოებები.

9. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს:

9.1. პირველი მოპასუხის განმარტებით, არასწორი იყო მოსარჩელის მითითება მისი ქონების გასხვისებაში მოპასუხეების ერთობლივად მონაწილეობის შესახებ, ასევე – მითითება იმ გარემოებაზე, რომ მეორე მოპასუხეს პირველისათვის ნასყიდობის საფასური არ გადაუხდია. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი ეკონომიკური კრიზისის გამო, საწარმოს უძრავ ქონებას არ ჰქონდა მაღალი ფასი, ამასთან, მეორე მოპასუხესთან დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული ფასი უახლოვდებოდა თავად მინდობილობაში მითითებული ფასს. მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა არაფრით უკავშირდებოდა დავალების ხელშეკრულებას, ვინაიდან ეს თანხა მიღებული იყო არა დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, არამედ დამოუკიდებლად არსებული სამართლებრივი ურთიერთობის – მეორე მოპასუხესა და მესამე პირს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, მეორე მოპასუხემ საგადასახადო ორგანოს გადაუხადა შესაბამისი გადასახადი, რაც გამორიცხავდა მეორე გარიგებაში გადახდილი თანხის პირველი მოპასუხის მიერ მიღების ფაქტს. აქედან გამომდინარე, არავითარი თვალთმაქცური გარიგება არ დადებულა. დავალების ხელშეკრულებით საწარმოს ქონება შეფასდა 20000 ლარად, შესაბამისად, მოსარჩელეს სწორედ ამ თანხის ფარგლებში შეეძლო, ედავა პირველ მოპასუხესთან, ხოლო მეორე მოპასუხის მიერ დადებული გარიგებიდან მიღებული თანხის მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა. თუ მოსარჩელეს სურდა ქონების გასხვისება კონკრეტულ მესამე პირზე, მას შეეძლო ამის თაობაზე მითითებინა დავალების ხელშეკრულებაში და, ამასთან, ქონების სხვა ღირებულება დაეფიქსირებინა. პირველი მოპასუხის განმარტებით, უსაფუძველობის გარდა, მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულიც იყო, კერძოდ, სადავო ფართი 2009 წლის 15 ოქტომბერს გასხვისდა და მოთხოვნის უფლებაც

ამ მომენტიდან წარმოეშვა მოსარჩელეს. მოპასუხის მოსაზრებით, მოცემულ ურთიერთობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 129-ე მუხლის მიხედვით, უნდა გავრცელებულიყო სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც გასული იყო, ვინაიდან მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა 2013 წლის 15 ივლისს.

9.2. მეორე მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნა დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა და, შესაბამისად, მოთხოვნაც მხოლოდ ამ ურთიერთობის მონაწილეს უნდა წაყენებოდა. მოცემულ შემთხვევაში, მეორე მოპასუხე სადავო ურთიერთობის მონაწილე არ იყო, ამიტომ მას, როგორც არასათანადო მხარეს, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა არ უნდა დაჰკისრებოდა. ამასთან, იგი სათანადო მხარეც რომ ყოფილიყო, მის მიმართ სარჩელი ვერ დაკმაყოფილდებოდა, ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით: სარჩელი პირველი მოპასუხის მიმართ დაკმაყოფილდა; პირველ მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 100 980 ლარისა და ამ თანხის დაუბრუნებლობით გამოწვეული პროცენტის – 15 686 ლარის გადახდა; სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

11. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და განმარტა, რომ:

11.1. 2009 წლის 8 ოქტომბრის ხელშეკრულების სიტყვასიტყვით, შინაარსობრივი და ლოგიკური განმარტებით, ეს ხელშეკრულება სსკ-ის 709-ე მუხლით გათვალისწინებულ დავალების ხელშეკრულებას წარმოადგენდა, რომელიც პირველ მოპასუხეს ანიჭებდა სანარმოს სახელით ქონების გაყიდვის უფლებას. ეს დავალება მას უნდა შეესრულებინა მოსარჩელის სახელით, მოსარჩელის ინტერესების სასარგებლოდ და მის ხარჯზე. მოსარჩელის ინტერესების სასარგებლო მოქმედება, უწინარესად, გულისხმობდა ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მარწმუნებლისათვის გადაცემის ვალდებულებას. პირველ მოპასუხეს მოსარჩელისათვის არ გადაუცია დასახელებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღებული სარგებელი (უძრავი ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა), რისი ვალდებულებაც მას ჰქონდა სსკ-ის 715-ე მუხლის თანახმად. გარდა ამისა, სასამართლოს მოსაზრებით, სსკ-ის 715.2 მუხლის საფუძველზე, პირველი მოპასუხე ვალდებული იყო, მო-

სარჩელისათვის გადაეხადა ასევე ნასყიდობის თანხის დაუბრუნებლობით გამონვეული ზიანი – პროცენტი;

11.2. მეორე მოპასუხე არ წარმოადგენდა დავალების ხელშეკრულების მხარეს, ამიტომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება მას ვერ წაეყენებოდა;

11.3. მოპასუხის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან სსკ-ის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყებოდა უფლების დარღვევის შეტყობის მომენტიდან. მოცემულ შემთხვევაში, საწარმოს დირექტორი 2009 წლის 12 ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე სასჯელალსრულების დაწესებულებაში იმყოფებოდა, შესაბამისად, საწარმო მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეეტყო უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე და შეეტანა სარჩელი. უფლების დარღვევის შესახებ საწარმოს დირექტორისათვის ობიექტურად ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მან სასჯელალსრულების დაწესებულება დატოვა, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენაც ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული არ იყო, ვინაიდან მან სარჩელი შეიტანა სასამართლოში 2013 წლის 15 ივლისს.

12. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

14. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით განმარტა შემდეგი:

14.1. მოსარჩელის მოთხოვნის (დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დაბალ ფასად გასხვისებით გამონვეული ზიანის) საფუძვლიანობის გასარკვევად უნდა დადგენილიყო სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისა და ამ დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ფაქტობრივი შემადგენლობა. სასამართლოს მოსაზრებით, სსკ-ის 719-ე და 408-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა შემდეგი გარემოებები: ა) დავალების ხელშეკრულების დარღვევა; ბ) წარმომადგენ-

ლის მიერ ბრალეული (განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა) ქმედების ჩადენა; გ) ზიანის მიყენების ფაქტი; დ) მიზეზობრივი კავშირი ჩადენილ ქმედებასა და ზიანს შორის.

14.2. სააპელაციო პალატამ, უპირველესად, ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე: მოპასუხეები არიან ახლო ნათესავები; პირველმა მოპასუხემ მეორე მოპასუხეს სანარმოს ქონება მიჰყიდა 15 000 ლარად, ანუ 6.7-ჯერ ნაკლებად, ვიდრე იგივე ქონება მეორე მოპასუხემ გაყიდა სულ რამდენიმე დღეში; 15.10.2015 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასი 5000 ლარით ნაკლებია დავალების ხელშეკრულებაში მითითებული უძრავი ქონების ფასზე; მეორე მოპასუხეს პირველი მოპასუხისათვის სადავო უძრავი ქონების ფასი არ გადაუცია. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ნასყიდობის ფასებს შორის ასეთი დიდი სხვაობა ვერ იქნებოდა გამოწვეული ბაზარზე ფასების ცვლილებით. პალატამ აღნიშნა, რომ, ვინაიდან აპელანტი სწორედ ამ გარემოებაზე აპელირებდა, იგი ვალდებული იყო, დაემტკიცებინა კიდევ, რაც ვერ შეძლო.

14.3. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდიდან ამოღებულ დოკუმენტაციაზე, რომლითაც ირკვეოდა, რომ პირველი გარიგების დადებიდან 18 დღეში, 2009 წლის 3 ნოემბერს, პირველმა მოპასუხემ, როგორც დაინტერესებულმა პირმა, განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა მეორე მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ამონაწერის სასწრაფო წესით მომზადება. აღსანიშნავი იყო, ასევე, რომ სწორედ 2009 წლის 3 ნოემბერს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება მეორე მოპასუხესა და მესამე პირს შორის სადავო უძრავ ქონებაზე.

14.4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სადავო უძრავი ქონების რეალური გასაყიდი ფასი იყო 100 980 ლარი, რაც იმთავითვე იცოდა პირველმა მოპასუხემ.

14.5. პალატამ აღნიშნა, რომ, სსკ-ის 715.1 მუხლის საფუძველზე, პირველი მოპასუხე ვალდებული იყო, დაებრუნებინა მარნმუნებლისათვის ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგრეთვე, ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით.

14.6. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა ზიანის დაკისრების ყველა წინაპირობა, კერძოდ, პირველმა მოპასუხემ ბრალეულად

(განზრახ) დაარღვია დავალების ხელშეკრულება – არ გადასცა მარნმუნებელს მიღებული თანხა, რითაც მოსარჩელემ განიცადა 100 980 ლარის ზიანი, როგორც ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისი.

14.7. პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ქონებრივი დანაკლისი, როგორც მარნმუნებლისათვის მიყენებული ზიანი, ანაზღაურებას ექვემდებარებოდა რწმუნებულსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგების ბათილობის გარეშეც, თუმცა პალატამ მაინც მიზანშეწონილად მიიჩნია, განემარტა, რომ 15.10.2009 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება მოსაჩვენებლად დაიდო და, შესაბამისად, ბათილი გარიგება იყო. პალატის მოსაზრებით, რამდენიმე დღის შუალედში გასხვისებული უძრავი ქონების ფასებს შორის არსებული აშკარა სხვაობა, მოპასუხეთა ნათესაური კავშირი და ის გარემოება, რომ მეორე მოპასუხემ პირველი მოპასუხის დახმარებით გაასხვისა საწარმოს უძრავი ქონება, იძლეოდა იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რომ 15.10.2009 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება მოჩვენებითი გარიგება იყო სსკ-ის 56.1 მუხლის საფუძველზე.

14.8. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პალატის მოსაზრებით, 03.11.2009 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება ფორმალურად დაიდო მეორე მოპასუხის სახელით, რეალურად კი, ამ ქონების გამყიდველი იყო პირველი მოპასუხე და სწორედ მან გაასხვისა სადავო ქონება 100 980 ლარად მინდობილობის საფუძველზე.

14.9. სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 715.1, 408-ე მუხლების საფუძველზე, დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა 100 980 ლარის პირველი მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, ხოლო სსკ-ის 715.2 და 411-ე მუხლების მიხედვით, პროცენტის მოთხოვნაც საფუძვლიანად მიიჩნია. პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებული მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენდა იმ სავარაუდო შემოსავალს, რომელსაც ვალდებულების დროული შესრულების შემთხვევაში მიიღებდა მოსარჩელე. მოცემულ შემთხვევაში, დგინდებოდა, რომ პირველმა მოპასუხემ მოსარჩელეს მიაყენა ზიანი – 100 980 ლარი. პრაქტიკულად, ეს იყო მოსარჩელის კუთვნილი თანხა, რომელიც, გამოყენების შემთხვევაში, მას მოუტანდა შემოსავალს. პალატის მოსაზრებით, განსაკუთრებული თვისებების გამო, ფულს გააჩნდა სარგებლის მოტანის უნარი საბანკო პროცენტის სახით. აქედან გამომდინარე, ფულადი ვალდებულების დარღვევა ყოველთვის ზიანის მომტანი იყო კრედიტორისათვის და განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდებო-

და არც ზიანის მიყენების ფაქტის და არც მისი ოდენობის დადგენას. რაც შეეხებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული პროცენტის (ზიანის) ოდენობას, პალატის მოსაზრებით, მოსარჩელე, მისი უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხის საბანკო ანაბარზე განთავსებით, მიიღებდა წლიურ 9% სარგებელს, შესაბამისად, ქონების რეალიზაციიდან (2009 წლის 3 ნოემბრიდან) სარჩელის აღძვრამდე (2013 წლის 15 ივლისამდე) ეს თანხა შეადგენდა 15 686 ლარს.

14.10. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა პირველი მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

15. სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება პირველმა მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. საკასაციო საჩივრის საფუძველები:

15.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა პირველი მოპასუხის პასუხისმგებლობის ფარგლები, დააკისრა რა ამ უკანასკნელს 100 980 ლარი, კერძოდ, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 08.10.2009 წლის მინდობილობის მიხედვით, სადავო ქონება მოსარჩელემ (მარწმუნებელმა) არა მარტო შეაფასა 20 000 ლარად, არამედ მინდობილობაში პირდაპირ ჩანერა, რომ რწმუნებულმა ანგარიშსწორება უნდა აწარმოოს დადებული გარიგების მიხედვით. კასატორის მოსაზრებით, გასაყიდი ქონების 20000 ლარად შეფასებით, მოსარჩელემ პირველი მოპასუხის ვალდებულების ფარგლებიც ამავე თანხით განსაზღვრა, შესაბამისად, მას არ შეიძლება, წარმოეშვას იმაზე მეტის მოთხოვნის მოლოდინი, რაც დავალების ხელშეკრულებით განისაზღვრა. კასატორის მოსაზრებით, გასათვალისწინებელი იყო თავად მოსარჩელის განმარტებაც, რომ ქონების გასხვისებით მიღებული თანხა მას სჭირდებოდა პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად. აქედან გამომდინარე, საწარმოს ქონება გასხვისდა არა სამწინარემო ურთიერთობის ფარგლებში, არამედ ექსტრემალურ პირობებში, საწარმოს დირექტორის პირადი საჭიროებისათვის, რაც გამორიცხავს მოსარჩელის უფლებას – დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სარჩელში აღნიშნული ოდენობით. სადავო ქონების ექსტრემალურ პირობებში (უმოკლეს დროში) გასხვისების გამო, პირველ მოპასუხეს ვერ მოეთხოვებოდა ამ ქონების მაქსიმალურ ფასად გაყიდვა, თუნდაც მას დავალების ხელშეკრულებაში მითითებულზე უფრო მაღალი ფასი ჰქონოდა. კასატორის მოსაზრებით, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ არ არსებობდა

რაიმე ლოგიკური კავშირი მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის არსებულ დავალების ხელშეკრულებასა და მეორე მოპასუხესა და მესამე პირს შორის დადებულ გარიგებას შორის. უფრო მეტიც, პირველმა მოპასუხემ მეორე მოპასუხისათვის ქონების მიყიდვით შეასრულა მისთვის დავალებული მოქმედება, რითაც დავალების ხელშეკრულება შეწყდა. ეს ფაქტი გამორიცხავს მეორე მოპასუხის მიერ მიღებული ნასყიდობის ფასის დავალების ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილად მიჩნევას;

15.2. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს დავის საგანი შეაცვლევეინა, რაც კანონის დარღვევაა, ვინაიდან დავის საგნის შეცვლა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია. მოსარჩელის მოთხოვნაა – დავალების ხელშეკრულების საფუძველზე პირველი მოპასუხის მიერ მიღებული თანხის დაბრუნება. მოსარჩელეს არ მოუთხოვია მოპასუხეებისათვის სადავო თანხის ზიანის სახით დაკისრება. მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობდა. ამასთან, სარჩელის შეცვლა ხდება წერილობით და ზეპირად. მოცემულ შემთხვევაში, არც ეს წესია დაცული. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ შეიძლება, დადგენილად ჩაითვალოს ზიანის მიყენების ფაქტი. გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია და სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დავალების ხელშეკრულების არსებობა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, გასცდენოდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის საუარესოდ შეებრუნებინა;

15.3. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ახლო ნათესაური კავშირის არსებობა პირველ და მეორე მოპასუხეს შორის, ვინაიდან ორივე მოპასუხე შესაგებელში უარყოფდა ამ ფაქტს, მოსარჩელეს კი, სადავო ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოსთვის;

15.4. სადავო უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულება რაიმე მტკიცებულებით არ დასტურდება. ასეთ ღირებულებად არ შეიძლება, ჩაითვალოს სადავო ქონების ნასყიდობის ფასი – 100 980 ლარი, ვინაიდან ფასს მხარეები განსაზღვრავენ თავიანთი შეხედულებით. ფასთან დაკავშირებული გარემოება მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა, რაც მან ვერ შეძლო. ამასთან, ზემოხსენებულ ნასყიდობის ფასს არავითარი კავშირი არა აქვს

მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის არსებულ ურთიერთობასთან;

15.5. კანონსაწინააღმდეგო სააპელაციო სასამართლოს მიერ მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებების უცილოდ ბათილ გარიგებებად კვალიფიკაცია. ასეთი გარიგებები საცილო გარიგებებად მიიჩნევა. რაც შეეხება სასამართლოს მიერ ნახსენებ შეცილებას, მოსარჩელე გარიგების შეცილებას შესაგებლით ვერ განახორციელებდა. მოპასუხის შემთხვევაშიც, საცილო გარიგების შეცილებისათვის საკმარისი არაა მხოლოდ შესაგებლის წარდგენა, ამიტომ მოსარჩელე საცილო გარიგებას მხოლოდ სარჩელით შეიძლება შედავებოდა, ხოლო, თუ იგი გარიგების ნამდვილობას არ ედავება, მაშინ მას შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ ამ გარიგების შესრულება;

15.6. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილ შესაგებელში კასატორი მიუთითებდა სარჩელის ხანდაზმულობაზე, რაც არასწორად არ იქნა გაზიარებული. ასეთი დასკვნის საფუძველს კასატორს აძლევს მოსარჩელის განმარტება, რომლის თანახმად, სადავო ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი მოსარჩელეს საპროცესო შეთანხმებისათვის სჭირდებოდა. ამდენად, თუკი მოსარჩელეს ფული საპროცესო შეთანხმებისთვის სჭირდებოდა და მინდობილობის გაცემიდან 4 დღეში დააკავეს, სწარმოს ქონების ბედის შესახებ მას მაშინვე უნდა სცოდნოდა, მით უმეტეს, როდესაც ქონება მინდობილობის გაცემიდან 7 დღეში გაიყიდა. ფიზიკური პირის დაკავება გავლენას არ უნდა ახდენდეს იურიდიული პირის მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევაზე. ამ შემთხვევაში, მოთხოვნის განხორციელებას სწორედ იურიდიული პირი მოითხოვს, ხოლო მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა მოთხოვნის წარმოშობიდან 3 წლისა და 9 თვის შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში, ხანდაზმულობის საკითხი სასამართლომ არათუ ობიექტურად, საერთოდ არ შეაფასა;

15.7. სასამართლომ 100 980 ლარი მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანად მიიჩნია, რაც კანონსაწინააღმდეგოა. ეს შეცილებული თანხა და არა – პირველი მოპასუხის მიერ მიღებული. თუკი ეს ზიანის თანხაა, მაშინ გაუგებარია, მას პროცენტი კიდევ როგორ დაერიცხა. ამასთან, თუკი ფული დავალების შედეგადაა მიღებული, გაურკვეველია, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობითაა გამოტანილი ეს დასკვნა. სსკ-ის 715.2 მუხლის მიხედვით, პროცენტი ერიცხება დავალების შედეგად მიღებულ და არა – ზიანის თანხას. ამდენად, ზიანის ანაზღაურების საკითხზე მსჯელობისას, სსკ-ის 715-ე მუხლი არ გამოიყენება;

15.8. არასწორადაა გადაწყვეტილი მოთხოვნილ თანხაზე

ანაბრის მსგავსად პროცენტის დარიცხვის საკითხი, კერძოდ, მოსარჩელე იურიდიული პირია, ხოლო საბანკო ანაბრის ხელშეკრულების სპეციალურ სუბიექტად მენაბრის სახით იურიდიული პირის მიჩნევა არ იძლევა მიუღებელი თანხის 9%-ით განსაზღვრის შესაძლებლობას. იურიდიული პირების ანაბრების დეპოზიტზე, ფიზიკურ პირებთან შედარებით, გაცილებით დაბალი საპროცენტო განაკვეთია, თვით ფიზიკური პირების ანაბრებზეც 9%-იანი სარგებელი არ ირიცხება და განაკვეთი გაცილებით დაბალია.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე სასამართლოს 2016 წლის 29 ივლისის განჩინებით – საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და მიღებულია არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

17. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

18. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმის, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

19. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია, თუმცა ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

20. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომე-

ლიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნავს სასამართლოს ვალდებულებას და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ №ას-15-29-1443-2012, 09.12.2013წ.; სუსგ საქმე №ას-973-1208-04).

21. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის, არსებობდა დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობა, თუმცა ეს არ გამორიცხავს პარალელურად კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლის არსებობას, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნა სოლიდარულად წაეყენა მეორე მოპასუხესაც, რომელიც, თავის მხრივ, სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდა მოსარჩელესთან. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის თავმოყრის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, შეამონმოს ყველა გასათვალისწინებელი მოთხოვნის საფუძველი, თუ ერთ-ერთი მათგანი საერთოდ (ან სრულყოფილად) ვერ მიუახლოვდება მოსარჩელის მიერ დასახულ და სასურველ შედეგს. განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე სოლიდარულად მოითხოვს საწარმოს ქონების გასხვისებით მიღებული თანხის მოპასუხეებისათვის დაკისრებას იმ საფუძველით, რომ მოპასუხეები შეთანხმებულად მოქმედებდნენ ამ თანხის არაკეთილსინდისიერი გზით მისათვისებლად, უნდა შევამოწმოთ, ხომ არ გამომდინარეობს მოსარჩელის მიერ დასახული სამართლებრივი შედეგი კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველებიდან, კერძოდ, დელიქტიდან. მართალია, მოსარჩელე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სსკ-ის 715-ე და 976-ე მუხლებს მიიჩნევს, მაგრამ მოსარჩელის მიერ მითითებული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები სავალდებულო არაა სასამართლოსათვის. მოსარჩელე შესაძლე-

ბელია, ცდებოდეს კიდევ სადავო ურთიერთობის სამართლებრივ შეფასებაში, რაც არამცთუ არ ზღუდავს სასამართლოს, არამედ, პირიქით, სწორედ სასამართლოა ვალდებული, სამართლებრივად სწორად შეაფასოს სადავო ურთიერთობა და მოძებნოს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

22. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა ემყარება წინამდებარე განჩინების მე-8 პუნქტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს. მოსარჩელის მიერ მითითებული და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი სასამართლოს აძლევს საფუძველს, გამოიტანოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოსარჩელის სასურველი სამართლებრივი შედეგი გამომდინარეობს სსკ-ის 992-ე („პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“), 998-ე („თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მართო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით“), 408.1 („იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“) და 411-ე („ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“) მუხლების შემადგენლობიდან.

23. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედე-

ბა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა („გენერალური დელიქტი“). მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამოწვევების შემთხვევებში, შესაძლებელია, ზიანის მიმყენებელს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება „გენერალური დელიქტის“ არარსებობის შემთხვევაშიც, მაგალითად, ზიანის მიმყენებლის ქმედებაში ბრალისა და მართლსაწინააღმდეგობის არარსებობისას. ასეთი საგამონაკლისო ვითარება, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს, შესაბამისად, უნდა შევამოწმოთ შესრულებულია თუ არა ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა.

24. „გენერალური დელიქტის“ ერთ-ერთი მთავარი პირობა მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. თუკი ასეთი ქმედება არ არსებობს, მაშინ დელიქტის შემადგენლობის სხვა წინაპირობების შემოწმება ზედმეტია. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება არამართლზომიერი მოქმედებაა. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. არის თუ არა მოთხოვნა მართლსაწინააღმდეგო, ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეამოწმოს სასამართლომ. მოქმედება შეიძლება, ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ: ა. იგი ობიექტურად მიმართულია რომელიმე კანონისმიერი ამკრძალავი ნორმის წინააღმდეგ; ბ. თუ მოქმედება არღვევს სხვა ვალდებულებებს, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს; გ. თუ მოქმედება არღვევს საგანგებოდ დაცულ უფლებებს (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების, პირად უფლებებს).

25. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება იმით გამოიხატა, რომ მათ მიითვისეს მოსარჩელის ქონების გასხვისებით მიღებული თანხა – 100 980 ლარი, ანუ მათ ხელყვეს მოსარჩელის საკუთრების უფლება, შესაბამისად, გამოვლინდა დელიქტის ერთ-ერთი მთავარი პირობა – მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. პალატის მოსაზრებით, არსებობს დელიქტური პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი დანარჩენი სამი ელემენტიც, კერძოდ: ზიანი – მოსარჩელემ ქონებრივი დანაკლისი განიცადა, ვერ მიიღო ქონების ღირებულება, 100980 ლარი; ბრალეულობა – მოპასუხეებმა შეთანხმებულად იმოქმედეს და არაკეთილსინდისიერი მოქმედებით ხელყვეს მოსარჩელის საკუთრების უფლება; მიზეზ-შედეგობრიობა – მოპასუხეთა ქმედებამ გამოიწვია მოსარჩე-

ლისათვის ზიანის მიყენება, ანუ, მოცემულ შემთხვევაში, მიღებული ზიანი არის ზიანის მიმყენებელთა მოქმედების უშუალო შედეგი.

26. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს არ წამოუყენებია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება) სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ (სსსკ-ის 407.2 მუხლი), რომელთა შეფასებამაც, მხარეთა ახსნა-განმარტებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატას მისცა შესაძლებლობა, მხარეთა შორის არსებული დავა დელიქტის მომნესრიგებელი ნორმებით გადაეწყვიტა.

27. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა მოპასუხეთა შორის ახლონათესაური კავშირის არსებობა. ამ პრეტენზიის მართებულობის შესამოწმებლად საკასაციო პალატა გაეცნო სააპელაციო სასამართლო სხდომის ოქმს (სააპელაციო სასამართლოს 28.01.2016 წლის სდომის ოქმი: 16.31.57-16.32.25), საიდანაც ირკვევა, რომ პირველი მოპასუხე, რომელიც პასუხობს მოსამართლის შეკითხვებს სადავო ფაქტთან დაკავშირებით, სრულიად გარკვევით და არაორაზროვნად ადასტურებს მეორე მოპასუხესთან ახლონათესაური კავშირის ფაქტს. მართალია, მოპასუხემ იკითხა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტის დადგენას, მაგრამ, მას შემდეგ, რაც სხდომის თავმჯდომარისგან მიიღო განმარტება, რომ ეს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი იყო, დაადასტურა მეორე მოპასუხესთან ახლონათესაური კავშირი. კასატორი ახლაც მიიჩნევს, რომ ხსენებული ფაქტის დადგენას საქმისათვის მნიშვნელობა არ გააჩნია. მოსარჩელის მოსაზრებით კი, ნათესაური კავშირის არსებობა, სარჩელში მითითებულ გარემოებებთან ერთობლივად, ადასტურებს იმას, რომ მოპასუხეები შეთანხმებულად მოქმედებდნენ მოსარჩელის ქონების გასხვისებისას, რათა დაეფარათ ამ ქონების რეალური ღირებულება და მოსარჩელისათვის არ გადაეხადათ მიღებული თანხა. საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები (მოპასუხეთა ახლონათესაური კავშირი; 15.10.2009 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებაში სადავო ქონების 15000 ლარად შეფასება და სულ რამდენიმე დღეში ამავე ქონების 100 980 ლარად გასხვისება; 03.11.2009 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, პირველი მოპასუხის მიერ, დაჩქარებული წესით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიღება, მაშინ, რო-

დესაც ეს უკანასკნელი ამავე დღეს დადებული გარიგების მხარეს არ წარმოადგენდა; პირველი მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ინფორმაციის წარუდგენლობა ქონების გასხვისების თაობაზე, მაშინ, როდესაც კეთილსინდისიერება (სსკ-ის 8.3 მუხლი) და უშუალოდ დავალების ხელშეკრულებაც (სსკ-ის 713.1 მუხლი) მას ამას ავალდებულებდა) ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ მოპასუხებმა იმთავითვე იცოდნენ მოსარჩელის ქონების რეალური ღირებულება და ისიც, რომ ამ ქონების შექმნა სურდა კონკრეტულ პირს, თუმცა პირველმა მოპასუხემ უშუალოდ ამ პირთან კი არ გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ, თავისი ნათესავის გამოყენებით, შექმნა „შუალედური“ ნასყიდობის ხელშეკრულება გასაყიდი ქონების არარეალური ფასით, ხოლო შემდეგ, ამავე ნათესავის მეშვეობით, იგივე ქონება გაასხვისა შვიდეჯერ უფრო ძვირად, რათა მოსარჩელისათვის არ გადაეხადა ფაქტობრივად მიღებული თანხა, რისი ვალდებულებაც, სსკ-ის 715.1 მუხლის საფუძველზე, მას წარმოემოზოდა, თუკი პირდაპირ მესამე პირთან დადებდა გარიგებას. პრეზუმირებულ ფაქტებთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: პრეზუმირებული ფაქტი ისეთი ფაქტია, რომელიც არ შედის მტკიცების საგანში, ხოლო პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი იმ მხარეს ეკისრება, რომლის სანინააღმდეგოდაც მოქმედებს იგი (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია), (იხ. სუსგ, №ას-426-403-2014, 09.10.2015). განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ პრეზუმირებული ზემოხსენებული ფაქტების გაქარწყლების მტკიცების ტვირთი მოპასუხეებს ეკისრებოდათ. პალატის მოსაზრებით, მოპასუხეებმა ვერ შეძლეს მათი მტკიცების ტვირთის რეალიზება, კერძოდ, მათ ვერ მიუთითეს ისეთ გარემოებებზე და ვერც ისეთი მტკიცებულებები ვერ წარმოადგინეს, რომლებიც ზემოხსენებულ პრეზუმფციას გააქარწყლებდა.

28. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ პირველ მოპასუხეს არ შეიძლება, მოეთხოვოს 20 000 ლარზე მეტის გადახდა, ვინაიდან, დავალების ხელშეკრულებით მოპასუხის ვალდებულება სწორედ ამ თანხით განისაზღვრა. პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის ეს პრეტენზია შესაძლოა, მართებული ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მოთხოვნა დავალების სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს დაეფუძნებოდა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი დელიქტიდან გამომდინარეობს და

არა დავალების ხელშეკრულებიდან, შესაბამისად, სამართლებრივად მნიშვნელოვანი არაა, თუ როგორ შეფასდა საწარმოს გასაყიდი ქონება დავალების ხელშეკრულებით. მართალია, კასატორი მის შესაძლო პასუხისმგებლობას 08.10.2009 წლის დავალების ხელშეკრულებასა და 15.10.2009 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებას უკავშირებს, მაგრამ სარჩელის ანალიზით აშკარაა, რომ მოსარჩელე თავის მოთხოვნას დავალების ხელშეკრულებაზე არ აფუძნებს, პირიქით, იგი სწორედ იმას აღნიშნავს, რომ 15.10.2009 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება ფორმალურად დადეს მოპასუხეებმა და ამავე ხელშეკრულებაში შეგნებულად მიუთითეს ნასყიდობის დაბალი ფასი, რათა მოსარჩელეს იმ თანხის გადაცემა არ მოეთხოვა მოპასუხისგან, რაც მან სინამდვილეში მიიღო საწარმოს ქონების გასხვისებით. აღნიშნულ გარემოებაზე მითითებით, მოსარჩელეს იმისი თქმა სურს, რომ, თუ პირველი მოპასუხე, დავალების ფარგლებში, ნასყიდობის ხელშეკრულებას უშუალოდ მესამე პირთან დადებდა, მაშინ, სსკ-ის 715.1 მუხლის (რწმუნებული მოვალეა, დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგერთვე, ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით) საფუძველზე, მოსარჩელეს უფლება ექნებოდა, მისგან მოეთხოვა 100980 ლარის გადაცემა, ანუ, კეთილსინდისიერი ქცევის შემთხვევაში, მოპასუხეები სადავო თანხის მითვისებას ვეღარ შეძლებდნენ, ორი გარიგების დადებით კი, მათ სადავო თანხის „კანონიერად“ მიღების საფუძველი შეიქმნეს. მოსარჩელე სწორედ ამიტომ უწოდებს საწარმოს ქონების გასხვისებით მოპასუხეთა მიერ მიღებულ თანხას, 100 980 ლარს, ზიანს. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ საქმის განხილვის რომელ ეტაპზე ახსენა სიტყვა „ზიანი“ მოსარჩელემ. ამ სიტყვის საერთოდ მიუთითებლობაც კი, არ ართმევდა სასამართლოს უფლებას, სარჩელში აღწერილი გარემოებების ანალიზით, მოსარჩელის მოთხოვნა (მოპასუხეებისათვის 100 980 ლარის დაკისრების თაობაზე) დელიქტიდან გამომდინარე ზიანის მოთხოვნად მიეჩნია.

29. საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია, კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოში შეცვალა დავის საგანი (სარჩელის საგანი), რითაც დაარღვია კანონი (სსსკ-ის 381-ე მუხლი), კერძოდ, კასატორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისათვის იმ თანხის დაკისრებას, რაც მან დავალების ხელშეკრულების ფარგლებში მიიღო, ხო-

ლო სააპელაციო სასამართლოში მოითხოვა ამ თანხის ზიანის სახით დაკისრება მოპასუხისათვის, რაც, კასატორის მოსაზრებით, სარჩელის შეცვლას ნიშნავს. წინამდებარე განჩინების 28-ე პუნქტში ასახული მსჯელობა გამორიცხავს კასატორის პრეტენზიის მართებულობას, თუმცა საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. ამასთან, მართლაც შეიცვალა თუ არა სარჩელი, ეს უნდა გაირკვეს ამ სარჩელის ელემენტებით, ვინაიდან სწორედ სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი სარჩელის ინდივიდუალიზაცია, ანუ ერთი სარჩელის სხვა სარჩელისგან გამოიჯენა. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). განსახილველ შემთხვევაში, ის გარემოება, რასაც კასატორი დავის საგნის შეცვლად მიიჩნევს, არ შეიძლება, ასეთად მივიჩნიოთ, ვინაიდან მოსარჩელე თავიდანვე მოითხოვდა მოპასუხეებისაგან იმ თანხის გადახდას, რაც მათ ფაქტობრივად მიიღეს მოსარჩელის ქონების არაკეთილსინდისიერი გზით გასხვისების შედეგად. ეს მოთხოვნა მოსარჩელეს არ შეუცვლია. მას არც სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ შეუცვლია. ამ გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულება იყო.

30. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, კერძოდ, განიხილა ისეთი მოთხოვნა, რომელიც მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში არ დაუყენებია. ასეთ მოთხოვნად კასატორი მიიჩნევს „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას“. წინამდებარე განჩინების 28-ე და 29-ე პუნქტებში განვითარებული მსჯელობა სრულად აბათილებს კასატორის ზემოხსენებულ პრეტენზიას, ამიტომ საკასაციო პალატა მასზე დაწვრილებით აღარ შეჩერდება, თუმცა დამატებით განმარტავს შემდეგს: მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო თანხა პირველ მოპასუხეს დააკისრა დავალების ხელშეკრულების საფუძველზე,

ანუ სასამართლომ სადავო ურთიერთობა დავალებად შეაფასა და ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით იხელმძღვანელა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, ემსჯელა ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია გადაწყვეტილება და, შესაბამისად, არ შესაძლებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას მხარეთა შორის დავალების ხელშეკრულების არსებობის თაობაზე. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო თუ არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონებენ გადაწყვეტილებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონებების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება იმავე შედეგით (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს იგივე შედეგი (სსსკ-ის 411-ე

მუხლი). მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო არ იყო შებოჭილი პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, მიუხედავად იმისა, ეთანხმებოდა თუ არა ამ შეფასებებს აპელანტი და ედავებოდა თუ არა მას აპელანტის მონიშნულმდეგე მხარე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელე მის სასარგებლოდ გამოტანილ გადანყვეტილებას ვერ გაასაჩივრებდა, ვინაიდან დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დაუშვებელია გადანყვეტილების მხოლოდ სამოტივაციო ნაწილის გასაჩივრება. ამასთან, მართალია, მოსარჩელეს გადანყვეტილება არც იმ ნაწილში გაუსაჩივრებია, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი მეორე მოპასუხისათვის სადავო თანხის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე, მაგრამ, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ვერ გახდებოდა ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მოპასუხეთა ერთობლივ მონაწილეობას ადასტურებდნენ საწარმოს ქონების გასხვისებაში. აქ მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მეორე მოპასუხის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი მხოლოდ იმით დაასაბუთა, რომ ეს უკანასკნელი არ იყო დავალების ხელშეკრულების მხარე. ეს გარემოება თავიდანვე არ ყოფილა სადავო და არც მოსარჩელე არ ამყარებდა თავის მოთხოვნას ამ გარემოებაზე. მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნებოდა ზიანის მიყენებაში მოპასუხეთა თანამონაწილეობას (სსკ-ის 998-ე მუხლი). პირველი ინსტანციის სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ თანამონაწილეობის დამადასტურებელი ფაქტები დაადგინა, სამართლებრივად სწორად არ შეაფასა. მართალია, კასატორს სურს ისე წარმოაჩინოს, თითქოს, ზიანის მიყენებაში მოპასუხეთა თანამონაწილეობა მხოლოდ ნათესაურ კავშირს ემყარება, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება სხვა გარემოებებსაც ეფუძნება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნათესაური კავშირის არსებობის ფაქტი მოპასუხემ თავადვე დაადასტურა. ამ აღიარების უარყოფის (გაქარწყლების) დამაჯერებელი განმარტება კი, მას არ წარმოუდგენია, რაც, სსსკ-ის 133-ე მუხლის მიხედვით, მისი ვალდებულება იყო. გარდა ამისა, ზიანის მიყენებაში (დელიქტური ვალდებულების წარმოშობაში) მოპასუხეთა თანამონაწილეობა, მოსარჩელეს აძლევდა უფლებას, მოთხოვნა ნებისმიერი მოვალისათვის წარედგინა როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ (სსკ-ის 465-ე მუხლი). გასათვალისწინებელია, რომ მოცემული დელიქტური ურთიერთობის არსიდან გამომდინარე, სადავო

ფაქტები მხოლოდ პირველ ან მეორე მოპასუხესთან არ არის დაკავშირებული, ამიტომ ეს ფაქტები ორივე მათგანის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული, სასამართლომ კი, ისინი ერთობლივად უნდა შეაფასოს, მიუხედავად იმისა, მოპასუხეებს მოთხოვნა სოლიდარულად წაეყენებათ თუ არა.

31. დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება საუარესოდ შეუბრუნა მოპასუხეს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საუარესოდ შებრუნების პრინციპი გულისხმობს გადაწყვეტილების გაუქმებას ან შეცვლას იმ ნაწილში, რომელიც არ ყოფილა გასაჩივრებული (სსკ-ის 384-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არც გაუუქმებია და არც შეუცვლია, შესაბამისად, გადაწყვეტილება მოპასუხის საუარესოდ არ შეუბრუნებია. კასატორს, თუ მოპასუხის საწინააღმდეგოდ ახალი ფაქტების დადგენის პრეტენზია აქვს მხედველობაში, ვერც ეს პრეტენზია იქნება გაზიარებული წინამდებარე განჩინების 27-ე-30-ე პუნქტებში ასახული მსჯელობის გათვალისწინებით.

32. დაუსაბუთებელია, ასევე კასატორის პრეტენზია გარიგებათა ბათილობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასთან დაკავშირებით, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მითითებული მსჯელობა, ზოგადად, შეესაბამება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას და, მეორე, სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული გარიგების ბათილობის საკითხს, განსახილველ შემთხვევაში, სამართლებრივი მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის სავალდებულო წინაპირობას.

33. დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არასწორად დააკისრა მოპასუხეს 100 980 ლარის წლიური 9%-ის გადახდა. კასატორის მოსაზრებით, პროცენტი ერიცხება დავალების შედეგად მიღებულ და არა ზიანის თანხას, გარდა ამისა, პროცენტის ოდენობაც არასწორადაა დადგენილი, ვინაიდან ანაბარზე შეტანილი თანხის საპროცენტო განაკვეთი იურიდიული პირებისათვის უფრო ნაკლებია, ვიდრე ფიზიკური პირებისათვის, ამასთან, წლიური 9% ფიზიკური პირების ანაბრებისთვისაც მაღალი განაკვეთია. პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, მოცემულ შემთხვევაში, პროცენტის დაკისრებას საერთოდ არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი. როგორც უკვე ითქვა, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი დელიქტი-

დან, კერძოდ, სსკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარეობს. ამ მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი მოცემულია სსკ-ის 408.1 მუხლში, ხოლო სსკ-ის 411-ე მუხლი კიდევ უფრო აზუსტებს მას და ადგენს ზიანის სრულად ანაზღაურების წესს, კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება, როგორც დადებითი ზიანი, ისე, მიუღებელი შემოსავალი. დადებითი ზიანი რეალური, მატერიალიზებული ზიანია და ამდენად, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასთან მისი მიზეზობრივი კავშირი აშკარა და უეჭველია. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელისათვის დადებითი ზიანია 100 980 ლარი, რომელიც მოპასუხეებმა მისი ქონების გასხვისებით მიიღეს და ამ უკანასკნელს არ გადასცეს, ანუ მართლსაწინააღმდეგოდ მითვისეს, ხოლო მიუღებელი შემოსავალია ის, რაც მოსარჩელემ ვერ მიიღო და, რასაც იგი მიიღებდა, ზემოხსენებული თანხა დროულად რომ მიეცათ მისთვის მოპასუხეებს. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია, შესაბამისად, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. განსახილველ შემთხვევაში, მიუღებელი შემოსავალი ფულის დაუბრუნებლობას უკავშირდება. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფულის განსაკუთრებული უნარის გათვალისწინებით, მისი ფლობა ყოველთვის ქმნის შემოსავლის მიღების პრეზუმფციას (იხ. სუსგ: №ას-439-421-2016, 22.09.2016; №ას-511-484-2015, 30.09.2015; №ას-873-835-2014, 09.10.2015). საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ფულის დროულად გადაუხდელობით გამოწვეული „მინიმალური ზიანი“ მერყეობს წლიური 7-10%-ის ფარგლებში და, როგორც წესი, გამოიანგარიშება საბანკო ანაბარზე შეტანილი თანხის წლიური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება მიუღებელი შემოსავლის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან, თუმცა, საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი მიუღებელი შემოსავლის მოცულობას მოპასუხე თავისი შესაგებლით არ შესდავებია და არც რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკისრებული პროცენტის შეცვლის აუცილებლობას დაასაბუთებდა. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ 03.11.2009 წლიდან (მოპასუხეთა მიერ სადავო თანხის მიღებიდან) 15.07.2013 წლამდე (სარჩელის შეტანამდე) 100980 ლარის 9% შეადგენს 33 323.40 ლარს. სარჩელით ირკვევა, რომ მოსარჩელემ ამ თანხის ნახევარზე ნაკლები მოითხოვა, რაც იმას ნიშ-

ნავს, რომ წლიური პროცენტი, მოცემულ შემთხვევაში, 4%-ს არ აღემატება.

34. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი დელიქტიდან გამომდინარეობს, ამიტომ ხანდაზმულობის საკითხი სსკ-ის 1008-ე მუხლის (დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ) მიხედვით უნდა გადაწყდეს. ამ ნორმით დადგენილ წესს, სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის (ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები) თანახმად, უპირატესობა გააჩნია ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმების მიმართ, კერძოდ, სსკ-ის 130-ე მუხლისგან განსხვავებით, ზემოხსენებულ სპეციალურ ნორმაში საუბარია „ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ“ რეალურ ცოდნაზე (შეტყობაზე) და არა შეტყობის უბრალო შესაძლებლობაზე. მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ მოპასუხეების მიერ საწარმოს ქონების გასხვისების შესახებ მან შეიტყო 2013 წლის გაზაფხულზე. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტის განსაზღვრისათვის ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელე იურიდიული პირია. იურიდიული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია ამ უკანასკნელმა შეიძლება, შეიტყოს იმ პირთა მეშვეობით, რომლებიც იურიდიული პირის ხელმძღვანელობის უფლებით არიან აღჭურვილი. იმ ტიპის საზოგადოებაში, რომელსაც მოსარჩელე წარმოადგენს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), ხელმძღვანელობის ფუნქცია დირექტორებს აკისრიათ. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელეს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას) ჰყავს ერთადერთი პარტნიორი და დირექტორი, რომელიც დაპატიმრებული იყო 2009 წლის 12 ოქტომბრიდან 2013 წლის თებერვლამდე. ამ გარემოების გათვალისწინებით, მოსარჩელის სასარგებლოდ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მას 2013 წლის თებერვლამდე დარღვეული უფლების შესახებ არ შეუტყვია. მითითებული პრეზუმფციის გაქარწყლების ვალდებულება მოპასუხეებს ეკისრებოდათ. მათ სასამართლოსათვის არ წარმოუდგენიათ ისეთი სახის მტკიცე-

ბულება, რაც იმ გარემოებას დაადასტურებდა, რომ დაზარალებულმა უფრო ადრე შეიტყო დარღვეული უფლების შესახებ, უფრო მეტიც, მათ ისიც კი არ მიუთითებიათ, რომ საპატიმრო დაწესებულებაში მყოფ სანარმოს დირექტორს შეატყობინეს სანარმოს ქონების გასხვისების თაობაზე, რისი პირდაპირი ვალდებულებაც პირველ მოპასუხეს გააჩნდა დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

35. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ მითითებული პრეტენზიები ვერ ასაბუთებენ საკასაციო მოთხოვნას, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ო-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული
ზიანისათვის**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ას-237-222-2014

25 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნო-
ბა, მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ქ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მო-
სარჩელე, კასატორი) და გ. თ-ი (შემდეგში ტექსტში მოხსენიე-
ბული, როგორც პირველი მოპასუხე, პირველი აპელანტი) 2004
წლის 26 თებერვლიდან იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორ-
წინებაში. მათ შეეძინათ ორი შვილი – 2004 წლის 17 დეკემბერს
დაბადებული გ. და 2008 წლის 10 დეკემბერს დაბადებული ა. თ-
ები.

2. 2010 წლის 4 ოქტომბერს პირველმა მოპასუხემ 23000 აშშ
დოლარად შეიძინა ქ.თბილისში, ა. უ-ს დასახლებაში, I კორპუს-
ში მდებარე №... ბინა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, რო-
გორც სადავო უძრავი ქონება) და საჯარო რეესტრში ქონების
მესაკუთრედ დარეგისტრირდა.

3. 2013 წლის 22 თებერვალს მოსარჩელე და პირველი მოპა-
სუხე განქორწინდნენ.

4. 2013 წლის 14 მაისს პირველ მოპასუხესა და ე. კ-ს (შემ-
დეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მყიდველი, მეორე მო-
პასუხე, მეორე აპელანტი) შორის დაიდო სადავო ბინის ნასყი-
დობის ხელშეკრულება. ნასყიდობის საგნის ღირებულება განი-
საზღვრა 17000 აშშ დოლარით. მეორე მოპასუხე საჯარო რეეს-
ტრში აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრედ აღირიცხა.

5. 2013 წლის 8 ივნისს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუ-
ხეთა წინააღმდეგ 2013 წლის 14 მაისს დადებული ნასყიდობის
ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და სადავო ბი-

ნის 2/3-ის ნაწილის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

5.1. მოსარჩელე თავის მოთხოვნას ასაბუთებდა იმით, რომ სადავო ქონება შეძენილი იყო პირველ მოპასუხესთან თანაცხოვრების პერიოდში და წარმოადგენდა თანასაკუთრების საგანს. ამასთან, არჩენდა ორ არასრულწლოვან შვილს, რომელთაც მამა ყურადღებას არ აქცევდა, რის გამოც მოსარჩელე მოითხოვდა თავისი კუთვნილი 1/2 წილის 2/3-მდე გაზრდას. მისი მოსაზრებით, 2013 წლის 10 მაისის ხელშეკრულება მოჩვენებითი ხასიათის იყო და ქონების გაყოფისათვის ხელის შეშლას ისახავდა მიზნად.

6. მოპასუხეებმა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ გარიგება თვალთმაქცური არ იყო. მეორე მოპასუხემ პირველ მოპასუხეს ასესხა 17 000 აშშ დოლარი. მოგვიანებით მოპასუხეები შეთანხმდნენ, რომ პირველი მოპასუხე კრედიტორს გადაუფორმებდა მის კუთვნილ საცხოვრებელ ბინას ვალის სანაცვლოდ.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით:

7.1. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

7.2. მოსარჩელე ცნობილ იქნა მეორე მოპასუხის საკუთრებაში რიცხული, სადავო ბინის 1/2 წილის მესაკუთრედ;

7.3. მოსარჩელის კუთვნილ 1/2 ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი პირველ და მეორე მოპასუხეს შორის 2013 წლის 14 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, დამონმებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

8. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 1158-ე, 1164-ე, 1168-ე, 185-ე, 312-ე, 54-ე მუხლები და დაასკვნა:

8.1. სადავო უძრავი ქონება, როგორც ქორწინების პერიოდში შეძენილი, მეუღლეთა თანასაკუთრება იყო. ამასთან, რადგან შეიღების საცხოვრებელი ადგილი მხარეებს შორის იმ დროისათვის სადავო იყო, ხოლო უძრავი ქონების ფართი მხოლოდ 41 კვ.მ, სასამართლომ მეუღლეთა შორის მისი არათანაბარი გაყოფა მიზანშეწონილად არ მიიჩნია და მოსარჩელე სადავო ბინის 1/2 წილის მესაკუთრედ ცნო.

8.2. სასამართლომ დაადგინა, რომ პირველ და მეორე მოპასუხეს ნაცნობობა აკავშირებდათ. ორივე მათგანს იჯარით ჰქონდა აღებული ფართი შპს „დ-ის“ ტერიტორიაზე, კერძოდ, პირველ მოპასუხეს – სპორტული დარბაზი, ხოლო მეორეს – ავტოსამრეცხაო. სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამ-

დე მეორე მოპასუხე ნამყოფი იყო პირველი მოპასუხის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში, როდესაც მოსარჩელე გაუმასპინძლდა. მაშასადამე, მისთვის ცნობილი იყო იმის შესახებ, რომ გამყიდველს მეუღლე ჰყავდა. ამასთან, განსახილველი სარჩელის აღძვრამდე, მოსარჩელეს წარდგენილი ჰქონდა სარჩელი თანასაკუთრებიდან წილის მიკუთვნების მოთხოვნით, რომლის უზრუნველსაყოფადაც სადავო უძრავ ქონებას ყადაღა დაედო. სწორედ ამ უზრუნველყოფის ღონისძიების შეწყვეტის რეგისტრაციის პროცესში მონაწილეობდა მეორე მოპასუხის წარმომადგენელი, რის შემდეგაც მეორე მოსარჩელემ საკუთრების უფლება დაჩქარებული წესით დაირეგისტრირა. სასამართლოს მითითებით, ეჭვს ბადებდა ის გარემოებაც, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 17000 აშშ დოლარით, რაც ემთხვევა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ აუდიტორულ დასკვნაში აღნიშნულ სადავო ბინის შეფასებას, რომელიც გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დღეს სარჩელთან ერთად ჩაჰბარდა. ამას ემთხვევა პირველი მოპასუხის მიერ მეორე მოპასუხისაგან სესხის სახით მიღებული თანხის ოდენობაც.

8.3. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები ერთიანად ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ შემძენის არაკეთილსინდისიერებაზე მიუთითებდა, რის გამოც სადავო ხელშეკრულება სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე ბათილად ცნო.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად უარყოფის მოთხოვნით შემდეგ საფუძველებზე მითითებით:

9.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისათვის გამოიყენა გარიგების ბათილად ცნობის ზოგადი ნორმა – სსკ-ის 54-ე მუხლი და არ გამოუყენებია სპეციალური ნორმა – სსკ-ის 1160-ე მუხლი, რომელიც მეუღლეს ანიჭებს სარგებლის მოთხოვნისა და არა – გარიგების ბათილობის უფლებას.

9.2. სსკ-ის 185-ე მუხლი მოიაზრებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ქონება სხვისდება არამართლზომიერად და ამ ფაქტის მიმართ შემძენი კეთილსინდისიერია, მაგრამ, როდესაც ნივთს ასხვისებს ნამდვილი მესაკუთრე, გასხვისება არ შეიძლება არამართლზომიერი იყოს, შესაბამისად, მყიდველიც მართლზომიერ შემძენად მიიჩნევა, ხოლო, თუ მეუღლეებს გააჩნიათ ურთი-

ერთმოთხოვნა ქორწინების ფაქტიდან გამომდინარე, ამან შემძენი არ უნდა დააზარალოს.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აპელანტთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10.1. პალატამ გაიზიარა აპელანტთა მსჯელობა, რომ მოპასუხეთა ნაცნობობის ფაქტი, ასევე, ის გარემოება, რომ ორივე მათგანს იჯარით ჰქონდა აღებული ფართი შპს-ის ტერიტორიაზე და მეორე მოპასუხე ნამყოფი იყო პირველი მოპასუხის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში, როდესაც მას გაუმასპინძლდა მოსარჩელე, არ ადასტურებს ნასყიდობის ხელშეკრულების მოწვევებითობას სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

10.2. სასამართლოს მითითებით, უდავოა, რომ ქონება შეძენილია მეუღლეთა ქორწინების პერიოდში, მაგრამ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მეორე აპელანტის სახელზე. მართალია, სსკ-ის 1158-ე მუხლის თანახმად, სადავო ბინა მეუღლეთა საერთო ქონებაა და ამ ქონებაზე მათ თანაბარი უფლებები აქვთ, მისი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით ხდება (ამავე კოდექსის 1159-ე მუხლი და 1160-ე მუხლის პირველი ნაწილი), თუმცა შემძენის არაკეთილსინდისიერად ცნობისათვის არ არის საკმარისი შემძენის მიერ მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ერთ-ერთის სახელზე რეგისტრირებული ქონება წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. ამისათვის, სხვა გარემოებებთან ერთად, უნდა არსებობდეს ფაქტები, რომლითაც დგინდება, რომ შემძენმა იცოდა, რომ ერთ-ერთი მეუღლე იყო მეუღლეთა საერთო ქონების გასხვისების წინააღმდეგი, ხოლო მეორე მეუღლე მოქმედებდა მისგან ფარულად, რაც განსახილველ შემთხვევაში დადასტურებული არ იყო. პალატის განმარტებით, ის გარემოებები, რომლებიც შეიძლება, მიუთითებდეს პირველი მოპასუხის არაკეთილსინდისიერებაზე (მაგალითად, სარჩელის ჩაბარებიდან მეორე დღეს ქონების განკარგვა და ა.შ.), არ შეიძლება მეორე მოპასუხის მიმართ ეჭვს ბადებდეს.

10.3. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მეორე მოპასუხე არ არის პირველი მოპასუხის არც ნათესავი და არც ოჯახის წევრი, რა დროსაც უფრო დიდი ალბათობა იარსებებდა, რომ შემძენს სცოდნოდა სადავო ქონების განსხვისებაზე მოსარჩე-

ლის დამოკიდებულებისა და პირველი მოპასუხის განზრახვის შესახებ, რომლის გაქარწყლების ტვირთი დაეკისრებოდა შემძენს.

10.4. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პალატამ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით დადასტურებული არ იყო 14.05.2013წ. მოპასუხეებს შორის გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მოჩვენებით დადების ან შემძენის არაკეთილსინდისიერების ფაქტი. პალატის განმარტებით, როცა ერთმანეთს უპირისპირდება თანამესაკუთრე მეუღლისა და თანასაკუთრებაში შემავალი ქონების კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები, კანონი კეთილსინდისიერ შემძენს იცავს, რადგან მოქმედებს ვარაუდი, რომ ერთი მეუღლე ეთანხმება მეორე მეუღლის მიერ გამოვლენილ ნებას. სწორედ მათი საოჯახო დამოკიდებულება, ცოლისა და ქმრის სტატუსი, ქმნის ამ კანონისმიერი ვარაუდის საფუძველს. ამასთან, კანონი ადგენს დაზარალებული მეუღლის ინტერესების დაცვის ისეთ საშუალებას, როგორიცაა – გასხვისებიდან მიღებული სარგებლიდან მისი წილის შესაბამისი კომპენსაციის მეორე მეუღლისაგან მოთხოვნის უფლება.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

11.1. შემძენმა არა მხოლოდ ბინაზე სხვა თანამესაკუთრის არსებობის, არამედ ყადაღისა და მისი სადავო ხასიათის შესახებაც იცოდა, რასაც ადასტურებს შემდეგი გარემოებები: ნ. რ. მა (შემდეგში მოხსენიებული, როგორც მოწმე ან წარმომადგენელი) პროცესზე განაცხადა, რომ იგი შემძენის ნათესავი და ადვოკატია, ასევე, იცნობს ქონების გამყიდველს, რომლის ადვოკატიც ადრე იყო. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იგი მონაწილეობდა ბინაზე ყადაღის მოხსნის პროცესში. ამის შემდეგ, დაჩქარებული წესით ბინა მეორე მოპასუხის სახელზე გადააფორმეს, რაშიც უშუალოდ იყო ჩართული წარმომადგენელი. სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არ შეაფასა შემძენისა და მისი წარმომადგენლის აღიარებები.

11.2. ეჭვს იწვევს ის გარემოებაც, რომ ნასყიდობის საგნის საფასურად სწორედ იმდენი განსაზღვრეს, რაც სარჩელზე თანდართული აუდიტორული დასკვნის შეფასებაშია მითითებული და რაც წინა დღეს ჩაჰბარდა გამყიდველს. რაც შეეხება მოგვიანებით წარმოდგენილ ხელშეკრულებებს, თითქოს, ჯერ 9000, ხოლო შემდეგ 8000 დოლარი ასესხა მიყიდველმა გამყიდ-

ველს და ამიტომ ჩანერეს ხელშეკრულებაში ზუსტად 17 000 აშშ დოლარი, არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ხელშეკრულებები, რომელიც გაფორმდა 2013 წლის 13 იანვარს, 25 მარტსა და 11 მაისს ერთი და იმავე ხელწერიტა და მეღნით არის შესრულებული, მაშინ როდესაც მათი შედგენის თარიღებს შორის 5 თვის შუალედი. ამასთან, ამ ფაქტს სასამართლო პროცესზე მოპასუხე მხარემ ახსნა ვერ მოუძებნა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ მათ ხელნაწერები საგანგებოდ შექმნეს შესაგებელზე დასართავად. ამ დროისათვის მათ ჩაბარებული ჰქონდათ დაზუსტებული სარჩელი, სადაც თანხის ოდენობასთან დაკავშირებით ეჭვი იყო გამოთქმული.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-ხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

13. სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება, ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამართლის ნორმები დარღვეულად მიიჩნევა, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

14. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა სამართლებრივად არასწორად შეაფასა, შესაბამისად, იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, რაც ამ

გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

15. მოცემულ საქმეში მოსარჩელის მოთხოვნა სადავო ბინის 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: სადავო ბინა შეძენილია იმ დროს, როდესაც მოსარჩელე და მოპასუხე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. ამის თაობაზე ცნობილი იყო მეორე მოპასუხისათვის. მისთვის ასევე ცნობილი იყო, რომ ბინა მეუღლეთა შორის სადავო იყო და მოსარჩელე კუთვნილ წილს ითხოვდა, რის გამოც მეორე მოპასუხე ვერ მიიჩნევა უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენად.

16. მოსარჩელის მიერ მითითებული ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 998-ე (თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით) და 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) მუხლები.

17. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი).

18. პალატას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიაჩნია, რომ დასტურდება პირველი მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება – მოსარჩელის საკუთრების უფლების ხელყოფა, ზიანი – ქონებრივი დანაკლისი, რომელიც მოსარჩელეს მიადგა, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის – მიღებული ზიანი არის მოპასუხეთა მოქმედების უშუალო შედეგი, ზიანის მიმყენებლის ბრალი – მოპასუხეებმა შეგნებულად, სადავო გარიგების გაცნობიერებულად დადებით, ხელი შეუწყვეს მოსარჩელის სა-

კუთრების უფლების ხელყოფას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოკვეთილია სსკ-ის 998-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობაც, რადგან ზიანის მიყენება შესაძლებელი გახდა სადავო გარიგებების დადებაში მეორე მოპასუხის მონაწილეობით.

19. მოცემულ შემთხვევაში, უძრავი ქონება რომ ქორწინების პერიოდშია შექმნილი და მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს მხარეთა შორის სადავო არ არის. პირველი მოპასუხის შესაგებლის მიხედვით, მოსარჩელისათვის სადავო ბინაზე საკუთრების გადაცემას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ამ ბინაზე საკუთრება მას აღარ ეკუთვნის, კერძოდ, სადავო ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღრიცხულია მეორე მოპასუხე. თავის მხრივ, მეორე მოპასუხემ, სადავო ბინაზე საკუთრება მიიღო პირველ მოპასუხესთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. მოსარჩელე სადავოდ ხდის მეორე მოპასუხის საკუთრებაში სადავო ბინის გადასვლის მართლზომიერებას. იგი სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას მოითხოვს სსკ-ის 56.1 მუხლის საფუძველზე (ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსარჩენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). მოსარჩელე თავის მოთხოვნას ასაბუთებს წინამდებარე გადანყევტილების მე-11 პუნქტში აღწერილ გარემოებებზე მითითებით. სადავო გარიგებების ბათილობის საკითხის განხილვისას, უპირველესად, ყურადღება უნდა მიექცეს მეორე მოპასუხის კეთილსინდისიერების საკითხს, ვინაიდან მოჩვენებითობის საფუძველით გარიგების გაბათილების შემთხვევაში, შემძენის კეთილსინდისიერება გამოირიცხება. ამ დროს გამსხვისებელიც და შემძენიც თანამდებობიან იმაზე, რომ მათ მიერ დადებულ გარიგებას არ მოჰყვეს შესაბამისი იურიდიული შედეგი, რათა მიღწეულ იქნეს კანონსაწინააღმდეგო მიზანი.

20. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების მოსარჩენებლად დადების ფაქტი დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

20.1. დადგენილია, რომ წინამდებარე სარჩელი სადავო ბინის ნაწილზე საკუთრების უფლების მოთხოვნით მოსარჩელემ 2013 წლის 8 მაისს წარადგინა, რომელიც პირველ მოპასუხეს ამავე წლის 13 მაისს ჩაჰპარდა. მან 14 მაისს დადო ნასყიდობის ხელშეკრულება მეორე მოპასუხესთან, რომელიც თავისი თანამშრომელი და კარგი ნაცნობი იყო (იხ. მეორე მოპასუხის შესაგებელი „ვმუშაობთ ერთად და გვაქვს კარგი ურთიერთობა“, მხარეები

ასევე ადასტურებენ, რომ მეორე მოპასუხე სტუმრად არის ნამყოფი პირველ მოპასუხესთან, სადაც მან მოსარჩელეც გაიცნო), ხოლო 2013 წლის 20 მაისს წარადგინა შესაგებელი, სადაც მიუთითა, რომ სადავო ბინა გაასხვისა, რის გამოც სასამართლოში დავის გაგრძელებამ აზრი დაკარგა. მხოლოდ ამის შემდეგ წარადგინა მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელი, სადაც სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობაც მოითხოვა.

20.2. დადგენილია და მხარეთა შორის სადავო არ არის ისიც, რომ განსახილველი სარჩელის აღძვრამდე სარჩელი ჰქონდა წარდგენილი კასატორს თანასაკუთრებიდან წილის მიკუთვნების მოთხოვნით, რომლის უზრუნველსაყოფად სადავო უძრავ ქონებას ყადაღა დაედო (სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში). ჩაჰბარდა რა წინამდებარე სარჩელი პირველ მოპასუხეს, 2013 წლის 13 მაისსვე, მან განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სადავო უძრავ ნივთზე ყადაღის შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნით. ამასთან, განცხადებაში საკონტაქტო ნომრად მიუთითა მეორე მოპასუხის წარმომადგენლის ტელეფონის ნომერი, რომელმაც დაადასტურა, რომ, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაამდე, მისთვის ცნობილი იყო უძრავ ქონებაზე ყადაღის არსებობის თაობაზე. მეორე დღეს, 2013 წლის 14 მაისს, მეორე მოპასუხემ საკუთრების უფლების დაჩქარებული წესით რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა საჯარო რეესტრს და იმავე დღეს დარეგისტრირდა ნივთის მესაკუთრედ.

20.3. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა ნასყიდობის თანხად 17000 აშშ დოლარი განსაზღვრეს, სწორედ იმდენი, რამდენიც პირველი მოპასუხისათვის სარჩელთან ერთად ჩაბარებულ აუდიტორულ დასკვნაში იყო მითითებული. რაც შეეხება მოპასუხეთა განმარტებას, ამ ოდენობით, მათ შორის, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალის არსებობის შესახებ, პალატა დამაჯერებლად არ მიიჩნევს შემდეგ გარემოებათა გამო: პირველი, ნასყიდობის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ სადავო ბინა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო გადავიდა მეორე მოპასუხის საკუთრებაში, პირიქით, ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ ნასყიდობის საფასური – 17 000 აშშ დოლარი „მყიდველის მიერ სრულად არის გადახდილი“ და, მეორე, მოსარჩელის შედავება, რომ 2013 წლის 13 იანვარსა და 25 მარტს გაფორმებული სესხის ხელშეკრულებები ერთი და იმავე მელნითა და ხელნაწერით არის შესრულებული, მოპასუხემ რაიმე დამაჯერებელი არგუმენტით ვერ გაა-

ქარწყლა.

21. პალატა განმარტავს, რომ, როდესაც პირი იძენს რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული გამსხვისებლისაგან ქონებას, არაკეთილსინდისიერ შემძენად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს მისი კეთილსინდისიერების გამომრიცხველი გარემოებების არსებობას. ამიტომ, მტკიცების ტვირთი, შემძენის არაკეთილსინდისიერებისა, აწევს შემძენის მონინალმდევე მხარეს. მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ დაამტკიცა, რომ მეორე მოპასუხისათვის ცნობილი იყო, რომ გამსხვისებლის მეუღლე სადავო უძრავი ქონების 1/2 ნილზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა. შესაბამისად, მოპასუხეები მოქმედებდნენ იმ განზრახვით, რომ მოსარჩელეს შექმნოდა სამართლებრივი დაბკოლება სადავო ბინის ნაწილზე საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლების განხორციელებაში.

22. სსკ-ის 1160.2, 185-ე და 312-ე მუხლები, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების შეძენისას, თანამესაკუთრედ არარეგისტრირებული მეუღლის პრეტენზიისაგან იცავს მხოლოდ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს. პალატა განმარტავს, რომ შემძენი კეთილსინდისიერია იმ შემთხვევაში, თუ იგი გამსხვისებელს მიიჩნევს მის მიერ შეძენილი ქონების მესაკუთრედ, ეს უკანასკნელი ასეთად არის რეგისტრირებული რეესტრში და აღნიშნულის საწინააღმდეგო ინფორმაცია შემძენს არ გააჩნია. სსკ-ის 1160.1 მუხლი, მეუღლეთა საერთო ქონების განკარგვისათვის აუცილებლად მიიჩნევს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებას, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. ამავე მუხლის მეორე ნაწილით დაცულია შემძენის ინტერესი იმ მეუღლის პრეტენზიისაგან, რომელიც საჯარო რეესტრში ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებული არ იყო, თუმცა, მას აღნიშნული უფლება გააჩნდა რეგისტრირებული ქორწინების პირობებში ქონების შეძენის საფუძვლით. ამასთან, სსკ-ის 312.4 მუხლის დანაწესი (შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება ერთადერთ მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებლის გარდა არსებობს სხვა თანამესაკუთრე(ც) ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების შემძენის ინტერესების დაცვა გამოირიცხება, როდესაც შემძენმა იცოდა ქონებაზე სხვა უფლებამოსილი პირის არსებობის თაობაზე.

23. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოსარჩელეს დაეკარგა თანასაკუთრების უფლება სადავო საცხოვრებელ ბინაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 1160-ე მუხლის მიხედვით, ამავე კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებთან მიმართებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს თანამესაკუთრე მეუღლის ინტერესების დაცვას და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება 1/2 ნაწილში.

24. მეუღლეთა საერთო საკუთრების წარმოშობის საფუძვლებს სსკ-ის 1158-ე მუხლი (მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი) განსაზღვრავს და მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა წრე შემდეგია: მეუღლეები რეგისტრირებულ ქორწინებაში უნდა იმყოფებოდნენ ერთმანეთთან; უნდა არსებობდეს მეუღლეთა საერთო ქონება. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე და პირველი მოპასუხე 2004 წლიდან 2013 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. სადავო უძრავი ქონება შექმნილია 2010 წლის 4 ოქტომბერს, მეუღლეთა რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის პერიოდში, რის გამოც მოსარჩელეს სადავო ბინის 1/2 ნაწილზე კანონისმიერი საკუთრების უფლება გააჩნია.

25. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა), ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, სადავო ბინაზე საკუთრების უფლების აღდგენა შესაძლებელია.

26. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანაცვლებების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად,

საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდეს.

27. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავ ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

28. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელეს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟი 800.00 ლარი აქვს გადახდილი, რომლიდანაც ზედმეტად გადახდილია 239.00 ლარი. ამასთან, 842.00 ლარი ასევე ზედმეტად არის გადახდილი დაზუსტებული სარჩელის წარდგენისას. საკასაციო საჩივარზე კი, მოსარჩელეს 737.00 ლარი აქვს გადახდილი. ამდენად, მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ 1348.88 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 1080.00 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მოსარჩელეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ქ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნას ცნობილი გ. თ-სა და ე. კ-ს შორის 2013

წლის 14 მაისს დადებული უძრავი ნივთის (მდებარე ქ.თბილისი, დასახლება ა. უ-ი, კორპუსი 1, ბინა №..., ფართი 41.00 კვ.მ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) ნასყიდობის ხელშეკრულება 1/2 ნაწილში;

5. ნ. ქ-ი (პ/ნ ...) ცნობილ იქნას ე. კ-ის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების (მდებარე ქ.თბილისი, დასახლება ა. უ-ი, კორპუსი 1, ბინა №..., ფართი 41.00 კვ.მ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) 1/2 ნაწილის მესაკუთრედ;

6. გ. თ-სა და ე. კ-ს ნ. ქ-ის სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ განუხლები სასამართლო ხარჯის – 1348.88 ლარის გადახდა;

7. ნ. ქ-ს (პ/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს:

ა. ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 841.00 ლარი (საგადახდო დავალება №1, 4 ივნისი 2013 წელი);

ბ. 2013 წლის 13 მარტს (საგადახდო დავალება №16) გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (800.00 ლარი) ზედმეტად გადახდილი 239.00 ლარი;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამღებარი ზიანის ანაზღაურება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-504-481-2016

30 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის/შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის/შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. დ. მ-იამ (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. და ე. მ-ების (შემდგომში – მოპასუხეები, შეგებებული მოსარჩელები, აპელანტები ან კასატორები) მიმართ ავტოსატრანსპორტო შემთხვევით გამონვეული ზიანის – 4 700 აშშ დოლარის მოპასუხეებისათვის დაკისრების მოთხოვნით.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2013 წლის 10 ნოემბერს მოსარჩელეს კუთვნილი „MERCEDES BENZ-ის“ მარკის ავტომანქანით (სახელმწიფო №...) ქ.ქუთაისში, ...-ის გამზირზე მოძრაობისას, შემხვედრი მიმართულებიდან მოძრავი „OPEL ASTRA G-ს“ მარკის (სახელმწიფო №...) ავტომანქანა შეეჯახა, რომელსაც მართავდა ა. მ-ი. ადგილზე გამოცხადებულმა საპატრულო პოლიციამ მოსარჩელე მიიჩნია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამომწვევად. საჯარიმო ქვითარი შეუდგინეს მოპასუხე მძღოლსაც, რადგან ის ნასვამი მართავდა ავტომობილს და არ ჰქონდა მართვის უფლება. მოსარჩელემ, დოკუმენტაციის გაფორმებისთანავე, სადავოდ გახადა დარღვევის მის მიერ გამონვევის ფაქტი, რის გამოც მიმართა საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარ სამმართველოს, მაგრამ განცხადება არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. დადგენილებით დადასტურდა, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამონვეული იყო მოსარჩელის მიერ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27.1 მუხლის მოთხოვნების, ასევე, მოპასუხე მძღოლის მიერ, ამავე კანონის 29.1 მუხლის მოთხოვნების უგულვებელყოფის შედეგად, შესაბამისად, „OPEL ASTRA G-ს“ მარკის ავტომანქანის მძღოლი მიჩნეულ უნდა ყოფილიყო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამომწვევად, თუმცა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, მოპასუხე მძღოლის მიმართ ვერ იქნებოდა გატარებული შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიება, ვინაიდან, გასული იყო ამ მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

1.2. მოპასუხეებმა შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ და მოითხოვეს ამავე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის – 4 330 ლარის ძირითადი მოსარჩელისათვის დაკისრება.

1.2.1. შეგებებული სარჩელი დასაბუთებულია შემდეგნაირად: შემთხვევის დღეს შეგებებული მოსარჩელები იმყოფებოდნენ ქ.ქუთაისში, ახლობელთან „ძეობაზე“, როდესაც ე. მ-ს მისმა შვილმა – ა. მ-მა ავტომანქანიდან სიგარეტის ამოღების მიზნით

სთხოვა გასაღები. დაბრუნების შემდეგ შვილისაგან ავტომანქანის გასაღების დაბრუნება არ მოუთხოვია, ამასთან, არ შეუმჩნევია როდის გავიდა გარეთ მისი შვილი. სატელეფონო საუბრის შედეგად მისთვის ცნობილი გახდა, რომ შეგებულ სარჩელზე მოპასუხეს გზა გადაუკეტავს ა.მ-ისათვის, რასაც შედეგად ავტოსაგზაო შემთხვევა მოჰყვა და დაზიანდა შეგებულ მისარჩელების კუთვნილი „OPEL ASTRA G-ს“ მარკის ავტომანქანა. საპატრულო პოლიციამ ე.მ-ი დააჯარიმა ავტომანქანის ნასვამი პირისათვის გადაცემის გამო და შეგებულ მისარჩელების ბრალეულობა მხოლოდ ნასვამი მდგომარეობა და ავტომანქანის ნასვამი პირისათვის გადაცემაში გამოიხატება. საპატრულო პოლიციის დადგენილებაში მისი შვილი სამართალდამრღვევად არ არის აღიარებული, ამასთან, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 ივნისის დადგენილებით, დადასტურდა ძირითადი მოსარჩელის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რითაც „OPEL ASTRA G-ს“ მარკის ავტომანქანას შეუქმნა დაბრკოლება.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით მოპასუხებმა თავდაპირველი სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებულ დადგენილებაზე, რომლითაც ძირითადი მოსარჩელის ბრალეულობა დადასტურებული, შესაბამისად, მიიჩნიეს, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი;

2.2. ძირითადმა მოსარჩელემ ასევე არ ცნო შეგებულ სარჩელი იმ დასაბუთებით, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის, მოპასუხე ა.მ-ის ქმედებით დაზიანდა ძირითადი მოსარჩელის ავტომობილი, რაც გამორიცხავს შეგებულ სარჩელის დაკმაყოფილებას.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 4 700 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ლარის გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით შეგებულ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შეგებულმა მოსარჩელებმა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე

უარის თქმა, ხოლო შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრეს აპელანტებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო, შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება და ამ კანონისმიერი ვალდებულების ფარგლებში კასატორთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მართლზომიერება, რამდენადაც ქვემდგომი სასამართლოების დასკვნით, ძირითადი სარჩელის მოპასუხეების ქმედებას შედეგად მოჰყვა სადავო ავტოსაგზაო შემთხვევა, რაც ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების, ხოლო შეგებებული მოსარჩელეების მოთხოვნაზე უარის თქმის წინაპირობას წარმოადგენდა.

1.2. კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, როგორც ბრალულობის განსაზღვრის, ისე – პასუხისმგებლობის მათთვის დაკისრების ნაწილში და პრეტენზიას გამოთქვამენ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქმეში არსებული მტკიცებულებების არასწორი შეფასების, ასევე, მატერიალური სამართლის ნორმების არასწორი გამოყენება-განმარტების თვალსაზრისით (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები).

1.3. საკასაციო პრეტენზიათა დასაშვებობა-დასაბუთებულობის შემომწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ, დავის სწორად გადან-

ყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.3.1. 2013 წლის 10 ნოემბერს, ქ.ქუთაისში, ი. ა-ის ქუჩისა და ბ-ის ქუჩის გადამკვეთ გზაჯვარედინზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, სადაც ერთმანეთს შეეჯახა ი. ა-ის ქუჩაზე პარლამენტის მიმართულებით მოძრავი ა.მ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილი და მის გადამკვეთად ირ.ა-ის ქუჩის მხრიდან ბ-ის ქუჩის მიმართულებით მოძრავი ავტომობილი, რომელსაც მძღოლი დ. მ-ია მართავდა;

1.3.2. ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დადგომაში მონაწილე ავტომობილი – MERCEDES BENZ-ი (სახელმწიფო №...) 2013 წლის 15 ივლისიდან 2014 წლის 20 თებერვლამდე რეგისტრირებული იყო დ. მ-იას სახელზე, ხოლო შემხვედრი ავტომობილი – OPEL ASTRA G (სახელმწიფო №...), 2013 წლის 10 ნოემბრისათვის ირიცხებოდა გ. გ-ის სახელზე, თუმცა, ავტოსაგზაო შემთხვევის დღისათვის, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ნივთი შეძენილი ჰქონდათ ე. და ა. მ-ებს;

1.3.3. ავტოსაგზაო შემთხვევის გამო მოსარჩელის მიმართ შედგა ელექტრონული საჯარიმო ქვითარი, რომლის თანახმადაც, დ. მ-იამ დაარღვია მოძრაობის დანყებისა და გზაჯვარედინის გავლის წესები, რასაც მოჰყვა შეჯახება. იგი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაჯარიმდა 250 ლარით. მოსარჩელემ ელექტრონული საჯარიმო ქვითარი ჯერ ადმინისტრაციული საჩივრით, ხოლო შემდგომ, მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად – სასამართლოში გაასაჩივრა;

1.3.4. როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ისე – ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო საჯარიმო ქვითარი მიჩნეულ იქნა კანონიერად, თუმცა, ადმინისტრაციული წარმოების/სამართალწარმოების შედეგად დადგენილია მოპასუხე მძღოლის მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტიც, კერძოდ, იგი სატრანსპორტო საშუალებას მართავდა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, როდესაც პირს არ აქვს მართვის უფლება, რის გამოც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შედგა №... ელექტრონული საჯარიმო ქვითარი;

1.3.5. OPEL ASTRA G-ს მძღოლის მოქმედება არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის 29.1. მუხლის მოთხოვნებს, რომლის დაცვის შემთხვევაში, მას ტექნიკური თვალსაზრისით შეეძლო მომხდარი საგზაოსატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება, თუკი იგი დასაშვები სიჩქარით – 50 კმ/სთ-ით იმოძრაებდა. OPEL ASTRA G-ს მძღოლის ქმედებაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ნიშნების არსებობის მიუხედავად, ადმინისტრაციული რეაგირება არ განხორციელებულა რადგანაც გასული იყო ამავე კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სახდელის დადების ორთვიანი ვადა.

1.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.5. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორთა პოზიციას იმის თაობაზე, რომ ქვემდგომმა სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, კერძოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 ივნისის დადგენილებას და მცდარად განსაზღვრა, რომ სატრანსპორტო შემთხვევა მხოლოდ ა. მ-ის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგს წარმოადგენდა, თუმცა ამ საკითხის ძირეულ გამოკვლევამდე, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება წინამდებარე დავის გადანყვევის დამფუძნებელ ნორმებზე და ამ ნორმებით რეგულირებულ დელიქტური ვალდებულების თავისებურებებსა და ვალდებულები პირის განსაზღვრის საკითხზე გაამახვილოს:

1.5.1. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დავის საგანს ავტოსატრანსპორტო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს და სახეზე გვყავს რამდენიმე სამართალდამრღვევი, ასევე, დელიქტური ვალდებულების ზოგადი შემთხვევისაგან განსხვავებულია სამართალდარღვევის საგანიც – ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომ-

დინარე პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ საფუძველს დელიქტური ვალდებულება წარმოადგენს, რომლისაგან ნაწარმოები პასუხისმგებლობის გენერალური დათქმაც მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლში. ნორმის თანახმად, პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია შემდეგი ელემენტების კუმულატიური ერთობა: პირის ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) ქმედება; ზიანი; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულების კერძო შემთხვევაა და მიუხედავად ბრალისა, მომეტებული საფრთხის წყაროს იურიდიულ მფლობელს (რომელიც შეიძლება მესაკუთრედაც განვიხილოთ) აკისრებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, კერძოდ: სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. მოხმობილი ნორმა ადგენს სატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელის ვალდებულებას, ნორმაში ჩამოთვლილ სიკეთეთა ხელყოფის შემთხვევაში, აგოს პასუხი. თავის მხრივ, ნორმის სუბიექტები არიან ვალდებული და დაზარალებული პირები. ვალდებულ პირად კანონი განიხილავს ნივთის მფლობელს, ანუ პირს, რომელსაც ამ ქონებაზე საკუთრება მართლზომიერად აქვს მოპოვებული, თუმცა, მფლობელი, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი, შეიძლება იყოს, როგორც პირდაპირი, ისე – არაპირდაპირი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახეზე გვყავს კვლავ „მფლობელი“ (არაპირდაპირი) და „მოსარგებლე“ (პირდაპირი მფლობელი). უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებულ გამოწვევის საფუძველად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია,

პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია (იხ. სუსგ №ას-494-463-2010, 9 ნოემბერი, 2010 წელი). სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი ითვალისწინებს გამოწვევისას – ნივთის იურიდიულ მფლობელს პასუხისმგებლობა არ ეკისრება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში (ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილები), მათ შორის მაშინაც, როდესაც სატრანსპორტო საშუალებას მართავდა სხვა პირი, თუმცა, ამ შემთხვევაში ვალდებული პირის დადგენა ხდება იმის მიხედვით, თუ რა გზით (იურიდიულად ნამდვილი უფლების საფუძველზე) აღმოჩნდა ნივთი მოსარგებლის ფაქტობრივი ბატონობის არეალში (ნორმის მე-4 ნაწილი). თუ პირი, რომელიც იყენებს სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლზომიერი მფლობელი) ამ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციით მიაყენებს ზიანს სხვას, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ უკანასკნელს და არა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პირს, რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, არ გააჩნდა მისი ფლობის უფლება (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მფლობელს არ გადაუცია მოსარგებლისათვის იგი, ანდა გადაცემული ტრანსპორტი მოსარგებლემ გამოიყენა მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ). ამასთან, მფლობელი ვალდებულია, ანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების კარები დატოვა ღიად, გასაღები დატოვა მასში). აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მან ვერ უზრუნველყო მის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების სათანადოდ დაცვა, რაც გახდა სხვა პირთა მიერ სატრანსპორტო საშუალების დაუფლების საფუძველი. სხვა შემთხვევაა, როდესაც მფლობელის ნების საფუძველზეა მოსარგებლისათვის გადაცემული სატრანსპორტო საშუალება (იხ. სუსგ №ას-39-38-10, 15 ივლისი, 2010 წელი).

1.5.2. განსახილველ შემთხვევაში, სადავო არაა ის გარემოე-

ბა, რომ მოსარჩელე წარმოადგენს MERCEDES BENZ-ის იური-
დიულ მფლობელს (მესაკუთრე), ხოლო შეგებებული მოსარჩე-
ლეები – OPEL ASTRA G-ს თანამფლობელებს (თანამესაკუთრე-
ები), რომელთაგან ერთ-ერთი პირდაპირი თანამფლობელი
(მპყრობელი) ამავდროულად სამართალდარღვევაში ბრალეუ-
ლი პირიცაა. ეს გარემოებები მოწმობს იმას, რომ როგორც ძი-
რითადი, ისე – შეგებებული სარჩელის შემთხვევაში დაცულია
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე და 85-ე მუხლების მოთ-
ხოვნები. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ შეგებებული მოსარჩე-
ლეები მომეტებული საფრთხის წყაროს თანამესაკუთრეებს
წარმოადგენენ, რომელთაგან ერთ-ერთი დელიქტურ ვალდებუ-
ლებაში ბრალეული პირია, მეტყველებს იმაზე, რომ ზიანის ანაზ-
ღაურების მავალდებულებელი წინაპირობების არსებობის და-
დასტურების შემთხვევაში, ისინი სოლიდარულ მოვალეებად,
ხოლო, შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობის დადასტურე-
ბის შემთხვევაში – სოლიდარულ კრედიტორებად განიხილები-
ან (სკ-ის 455-ე, 456-ე და 998-ე მუხლები).

1.5.3. წინამდებარე დავის ფარგლებში შესაფასებელი საკით-
ხის (სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება) თავისებურე-
ბა იმაში მდგომარეობს, რომ მოდავე მხარეები წარმოადგენენ
მომეტებული საფრთხის წყაროს მესაკუთრეებს, რომელთა სატ-
რანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციას შედეგად მოჰყვა
თავად ამ ავტომობილების დაზიანება. მომხდარი შემთხვევის გა-
მო კი, როგორც ერთი, ისე – მეორე ავტომობილის მფლობელი
მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, შესაბამისად, სასამართლოს
უმთავრესი ამოცანა იმ გონივრული კრიტერიუმის განსაზღვრაა,
რაც დაგვეხმარება ნორმის სუბიექტების პასუხისმგებლობისა
და დაცულ სიკეთეთა შორის ბალანსის დადგენაში, ანუ საკით-
ხის გადაწყვეტისათვის სასამართლომ მოთხოვნის თანაბარი უფ-
ლების მქონე სუბიექტების შეპირისპირებული ინტერესებიდან
უნდა განსაზღვროს უკეთესი უფლების მქონე სუბიექტი, ამას-
თანავე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ შედაგებულია
კასატორთათვის პასუხისმგებლობის სოლიდარულად დაკისრე-
ბის საფუძვლიანობა. პალატა კვლავ მოიშველიებს საქართვე-
ლოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვარო-
ვან სასამართლო პრაქტიკას დელიქტური ვალდებულების ზო-
გადი და კერძო შემთხვევის მარეგულირებელი ნორმების ურთი-
ერთმიმართების თაობაზე, რომლის თანახმადაც დაზარალებულ
პირს არ ეკრძალება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთობ-
ლივად წაუყენოს როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების
მფლობელს, რომელიც ზიანის მიმყენებელია 999-ე მუხლის მე-4

ნაწილის მესამე წინადადების საფუძველზე, ისე – სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს, რომელიც ბრალეულად მოქმედებდა და ზიანის მიმყენებელია 992-ე მუხლის საფუძველზე (იხ. სუსგ №ას-254-239-2010, 20 ივლისი, 2010წ; №ას-39-38-10, 15 ივლისი, 2010 წელი). თავის მხრივ, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის სოლიდარულად დაკისრების საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი ადგენს, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, თუ ზიანის დადგომამო მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. თუკი მივუბრუნდებით მოთხოვნის თანაბარი უფლების მქონე სუბიექტთა შორის უკეთესი უფლების მქონე პირის განსაზღვრას, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის მნიშვნელოვანია, გამოირიცხოს დაზარალებულის ბრალიც. დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმები – სამოქალაქო კოდექსი 992-ე-1008-ე მუხლები არ ითვალისწინებენ შემხვედრი ბრალის საკითხს, ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის თანახმად, წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემციერებინა ზიანი (იხ. სუსგ-ებები: №ას-494-463-2010, 9 ნოემბერი, 2010 წელი; №ას-81-71-2011, 18 აპრილი, 2011 წელი; №ას-95-90-2013, 14 ივნისი, 2013 წელი).

1.5.4. განვითარებული მსჯელობის შესაბამისად, პალატა კასატორთა პოზიციაზე გაამახვილებს ყურადღებას, რომელიც ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან საქმეში არსებული მტკიცებულებების არასწორ შეფასებას შეეხება (იხ. სამოტივაციო ნაწილის 1.5. პუნქტი) და მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ, მიუხედავად ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული დადგენილების არაპრეიუდიციული ხასიათისა, საპროცესო წესების დარღვევით გამოიკვლია იგი, რის შედეგადაც არასწორად დაადგინა მხოლოდ ა. მ-ის ბრალეულობა სატრანსპორტო შემთხვევის დადგომაში. საკასაციო პალატა შეჩერდება მტკიცებულებების შეფასების საპროცესო სტანდარტზე და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მე-2

ნაწილების ძალით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, არამედ, მათ ავასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. კანონის მოხმობილი დანაწესიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებათა კვლევის ეტაპზე სასამართლოს უპირველესი ვალი მტკიცებულებათა იურიდიული ძალის, მათი სანდოობის განსაზღვრა, ღირებულებითი ძალის დადგენაა, რომელიც მათი შინაარსობრივი კვლევის შედეგად უნდა განხორციელდეს. სწორედ ამ კრიტერიუმით გამოირჩეული თანაბარი ძალის მქონე მტკიცებულებების ინდივიდუალურად და ერთობლიობაში შეფასებით ექმნება საქმის განმხილველ სასამართლოს შინაგანი რწმენა მტკიცების საგანში შემავალი გარემოების არსებობა-არარსებობის შესახებ (სსსკ-ის 105.3 მუხლი).

1.5.5. გასაჩივრებულ განჩინებაში, ერთი მხრივ, აღინიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების რევიზია არ ხორციელდებოდა, თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლო აქტით დადგენილი გარემოებების საპირისპიროდ, პალატა დაეყრდნო ექსპერტთა დასკვნებს (რომლებსაც, თავის მხრივ, ეს დადგენილება ემყარება) და ძირითადი მოსარჩელე მიიჩნია არაბრალეულად სამართალდარღვევის ჩადენაში.

1.5.6. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არამარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მიუხედავად სამართალწარმოების სახისა, ქვეყნის სახელით სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, შესაბამისი იურიდიული შედეგის მატარებელია და სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის იგი უნდა შეფასდეს საპროცესო წესების განუხრელი დაცვით. პალატა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 ივნისის დადგენილებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით პირდაპირ დადგენილი პრეიუდიციული ძალა არ გააჩნია, თუმცა, მისი ღირებულებითი მნიშვნელობა არ შეიძლება უგულვებელყოფილ იქნას ამავე კოდექსის 266-ე მუხლის კონტექსტში, რომლის თა-

ნახმადაც, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. კანონის მოხმობილი დანაწესი ემსახურება სასამართლოს აქტის მუდმივ ხასიათს და ხელს უწყობს საზოგადოებაში სტაბილური მართლმსაჯულების განხორციელებას.

1.5.7. შინაგანი რწმენის განმტკიცების მიზნით, პალატა მხედველობაში იღებს იმ ფაქტსაც, რომ თავდაპირველი სარჩელით მოთხოვნილია დავის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავით დადგენილი წესით განხილვა, რა დროსაც ამავე კოდექსის 309²⁰ მუხლის მე-2 ნაწილით ზიანის მიყენების ფაქტი სასამართლოს კვლევის საგანს არ წარმოადგენს, არამედ, უდავოდ მიიჩნევა ამავე ნორმით დადგენილი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში (კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი). აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ სამართალწარმოების არც ერთ მხარეს ზიანის ფაქტის შედავება არ შეუძლია (რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ბრალის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ელემენტებს), რაც ამ თვალსაზრისით ძირითადი მოსარჩელის პოზიციის უსაფუძვლობაზე მიუთითებს, რამდენადაც, მან წარადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტები, ისე – სასამართლოს დადგენილება, სადაც თავადაც სამართალდამრღვევადაა მიჩნეული, თუმცა, სადავოდ ხდის საკუთარ ბრალეულობას მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომაში. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ქვემდგომმა სასამართლოებმა დავა არა გამარტივებული, არამედ, საერთო სასარჩელო წესით განიხილეს, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის ფარგლებში ამ საკითხს პალატა არ შეაფასებს, ვინაიდან საკასაციო საჩივარი ამ კუთხით არ შეიცავს პრეტენზიას.

1.5.8. მხარეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრის თვალსაზრისით სასამართლო მხედველობაში იღებს საქმეში წარმოდგენილ შემდეგ მტკიცებულებებს: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 ივნისის დადგენილებას, რომლითაც უცვლელ-

ლად დარჩა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს 2014 წლის 4 ივნისის დადგენილება, საპატრულო პოლიციის 2014 წლის 19 აგვისტოს დადგენილება და 2013 წლის 10 ნოემბერს დ. მ-იას მიმართ შედგენილი №... ელექტრონული საჯარიმო ქვითარი; სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 26 ნოემბრისა და 2015 წლის 6 აპრილის, ასევე, შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს იმერეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2014 წლის 3 ივლისის საექსპერტო დასკვნებს და მიიჩნევს, რომ ხსენებული მტკიცებულებები 2013 წლის 10 ნოემბერს, ქ.ქუთაისში, ი. ა-ის ქუჩისა და ბ-ის ქუჩის გადამკვეთ გზაჯვარედინზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევაში როგორც დ. მ-იას, ისე – ა. მ-ის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას ადასტურებენ, ხოლო წინამდებარე განჩინების 1.5.1. და 1.5.3. პუნქტებში ასახული სამართლებრივი დასაბუთების გათვალისწინებით, პალატა დადასტურებულად თვლის, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დადგომა ძირითადი მოსარჩელის მხრიდან წინდახედულობის ნორმის დარღვევითაა განპირობებული – დ. მ-ია ახორციელებდა მოხვევის მანევრს, რა დროსაც იგი ვალდებული იყო დარწმუნებულიყო მანევრის უსაფრთხოებაში (მარტივი გაუფრთხილებლობა). სწორედ ამ მანევრმა აიძულა ა. მ-ი, შეეცვალა მოძრაობის სიჩქარე, თუმცა, საგზაო შემთხვევის თავიდან აცილება ვერ მოახერხა. ეს უკანასკნელი სატრანსპორტო საშუალებას მართავდა, როგორც ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, ისე – გადაჭარბებული სიჩქარით, ამასთან, მას არ ჰქონდა მართვის უფლება (სკ-ის 992-ე მუხლი). ამ გარემოებათა არარსებობის პირობებში კი, მძღოლს შეეძლო ავტოსატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. რაც შეეხება ე. მ-ისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებს, იგი შეგებულ სარჩელში თავადვე აღიარებს, თუ რაში გამოიხატა მისი ბრალეულობა, კერძოდ, მან თანასაკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება გადასცა ნასვამ მდგომარეობაში მყოფ შვილს (სკ-ის 999.4 მუხლი (უხეში გაუფრთხილებლობა)). მითითებული გარემოებების სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლთან სუბსუმირების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს მართებულად დაეკისრათ ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სოლიდარულად (სკ-ის 998.1 მუხლი) ზიანის დადგომაში მათი ბრალის ხარისხის გათვალისწინებით, რომლის ოდენობაც 4 700 აშშ დოლართაა გან-

საზღვრული ქვემდგომი სასამართლოების მიერ და ამ გარემოების თაობაზე საკასაციო საჩივარი დასაბუთებულ პრეტენზიას არ შეიცავს.

1.6. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორთა არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სასამართლოს უნდა ემსჯელა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ:

1.6.1. 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინებით დ. მ-იას განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ე. მ-ს აეკრძალა კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისება;

1.6.2. ეს განჩინება დადგენილი წესით არ გასაჩივრებულა;

1.6.3. პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა დ. მ-იას სარჩელი, ხოლო სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვა ძალაში.

1.6.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლი განსაზღვრავს საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ბედს და დადგენილია, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში, დაკმაყოფილდა რა დ. მ-იას სარჩელი, არ არსებობდა ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან შემაჯამებელი გადაწყვეტილებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებაზე დამატებითი მსჯელობის წინაპირობა.

1.7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. მითითებული ნორმისა და წინამდებარე განჩინების დასაბუთების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს არ წარმოუდგენია იმგვარი დასაბუთებული შედავება რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი გახდებოდა (სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლები).

2. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით ა. და ე. მ-ების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მათ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. და ე. მ-ების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამედიცინო დანახვების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-111-111-2018

11 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: არასწორი მკურნალობით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. რ. ა-ის (შემდეგში: პაციენტი ან მოსარჩელე) ჯანმრთელო-

ბის მდგომარეობა აღწერილია რამდენიმე სამედიცინო დოკუმენტში მათგან უახლესი ინფორმაციის შემცველია 2013 წლის 04 მარტის და 2013 წლის 07 აგვისტოს „სამედიცინო ცნობა“. ამავე დოკუმენტის შესაბამისად პაციენტს კლინიკა „ჰ-ში“ (შემდეგში: სამედიცინო დაწესებულება ან კლინიკა ან მოპასუხე ან კასატორი) ჩატარებული აქვს რამდენიმე გამოკვლევა და სამედიცინო მანიპულაცია, კერძოდ დისტანციური ლითოტრიფსიის ორი სეანსი. მოსარჩელეს 2013 წლის 30 აპრილს კლინიკაში გაუკეთდა მარცხენა შარდსანვეთის სტენდირება.

2. შპს „ა-ოს ნ. ყ-ის სახელობის ც-ი ს-ო კლინიკის“ 2015 წლის 25 თებერვლის პასუხის შესაბამისად ირკვევა, რომ შარდსანვეთი სტენტი ამოღებული იქნა 2013 წლის 01 ოქტომბერს.

3. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 21 მაისის მიმართვით ირკვევა, რომ მოსარჩელეს საჭიროებისამებრ უტარდება სათანადო მკურნალობა სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში.

4. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ არაკვალიფიციური, არაკომპეტენტური მკურნალობით, მოსარჩელის მიმართ გამოჩენილი გულგრილობით გამონვეული მატერიალური და მორალური ზიანის – 100 000 ლარის ოდენობით დაკისრების მოთხოვნით.

5. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველ შედეგებაში მიუთითა მკურნალობის პროცესში მოქმედი სამედიცინო სტანდარტების დაცულობაზე.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი მოპასუხისათვის 100 000 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

7. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ: 1-3 ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

8. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე არაკვალიფიციური, არაკომპეტენტური მკურნალობის შედეგად პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის განმაპირობებელ სამართლებრივ სტანდარტად პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია დელიქტურ ვალდებულებებში მოცემული წინაპირობები, როგორცაა: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 992-ე მუხ-

ლი].

9. იმავდროულად, მიუთითა სსკ-ის 1007-ე მუხლზე, რომლის დანაწესით სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით.

10. პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების თვალსაზრისით აღნიშნა შემდეგი:

11. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია, დადგინდეს საექიმო შეცდომა.

12. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა.

13. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია: პაციენტის უფლებების დარღვევით; მცდარი სამედიცინო ქმედებით. სამედიცინო დაწესებულების პასუხისმგებლობისთვის ექიმის მიერ ჩატარებული სადიაგნოზო, თუ სამკურნალო ღონისძიება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის შეუსაბამო, მიუღებელი უნდა იყოს; ექიმი პასუხისმგებელია მხოლოდ მცდარ სამედიცინო მოქმედებაზე და მისი საქმიანობის მიმართ ბრალეულობის ვარაუდი (პრეზუმფცია) არ მოქმედებს; სამედიცინო პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების ან სიკვდილის შემთხვევაში პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია, მოითხოვოს პაციენტისათვის მიყენებული როგორც მორალური, ასევე მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

14. მატერიალური ზიანი მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც უკვე გაწეულია პაციენტის მიერ და ასევე იმ ხარჯებს, რომ-

ლებსაც სამომავლოდ საჭიროებს პირი.

15. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია სსკ-ის 413-ე მუხლით. ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.

16. სამედიცინო მუშაკის ქცევის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის კვალიფიკაციისას, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოიცავს არა მარტო მის აქტიურ მოქმედებებს, არამედ უმოქმედობასაც. არასათანადო სამედიცინო მომსახურება ხასიათდება არა მხოლოდ დიაგნოსტიკური და სამკურნალო ჩარევების მეთოდურად და ტექნიკურად განხორციელებით, არამედ სამედიცინო დანიშნულებით დიაგნოსტიკური და სამკურნალო ღონისძიებების სავალდებულო მოცულობის შეუსრულებლობით, რომელიც ავადმყოფის სათანადო დაკვირვებითა და მოვლით უზრუნველყოფილი არ არის. მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ის გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო პერსონალის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს. უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ, თუ მკურნალობა სწორადაა ჩატარებული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას.

17. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა არაკომპეტენტურად და არაკვალიფიციურად ჩატარებული მკურნალობის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გამორიცხავდა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას.

18. გადაწყვეტილების გაუქმების და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით მოსარჩელის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით 3000 ლარი. დანარჩენ ნაწილში სარჩელი

უარყოფილი იქნა.

19. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა 2013 წლის 04 მარტის №... მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების ქირურგიული განყოფილების უფროსის სამედიცინო ცნობაზე, რომლის შინაარსიდან გამომდინარე ირკვეოდა შემდეგი: პაციენტი №... მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში შემოვიდა 2012 წლის 27 დეკემბერს №... დაწესებულებიდან. პაციენტს დაწესებულებაში და ასევე მოპასუხე კლინიკაში 2013 წლის 29 იანვარს და 2013 წლის 01 თებერვალს ჩატარებული აქვს კვლევა: გულმკერდის რენტგენოსკოპია, სისხლის საერთო ანალიზი და ბიოქიმიური ანალიზები, შარდის კვლევა, თირკლების ექოსკოპია, გასტროფიბროსკოპია. ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში ჩატარებულია მუხლის და ხერხემლის კტ კვლევა, უროლოგის გასტროენეტე-როლოგის, თერაპევტის ფსიქიატრის და პროქტოლოგის კონსულტაციები. დადგენილია დიაგნოზი: მარცხენა ერთადერთი თირკმლის კონკრემეტები, მარჯვენამხრივი ნეფრექტომიის შემდგომი მდგომარეობა, ქრონიკული კალკულოზური პიელონეფრიტი, ქრ შეგუბებითი პროსტატიტი, ოლიგურია, ზომიერად გამოხატული დისტალური ეზოფაგიტი, ეროზიული გასტროდუოდენიტი, ქრ. ქოლცისტიტი ქრონიკული ცე ვირუსული ჰეპატიტი. ჰემოროიდული დაავადება მე-2 სტ, ნელის მალების ოსტეოქონდროზი, პოლიდისკოპათია, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი, დეპრესიული მდგომარეობა. ჩამოთვლილი დაავადებებისგან სრული განკურნება პრაქტიკულად შესაძლებელია ხანგრძლივი მკურნალობით, შესაბამისი სპეციალისტების მეთვალყურეობით. რაც შეეხება თირკმელ-კენჭოვან დაავადებას 2013 წლის 01 თებერვალს და 2013 წლის 05 თებერვალს მოპასუხე კლინიკაში ჩატარდა დისტანციური ლითოტრიფსიის 2 სეანსი უშედეგოდ. პაციენტი კონსულტირებულია უროლოგიის ეროვნულ ცენტრში, სადაც მკურნალობის მეთოდად კვლავ არჩეულ იქნა დისტანციური ლითოტრიფსიის წარმოება – რაც პაციენტისათვის შეთავაზებულ იქნა. ლითოტრიფსიის უეფექტობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაისვას პერკუტანული ან დია ნეფროლითოტომიის უეფექტობის საკითხი სპეციალიზებულ უროლოგიურ კლინიკაში. გასათვალისწინებელია ერთი თირკმლის არსებობა და ინვაზიური ოპერაციული ჩარევის საკითხი უნდა გადაწყდეს პაციენტის ინფორმირებული თანხმობით. ზემოაღნიშნული დახმარების განევა №... მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არ ხდება. 2013 წლის 05 აგვისტოს წერილით მოსარჩელემ №... დაწესებულების

მსჯავრდებულმა მიმართა ამავე დანესებულების მთავარ ექიმს და მიუთითა, რომ 2013 წლის 04 მაისს მოპასუხე კლინიკაში გაუკეთდა შარდასწვეთი სტენტირება, რაზეც მას კლინიკის უროლოგიის განყოფილების უფროსმა და მკურნალმა ექიმმა განუმარტა, რომ სტენტი არის 3 თვიანი და სამი თვის შემდეგ არის ამოსაღები, ასევე ესაჭიროება მუდმივი ანალიზის კონტროლი კრეატინინის და შარდის. ამავე წერილით პაციენტმა მოითხოვა მისთვის ეცნობებინათ ამოსაღები იყო თუ არა სტენტი და თუ შეიცავდა ჯანმრთელობისათვის საშიშროებას მისი დაგვიანებით ამოუღებლობა.

20. 2013 წლის 07 აგვისტოს №... მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დანესებულების ქირურგიული განყოფილების უფროსის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობაში მითითებულია, რომ 2013 წლის 10 მაისის მდგომარეობით პაციენტი დაბრუნდა №... დანესებულებაში მდგომარეობის გაუმჯობესების გამო. პაციენტის მდგომარეობა დადებითია ჩატარებული მკურნალობის ფონზე დინამიკაში. 2013 წლის 13 ივნისს პაციენტი კონტროლის მიზნით გაიყვანეს მოპასუხე კლინიკაში, ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე პაციენტის ზოგადი მდგომარეობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად. შესაბამისი მითითებით. შემოიყვანეს სამკურნალო დანესებულებაში ობიექტური ლაბორატორიული და ჰემოდინამიკური მაჩვენებლები ნორმის ფარგლებში. აქვე მიეთითა, რომ პაციენტს 2013 წლის 30 აპრილს მოპასუხე კლინიკაში გაუკეთდა ოპერაცია მარცხენა შარდასწვეთის სტენტირება, მკურნალი ექიმის მითითებით. სტენტი ჩადგმულია მუდმივად და პაციენტისათვის რაიმე საფრთხეს არ წარმოადგენს.

21. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2013 წლის 21 მაისის წერილიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე 2013 წლის 06 აპრილს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო №... დანესებულებიდან გადაიყვანეს ქ. თბილისის უროლოგიის ეროვნულ ცენტრში, ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევები და დაესვა დიაგნოზი: შარდ-კენჭოვანი დაავადება მარჯვენამხრივი ნეფრექტომიის შემდგომი პერიოდი, ერთადერთი მარცხენა თირკმლის და შარდასწვეთის ქვემო მესამედის კენჭები, ზემო საშარდე გზების ობსტრუქცია, რის გამოც სასწრაფოდ ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა. მარცხენამხრივი ურეთერორენოსკოპია. 2013 წლის 07 აპრილს გადაყვანილ იქნა №... მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დანესებულების ქირურგიულ განყოფილებაში, ჩაუტარდა შესაბა-

მისი სამედიცინო გამოკვლევები და დაენყო მკურნალობა. მიუხედავად ამისა, მისი მდგომარეობა დამძიმდა დაესვა დიაგნოზი მაკროჰემატურია, ქროტინურია, თირკმლის უკმარისობა. 2013 წლის 11 აპრილს ის გადაყვანილ იქნა აკდ. ნ. ყ-ის სახელობის ც. ს-ო კლინიკაში. ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევები, ექიმ უროლოგის კონსულტაცია: დაესვა დიაგნოზი: მარცხენა ერთდერთი თირკმლის რეტროგრადული კათეტერიზაციის შემდგომი პერიოდი, შარდ-კენჭოვანი დაავადება, მარცხენა ერთდერთი თირკმლის ობსტრუქციული ჰიდრონეფროზი. 2013 წლის 20 აპრილს პაციენტი დააბრუნეს №... მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. თუმცა, 2013 წლის 30 აპრილს იგი კვლავ გადაიყვანეს აკად. ნ. ყ-ის სახელობის ც. ს-ო კლინიკაში, სადაც გაუკეთდა მარცხენა შარდსანვეთის სტენტირება და ჩაუტარდა ადეკვატური კონსერვატიული მკურნალობა. მისი ზოგადი მდგომარეობა გაუმჯობესდა. 2013 წლის 10 მაისს პაციენტი დააბრუნეს დაწესებულებაში, სადაც სამედიცინო პერსონალის და სტაციონარის პირობებში უტარდებოდა შესაბამისი მკურნალობა, ასევე მიმდინარეობდა კლინიკო-ლაბორატორიული მონიტორინგი. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2014 წლის 05 თებერვლის წერილში ასახულ მოპასუხის შეხვედრის დროს მსჯავრდებულის ჩივილებზე, სადაც, იგი აღწერდა, რომ 2013 წელს ორჯერ ჩაუტარდა ოპერაცია თირკმელზე, თუმცა მისი მდგომარეობა ამჟამად არის მძიმე, რის გამოც ითხოვს უროლოგის მუდმივ მეთვალყურეობას. 2014 წლის იანვარში ორჯერ იყო გადაყვანილი საერთო პროფილის საავადმყოფოში, რის შემდეგაც დაენიშნა მკურნალობა. მას დანიშნული აქვს დიეტური კვება. მსჯავრდებულის განმარტებით ამჟამად არ ეძლევა დანიშნული მედიკამენტები და არ არის უზრუნველყოფილი დიეტური საკვებით.

22. დადგენილია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მოპასუხე კლინიკამ აცნობა, რომ პაციენტს კლინიკაში 2013 წლის 04 მაისს არ განეცხადებია არანაირი ექიმის კონსულტაცია ან სამედიცინო დახმარება.

23. 2014 წლის 14 ნოემბრის წერილით მოსარჩელემ მიმართა ქ. თბილისის შპს ა-ოს ნ. ყ-ის სახელობის ც-ი ს-ო კლინიკის ხელმძღვანელს რათა მისთვის ეცნობებინათ, იყო თუ არა მის ორგანიზმში ჩადგმული სტენტი მუდმივი და წარმოადგენდა თუ არა საფრთხეს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მისი სტენტის ჩატოვება. ასევე რატომ გახდა სტენტის ამოღება აუცილებელი.

24. ა-ოს ნ. ყ-ის სახელობის ც-ი ს-ო კლინიკის 2015 წლის 25 თებერვლის წერილით პაციენტს 2014 წლის 14 ნოემბრის წერილის საპასუხოდ ეცნობა, რომ მას ჩაედგა შარდსანვეთო სტენტი, ხანგრძლივი (6 თვე), ვინაიდან მუდმივი შარდსანვეთის სტენტი არ არსებობს. შარდსანვეთის სტენტმა შეიძლება განიცადოს ინკრუსტაცია, მიგრაცია, რაც შეიძლება შემდგომ გახდეს ობსტრუქციის მიზეზი, რის შემდეგაც იცვლება მკურნალობის ტაქტიკა. შარდსანვეთის სტენტის კონტროლი ხდება ამბოლატორიულად ექოსკოპიური და რენდგენოლოგიური კვლევების საშუალებით. იგი იმყოფება უროლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ამბოლატორიულად უტარდება კლინიკო-ლაბორატორიული კვლევები, რის საფუძველზეც 2013 წლის 01 ოქტომბერს ამოღებულ იქნა შარდსანვეთი სტენტი. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას კლინიკაში ჯეროვანი მკურნალობა არ ჩაუტარდა, კერძოდ, ავადმყოფობის სტენტირების მეთოდით მკურნალობისას, მიუხედავად თხოვნისა, ექიმმა ოფიციალურ დოკუმენტში არ დააფიქსირა სტენტის სხეულში ყოფნის გონივრული ვადა და მაშინ როცა მკურნალი ექიმის ზეპირი განმარტებით ასეთი ვადა 3 თვე იყო, სტენტი ამოიღეს 3 თვეზე მეტი ვადის შემდეგ.

25. მოსარჩელის მითითებით მის ჯანმრთელობას ასეთი ქმედებით მიადგა ზიანი, რადგან სხეულში სტენტის არსებობის პერიოდში მას ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები.

26. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პაციენტი იყო მსჯავრდებული პირი. საქმეში წარმოდგენილი მასალების, მხარეთა ახსნა-განმარტებების და მოწმეთა ჩვენებების თანახმად, პაციენტისთვის ზოგადი ხასიათის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იყო დადებითი, მას დასმული ჰქონდა სხვადასხვა დიაგნოზი. უდავი იყო, რომ სარჩელის აღძვრამდე პაციენტს შარდკენჭოვანი დაავადების გამოვლინების გამო კლინიკაში პირველ ჯერზე გაუკეთდა მარცხენამხრივი რეტროგრადული კათეტერიზაცია და დაენყო მკურნალობა, შედეგის მიუღებლობის გამო კვლავ მოხდა მისი კლინიკაში გადაყვანა, სადაც განხორციელდა მარცხენა შარდსანვეთის სტენტირება.

27. სხდომაზე დაკითხული №... მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებათა ქირურგიული განყოფილების ყოფილი უფროსის განმარტებით პაციენტს ნამდვილად ჰქონდა ძლიერი ტკივილები და იგი ხშირად ითხოვდა დახმარებას, რის გამოც ხდებოდა მისი გადაყვანა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში. მან არ უარყო, რომ პაციენტმა გაუსაძლისი ტკივილების გამო თვითდაზიანებასაც მიმართა.

28. საქმეზე ასევე დაიკითხა მოპასუხე კლინიკაში მომუშავე პაციენტის მკურნალი ექმი, რომელმაც უარყო, რომ პაციენტს სტენტირების ვადა 3 თვე განუსაზღვრა. მან განმარტა, რომ სტენტირების ვადა იყო 6 თვე, რომელსაც ეწოდება ხანგრძლივი ვადა, ხოლო 6 თვის გასვლამდე პაციენტს სტენტი ამოუღეს. მან უარყო, რომ სტენტირებას შეეძლო გამოენვია გაუსაძლისი ტკივილები პაციენტისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტენტი არასწორად იქნებოდა ჩადგმული, ასეთ დროს კი, პაციენტი საერთოდ ვერ მოახერხებდა შარდის გამოყოფას.

29. პაციენტის განცხადებებით, სახალხო დამცველის, სასჯელაღსრულების დაწესებულების და ა-ოს ნ. ყ-ის სახელობის ც-ი ს-ო კლინიკის წერილებით სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ პაციენტს ნამდვილად ჰქონდა ჩივილები სტენტირების პერიოდში და იგი აქტიურობდა მიელო სრულყოფილი ინფორმაცია სტენტირებით მკურნალობის, მისი ვადის, სტენტის ამოღების ვადის გადაცილების გამო საფრთხეების შესახებ, აქვე აღწერილია, რომ მას აწუხებდა ტკივილები და იგი რამდენჯერმე გადაყვანილ იქნა კლინიკაში გამოკვლევების მიზნით, უტარდებოდა ამბულატორული მკურნალობა.

30. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია მოქალაქის უფლებების დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, აგრეთვე მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, ხოლო 46-ე მუხლის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირი სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით.

31. პატიმრობის კოდექსის 13.2 მუხლის თანახმად, ბრალდებულს პატიმრობის, ხოლო მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისას გარანტირებული აქვს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ამ კოდექსით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები.

32. ამავე კოდექსის 14.1 მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს: ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი იყოს: ა.ბ) სამედიცინო მომსახურებით, ხოლო 24.1 მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით.

33. საჭიროების შემთხვევაში, ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პენიტენციურ და-

წესებულებაში ნებადართული სამკურნალო საშუალებები. მოთხოვნის შემთხვევაში, ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს პენიტენციური დაწესებულების მიერ შეძენილზე მეტი ღირებულების ან ანალოგიური თვისებების მქონე სამკურნალო საშუალების საკუთარი სახსრებით შეძენის უფლება. დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დეპარტამენტის დირექტორის ნებართვით, საკუთარი სახსრებით მოიწვიოს პირადი ექიმი ამავე კანონის 18.1 მუხლის თანახმად, პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია: გ) განზრახული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების, მათი თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ; დ) სამედიცინო გამოკვლევების შედეგების შესახებ; ზ) დიაგნოზისა და სავარაუდო პროგნოზის, აგრეთვე მკურნალობის მიმდინარეობის შესახებ.

34. მოსარჩელის პრეტენზიები უკავშირდება სწორედ იმ ფაქტს, რომ არაჯეროვნად ინფორმირდა მკურნალობის მეთოდის და მიმდინარეობის შესახებ, მკურნალი ექიმის დაუდევრობით სტენტი ამოღებულ იქნა არა სამ, არამედ მეტი ვადის გასვლის შემდეგ, რის გამოც მას აწუხებდა გაუსაძლისი ვაკივლები. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების მიზნისათვის სახეზე უნდა ყოფილიყო ზიანი (სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას იგივე ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.

35. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის თანახმად, ექიმი ვალდებულია პაციენტს სრული ინფორმაცია მიაწოდოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. გამონაკლის შემთხვევაში, პაციენტისათვის ინფორმაციის მინოდების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონით „საექიმო საქმიანობის შესახებ“. 43.1 მუხლის ა) პუნქტის თანახმად, ექიმი და ჯანმრთელობის დაცვის სხვა პერსონალი ვალდებული არიან: ა) დადგენილი წესით აწარმოონ ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში. მე-2 ნაწილის თანახმად, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლას ასეთ შემთხვევაში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ასეთი დოკუმენტაციის სავალდებულო ჯეროვანი გაფორმება და თანმიმდევრული წარმოება განაპირობებს ვითარების ნათლად და გარკვევით წარმოჩენის და აღქმის შე-

საძლებლობას. სამედიცინო დოკუმენტაციაში ასახულია მკურნალობის მიზნით სამედიცინო ქმედებათა დაწყების, განვითარების და დასრულების პროცესები, მათი თანმდევი შედეგებით, რომელშიც გამოიკვეთება მნიშვნელოვანი ფაქტორები პაციენტის მდგომარეობის შესახებ. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების მარეგულირებელი დანაწესებიდან გამომდინარე მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გამწევ სუბიექტზეა, რომელმაც ზიანის უარყოფა ან მისი ქმედების კანონიერება, ბრალეულობის გამორიცხვა უნდა ამტკიცოს სწორედ ნაწარმოები ასეთი სავალდებულო დოკუმენტაციის მეშვეობით. იმ პირობებში, როცა პაციენტი/მოსარჩელე მკურნალობის დროს იყო მსჯავრდებული პირი, რის გამოც საკუთარი აქტივობით მისი კანონით დაცული ინტერესები ვერ იქნებოდა ისე მყისიერად რეალიზებული, როგორც სხვებისა, ამასთან, პაციენტის სამედიცინო ჩანაწერების სავალდებულოება კანონით განერილია, მტკიცების ტვირთი, რომ კლინიკაში ჩატარებული სტენტირების გამო, სტენტის გონივრული ვადით სხეულში ყოფნის თუ დაყოვნების შემთხვევაში პაციენტს ვერ წარმოეშობოდა გაუდაძლიის ტკივილები, რაც პაციენტს დატანჯავდა და ამით მას არ მიადგებოდა ზიანი იმ სამკურნალო დაწესებულებაზე მოდის, რომელიც პასუხისმგებელი იყო პაციენტის მკურნალობის უწყვეტობასა და თანმიმდევრულობაზე.

36. მოსარჩელე განმარტავდა, რომ იგი მკურნალობის შესახებ არ იყო სრულყოფილად ინფორმირებული. მას ზეპირსიტყვიერად განემარტა, რომ სტენტი იყო სამთვიანი და მისი ამოღების ორგანიზების დროულობას მკურნალი ექიმი უზრუნველყოფდა. სტენტი კი ამოღებულ იქნა 3 თვეზე მეტი ვადის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში მოსარჩელე მხარეს აწუხებდა გაუდაძლიის ტკივილები, რაც მის სხეულში სტენტის არსებობას უკავშირდებოდა და ითხოვდა ტკივილის შემსუბუქებისათვის შესაბამისი სამედიცინო ქმედების განხორციელებას, მაშინ როცა მისთვის გაუგებარი დარჩა სამთვიანი სტენტირების პირობებში სტენტის 5 თვის თავზე ანუ დაგვიანებით ამოღებით შესაძლებელი იყო თუ არა მისი ჯანმრთელობისა თუ სიცოხლისათვის საფრთხის შექმნა.

37. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე კლინიკამ სასამართლოს არ წარმოუდგინა სავალდებულოდ ნაწარმოები სამედიცინო ჩანაწერები მოსარჩელის/პაციენტის მკურნალობის თანმიმდევრობის და შედეგების შესახებ. ამასთან, მოსარჩელის განმარტებების საწინ-

ნააღმდეგოდ მას სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, თუ რა სახის სტენტი იყო ჩადგმული მის ორგანიზმში და რა ვადით. და პირიქით კლინიკა შემოიფარგლა იმის განმარტებით, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა მოსარჩელის მტკიცების საგანს. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დამტკიცებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარეს სტენტირების მეთოდით მკურნალობის არაჯეროვნად წარმართული პროცესით მიადგა ზიანი, რის გამოც იძულებული იყო ეთმინა გაუსაძლისი ტკივილები. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ზიანის მატერიალური ოდენობის შეფასების ვალდებულება მოსარჩელის მხარესაა, ხოლო იგი არ უთითებს რაში გამოიხატა მისთვის მატერიალური ზიანი, იმ მოცემულობაში რა დროსაც მისი მკურნალობის პროცესს ფინანსურად უზრუნველყოფდა სახელმწიფო, ზიანის მატერიალური ფორმით ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო.

38. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 413-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

39. მოცემულ დავაში არაქონებრივი, იგივე მორალური, ზიანის სწორი განმარტებისათვის უპირველესად, ყურადღება მიექცა კანონით დაცული სიკეთის სავარაუდო ხელყოფის ფაქტს, ბრალს, დამდგარ ზიანს და მიზეზობრივ კავშირს დამდგარ ზიანსა და კანონით დაცული სიკეთის ხელყოფით მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, დაზარალებული პირის სოციალურ მდგომარეობას და მისგან გამომდინარე მტკიცების ტვირთის სამართლიან გადანაწილებას.

40. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი მონოდებულია ინდივიდის, ოჯახის და მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობის დასაცავად. სამედიცინო საქმიანობის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მართოს სასამართლოს და მოითხოვოს: ა) კომპენსაცია ქონებ-

რივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია: ა.ა) პაციენტის უფლებების დარღვევით; როგორც ზემოთ იქნა მოპასუხე კლინიკამ სასამართლოს არ წარმოუდგინა სავალდებულოდ ნაწარმოები სამედიცინო ჩანაწერები პაციენტის მკურნალობის თანმიმდევრობის და შედეგების შესახებ ან სხვა სახის მტკიცებულებები. შესაბამისად, მოსარჩელე მხარის განმარტებები იმის შესახებ, რომ არასწორი მკურნალობით გამოწვეული ტკივილებით და პაციენტისათვის სავალდებულო ინფორმაციის მიწოდების არაჯეროვანების გამო მორალურად დაზიანდა დამტკიცებულად იქნა მიჩნეული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოთხოვნა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საფუძვლიანად იქნა მიჩნეული, რადგანც პაციენტის უფლება სათანადო მკურნალობის მიმდინარეობისას მომეტებული ტანჯვისა და ტკივილის აცილების თაობაზე, კლინიკაში შეზღუდილი იქნა.

41. არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურების გამო 3000 ლარის დაკისრება სააპელაციო პალატამ გონივრულ და მართლზომიერ ოდენობად მიიჩნია.

42. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება საარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და სარჩელის უარყოფა.

43. კასატორს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება დადგენილ სასამართლო პრაქტიკას. იგი ასევე მიუთითებს გადაწყვეტილების იურიდიულ დაუსაბუთებლობასა და მოპასუხის, მოწინააღმდეგე მხარისათვის შეჯიბრებითობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვაზე. უფრო კონკრეტულად საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ დარღვევებსა და მოსაზრებებს:

44. სააპელაციო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, თითქოს მოპასუხე კლინიკის უროლოგიის განყოფილების უფროსმა და ასევე, პაციენტის/ მსჯავრდებულის მკურნალმა ექიმმა განუმარტა პაციენტს, რომ სტენტი, რომელიც მის ორგანიზმში იქნა ჩადგმული იყო სამ თვიანი და სამი თვის გასვლის შემდეგ აუცილებელი იყო მისი ამოღება.

45. საქმეში არ მოიძებნება არცერთი მტკიცებულება გარდა მოსარჩელის განმარტებისა, სადაც იგი მიუთითებს სტენტის ორგანიზმში ყოფნის ვადის სამთვიან პერიოდზე.

46. წინამდებარე საქმის განხილვის დროს, დაიკითხა არაერთი ექიმი, გამოკვლეულ იქნა საქმის მასალების თითოეული ფურცელი და არსად მითითება იმაზე, რომ სტენტი მართლაც

სამ თვიანი იყო არც მონმეთა ჩვენებით დადასტურდა და არც საქმეში არსებული დოკუმენტებით. იმავდროულად, საქმეში არსებულ არცერთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით დადგენილ გარემოებას ვხვდებით გადაწყვეტილების მე-8 გვერდზე, სადაც მოტანილია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების ქირურგიული განყოფილების უფროსის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, სადაც მითითებულია რომ თითქოსდა ლ. დ-ის განმარტებით სტენტი არის უვადო. აღნიშნული გარემოება გ. ხ-მა სააპელაციო სასამართლო მონმედ დაკითხვის დროს ვერ დაადასტურა და მეტიც, მონმედ ასევე ვერ დაადასტურა, თუ საიდან ჰქონდა ინფორმაცია სტენტის ვადასთან დაკავშირებით, ან საერთოდ ჰქონდა თუ არა ეს ინფორმაცია. შესაბამისად, გაუგებარია სააპელაციო სასამართლო რატომ დაეყრდნო ერთ შემთხვევაში იმ გარემოებას, რომ სტენტი სამთვიანი იყო და მეორე შემთხვევაში რატომ მიიჩნია, რომ სტენტი მუდმივი იყო, იმ პირობებში როდესაც საქმეში პირდაპირი დამადასტურებელი მტკიცებულება სტენტის ვადიანობასთან დაკავშირებით მოცემულია მხოლოდ და მხოლოდ ცნობაში (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-9 გვერდი), რომელიც გაცემულია შპს „ა-ოს ნ. ყ-ის სახელობის ც-ი ს-ო კლინიკის“ (ანუ მესამე პირის და საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო დაწესებულების მიერ) მიერ, სადაც მითითებულია რომ სტენტი არის ექვს თვიანი და უვადო მოქმედების სტენტი ბუნებაში არ არსებობს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ორგანიზმში სტენტის ჩადგმისა და ამოღების პერიოდი არ აღემატება ხუთ თვე ნახევარსაც კი. კერძოდ, როგორც საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, სტენტირება მოხდა 2013 წლის 30 აპრილს, ხოლო მისი ამოღება 2013 წლის 1 ოქტომბერს. ანუ, სტენტი პაციენტის ორგანიზმში იყო 5 თვე და 2 დღე, რაც ცალსახად ნაკლებია სტენტის ვარგისიანობის ვადაზე, რომელიც 6 თვე იყო. ანუ, დაცული იყო აბსოლუტურად ყველა ნორმა რაც კი მოთხოვნილია მსგავსი სამედიცინო მანიპულაციის ჩატარებისა, თუ სამედიცინო ინსტრუმენტის გამოყენების მიმართ.

47. სასამართლო დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს იმას, რომ სტენტირების პერიოდში პაციენტს ტკივილები ჰქონდა, რამაც მისი სულიერი ტანჯვა გამოიწვია. შესაბამისად სასამართლო ძალიან მარტივად ასკვნის, რომ სტენტის გამო კასატორმა კომპანიამ მოწინააღმდეგე მხარეს მიაყენა მორალური სახის ზიანი.

48. უდავო გარემოებაა რომ მოსარჩელეს მოპასუხე კლინი-

კისტვის მომართვამდე ჰქონდა შემდეგი დაავადებები: მარცხენა ერთადერთი თირკმლის კონკრემენტები, მარჯვენამხრივი ნეფრექტომიის შემდგომი მდგომარეობა, ქრონიკული კალკულოზური პიელონეფრიტი, შეგუბებითი პროსტატიტი, ოლიგულია, ზომიერად გამოხატული დიტალური ეზოფაგიტი, ეროზიული გასტროდუოდენიტი, ქრონიკული ქოლეცისტიტი, ქრონიკული ც ვირუსული ჰეპატიტი, ჰემოროიდული დაავადება მეორე სტადია, წელის მასალების ოსტეოქონდროზი, პოლიდისკოპათია, გალიზიანებული ნანლაგის სინდრომი, დეპრესიული მდგომარეობა. აღნიშნული დაავადებების არასრული ჩამონათვალი მინიმუმ გონივრულ ეჭვს უნდა იწვევდეს იმასთან დაკავშირებით რომ ის ტკივილები, რაც მოსარჩელეს თითქოსდა სტენტის ჩადგმის შემდეგ ჰქონდა გამოწვეული იყო არა სტენტის, არამედ ზემოთ ჩამოთვლილი, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ არასრული ჩამონათვალიდან მინიმუმ ერთ-ერთი გარემოების გამო. ამასთან, საქმეში არსებული მტკიცებულებებით სამედიცინო განათლების მქონე პირები ადასტურებენ, რომ სტენტი, მისი ელასტიური ბუნებისა და მისი დანიშნულების გამო, რაიმე ტკივილს კი არა დისკომფორტსაც არ იწვევს. პირიქით, სტენტი ჩადგმული იყო იმისათვის, რომ პაციენტი ცოცხალი გადაარჩენილიყო.

49. საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება რომ გაუსაძლისი ტკივილები (თუკი ასეთს ჰქონდა ადგილი) სტენტის გამო იყო. პირიქით, პირველი ინსტანციის სასამართლოში (რომელმაც აბსოლუტურად სწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლიანად არ დააკმაყოფილა სარჩელი) მოსარჩელემ განაცხადა, რომ მისმა მკურნალმა ექიმმა სტენტირებითა და მის მიერ განხორციელებული სხვა სამედიცინო მანიპულაციებით მისი სიცოცხლე გადაარჩინა (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმები 13.12.2016).

50. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სასამართლომ მაინც დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და მიიღო ფაქტობრივად ისეთი გადაწყვეტილება, რომლის პრეცედენტად მიჩნევის შემთხვევაში, ფაქტობრივად გამოვა, რომ ნებისმიერი სამედიცინო მანიპულაციის შემდეგ ან სხვა დაავადებიდან გამომდინარე ბუნებრივი ტკივილები, რომელზედაც სამედიცინო მანიპულაცია არ განხორციელებულა, გახდეს სსკ-ის 1007-ე მუხლის ნორმატიული შემადგენლობის საფუძველი.

51. სააპელაციო სასამართლომ კასატორ კომპანიას მტკიცების ტვირთი ისე დაუმიძიმა, რომ შეუძლებელი გახადა კომპა-

ნის მიერ საკუთარი მატერიალური თუ პროცესუალური უფლებების განხორციელება. კასატორი კომპანია სრულად აცნობიერებს იმ გარემოებას, რომ მან უნდა ამტკიცოს ის, რომ სამედიცინო მანიპულაციას ზიანი არ მოჰყოლია. თუმცა, იმისათვის რომ სამედიცინო დაწესებულებამ ეს დაამტკიცოს, სულ მცირე უნდა არსებობდეს მითითება ზიანზე, რომელიც ცალსახად უნდა დასტურდებოდეს, რომ კონკრეტულ მანიპულაციას მოჰყვა.

52. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე კონკრეტულად ვერ უთითებდა თუ რა ზიანი მიადგა, ანდა რამდენად შეეძლო განხორციელებულ სტენტირებას მისთვის მორალური ან მატერიალური ზიანის მიყენება, მაშინ როდესაც საქმეში წარმოდგენილ ყველა ცნობაში, რომელიც გაცემულია სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების მიერ ცალსახად არის მითითებული, რომ სტენტირების მიერ მოსარჩელის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამ ცნობებით ასევე ცალსახად დასტურდება, რომ მის მდგომარეობაში სტენტირება იყო საუკეთესო გამოსავალი. გარდა ამისა, საქმეში მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი რაიმე ცნობა, რომელიც დაადასტურებდა მკურნალობის განხორციელების შემდეგ ან შედეგად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება.

53. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ სააპელაციო სასამართლო აბსოლუტურად სწორი იყო, მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხში ვიღებთ ერთ შედეგს: საქმეში არსებული სამედიცინო ცნობებისა და დაკითხული მოწმეების განმარტებების შესაბამისად სარჩელი არის უსაფუძვლო, მეტიც, მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა თუნდაც ერთი მტკიცებულება რომელიც დაადასტურებდა მიზეზობრივ შედეგს (რომელიც დელიქტის უმთავრესი შემადგენელი ელემენტია) სტენტირებასა და მისთვის ვითომდა მიყენებულ ზიანს შორის. ამასთან, მოსარჩელემ ვერც ზიანი დაადასტურა და ვერც ზიანის გამომწვევი ქმედება.

54. იმავდროულად, კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო თითქმის ყოველ ჩატარებულ სხდომაზე ცდილობდა ხელი შეეწყო მოსარჩელისათვის, რომ მას წარმოედგინა მტკიცებულებები, ან/და სწორად ჩამოეყალიბებინა მოთხოვნა. მოსარჩელე ვერ ყალიბდებოდა მოეთხოვა მატერიალური ზიანი თუ მორალური ზიანი.

55. საქმეზე, სადაც სადავოდ იყო გამხდარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საკითხი, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „სსკ-ის 413-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას მხოლოდ სხეულის და-

ზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში. მოსარჩელემ ვერ წარადგინა სასამართლოში ჯანმრთელობის ვნების მიყენების დამადასტურებელი მტკიცებულებანი. რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ მას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა (იგი დიაბეტითაა დაავადებული), არ იქნა დადასტურებული. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ნორმის საფუძველზე პასუხისმგებლობის საკითხი მაშინ დადგება, თუ არსებობს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა (ელ. ენერჯის გამორთვა) და დამდგარ შედეგს (ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება) შორის. აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებანი მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია“ (იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრებისსაქმეთა პალატის 2002 წლის 11 დეკემბრის განჩინება №3კ-1212-02). განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ, ანუ აპელანტმა ვერ დაადასტურა ვერც მიზეზობრივი კავშირის არსებობა და ვერც ის, რომ უშუალოდ სტენტირების გამო მიაღდა მის ჯანმრთელობას ზიანი. მეტიც, ზიანის დადგომის ფაქტიც კი ვერ დადასტურდა მონინაალმდევე მხარის მიერ.

56. კიდევ ერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლო მიუთითებს შემდეგს: „მორალური ზიანის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მორალური ზიანის არსებობა. იგი ნიშნავს ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში. ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, სარჩელი ასევე უნდა შეიცავდეს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის დასაბუთებასაც“ (საქმე №ას-912-874-2014, 19 მარტი, 2015 წელი).

57. განსახილველ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი, რომელიც მოსარჩელის მხარეზე იყო სათანადოდ ვერ იქნა რეალიზებული.

58. კიდევ ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა რომ „მსგავსი კატეგორიის დავებში, ისევე როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში, დადგენილ უნდა იქნეს ზიანის შემადგენლობის შემდეგი ნიშნები: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, თითოეული ამ კომპონენტების თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. თითოეული ამ კომპონენტის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექიმის ან საავადმყოფოს მიმართ პაციენტს შეიძლება წარმოეშვას, როგორც ხელშეკრუ-

ლებიდან, ასევე დელიქტური ნორმებიდან [დამფუძნებელი ნორმა – სსკ-ის 1007-ე მუხლი; დამხმარე ნორმები: საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“]. მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მიხედვით მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. პაციენტს ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ: 1. სამედიცინო საქმიანობის მიზანი მიღწეული არ არის (ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენა და სიცოცხლის შენარჩუნება) და 2. მედიცინის მუშაკის ქმედება არ შეესაბამება სამედიცინო მაჩვენებლებს. არსებული სასამართლო პრაქტიკით ფაქტებზე მითითების ტვირთისა და მათი დამტკიცების ტვირთი ეკისრება პროცესის მონაწილე იმ მხარეს, რომელიც ითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მაშასადამე, დაზარალებულს“ (იხ., სუსგ №ას-874-1146-05, 2005 წლის 14 სექტემბერი; №ას-260-244-11, 2011 წლის 27 ივნისი).

59. ამგვარად, ციტირებულ გადაწყვეტილებებიდან დგინდება რომ, მტკიცების ტვირთის გადანაწილება, რომელსაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლო გეთავაზობს, არასწორია.

60. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 05 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2018 წლის 30 მარტოს განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ პუნქტების საპროცესოსამართლებრივი საფუძვლით.

სამოტივაციო ნაწილი:

61. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

62. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია მოსარჩელისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სტენტირების მეთოდით მკურნალობის არაჯეროვნად წარმართული პროცესით პაციენტს მიადგა ზიანი, რის გამოც, იგი იძულებული იყო ეთმინა გაუსაძლისი ტკივილები. შესაბამისად,

არასწორი მკურნალობით გამოწვეული ტკივილებით და პაციენტისათვის სავალდებულო ინფორმაციის მიწოდების არაჯეროვანების გამო, მორალურად დაზიანდა მოსარჩელე.

63. მორალური ზიანის ანაზღაურებას სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ დაუდო სსკ-ის 992-ე, 1007-ე და 413-ე მუხლები.

64. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დასკვნებს არ ეთანხმება სამედიცინო დაწესებულება – კასატორი და მოითხოვს სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმებას.

65. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების მართებულობა, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ-ის) 404-ე მუხლის პირველი ნაწილისა.

66. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წინამდებარე დავაზე საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის სავალდებულო ძალის მქონეა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

67. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა აღწერილია რამდენიმე სამედიცინო დოკუმენტში მათგან უახლესი ინფორმაციის შემცველია 2013 წლის 04 მარტის და 2013 წლის 07 აგვისტოს „სამედიცინო ცნობა“. ამავე დოკუმენტის შესაბამისად პაციენტს კლინიკაში ჩატარებული აქვს რამდენიმე გამოკვლევა და სამედიცინო მანიპულაცია, კერძოდ დისტანციური ლითოტრიფსიის ორი სეანსი. მოსარჩელეს 2013 წლის 30 აპრილს მოპასუხე კლინიკაში გაუკეთდა მარცხენა შარდსანვეთის სტენტირება. დადგენილია, რომ პაციენტს შარდსანვეთი სტენტი ამოუღეს 2013 წლის 01 ოქტომბერს.

68. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 21 მაისის მიმართვით ირკვევა, რომ მოსარჩელეს საჭიროებისამებრ უტარდება სათანადო მკურნალობა სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში.

69. მოპასუხე კლინიკა მოთხოვნის გამომრიცხველ შედაგებასა და საკასაციო საჩივარშიც მიუთითებს პაციენტის მკურნალობის პროცესში კლინიკის მხრიდან მოქმედი სამედიცინო სტანდარტების დაცულობაზე [სსსკ-ის მე-3, მე-4 და 201-ე მუხლები]. სახელდობრ, კასატორს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაუდასტურებელია, თუ რა ზიანი მიადგა, ან-

და რამდენად შეეძლო განხორციელებულ სტენტირებას მორალური ან მატერიალური ზიანი მიეყენებინა მოსარჩელისათვის, მაშინ როდესაც საქმეში წარმოდგენილ ყველა ცნობაში, რომელიც გაცემულია სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების მიერ, ერთმნიშვნელოვნადაა მითითებული, რომ სტენტირების შედეგად მოსარჩელის მდგომარეობა გაუმჯობესდა. დასტურდება ისიც, რომ პაციენტის მდგომარეობაში სტენტირება იყო საუკეთესო გამოსავალი. გარდა ამისა, საქმეში მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი რაიმე ცნობა, რომელიც დაადასტურებდა მისთვის მკურნალობის გაწევის შემდეგ ან შედეგად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება.

70. წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში იმავდროულად სადავოა მხარეთა შორის (პაციენტი და კლინიკა) მტკიცების ტვირთის გადანაწილება. კასატორს მიაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით გასაჩივრებული გადანყვეტილება ეწინააღმდეგება სსსკ-ის 992 და 1007-ე მუხლებთან მიმართებით მყარად დადგენილ სასამართლო პრაქტიკას [სსსკ-ის 393-ე მუხლი].

71. საკასაციო სასამართლო პირველ ყოვლისა მიუთითებს, რომ განსახილველი დავის მხარეებს წარმოადგენენ პაციენტი (მოსარჩელე) და კლინიკა (მოპასუხე). დავის საგანს წარმოადგენს არასწორი მკურნალობის განხორციელება და ამით, პაციენტის ჯანმრთელობისათვის ვნების, ტანჯვის მიყენება, რაც სსსკ-ის 992-ე, 1007-ე და 413-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების განხორციელებულად მიჩნევის შემთხვევაში (სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილი), კლინიკისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველია.

72. დავის თავისებურებიდან და იმავდროულად, სადავოდ გამხდარი საკითხის კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა საგულისხმოდ მიიჩნევს განმარტოს სსკ-ის 1007-ე მუხლისა და 992-ე მუხლის მიხედვით მოდავე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების სამართლებრივი საკითხი.

73. სსკ-ის 1007-ე მუხლი ადგენს მტკიცების ტვირთის განაწილების წესს, რომლის დანაწესი სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთს აკისრებს დაზარალებულს. ნორმის აღნიშნული დანაწესის თანახმად, დაზარალებულმა ერთდროულად უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, როგორიცაა: ა) ზიანი; ბ) ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა; გ) არამართლზომიერ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

74. სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი [სსკ-ის 992-ე მუხლი]. ამასთან, თითოეული ამ კომპონენტების თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. თითოეული ამ კომპონენტის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების მიმართ პაციენტს შეიძლება წარმოემვას, როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე დელიქტური ნორმებიდან. შეიძლება ექიმს იმ შემთხვევაშიც დაეკისროს პასუხისმგებლობა თუ, მას არანაირი ხელშეკრულება არ გაუფორმებია პაციენტთან, გამომდინარე იქიდან, რომ მკურნალობის დაწყებით ექიმისათვის და არასამედიცინო (დამხმარე) პერსონალისათვისაც წარმოიშობა ვალდებულება, კანონით დადგენილ ფარგლებში დაიცვან და შეინარჩუნონ პაციენტის ჯანმრთელობა. ექიმის მიერ ჩატარებული მცდარი მკურნალობა, როგორც წესი, ხელშეკრულების დარღვევაც არის და დელიქტიც. მოთხოვნის ორივე საფუძველი თანაბარია და შესაბამისად, მოთხოვნის დაფუძნება ორივე საფუძველზე ერთდროულად არის შესაძლებელი.

75. ამასთან, დელიქტური ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას გამოიყენება სახელშეკრულებო ზიანის მომწესრიგებელი ნორმები. სახელშეკრულებო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები სპეციფიკურია და არეგულირებს ვალდებულებით ურთიერთობას სახელშეკრულებო თავისებურებათა გათვალისწინებით. თუმცა, განსხვავებულ შესაძლებლობას გვაძლევს სსკ-ის 326-ე მუხლი, რომლის ძალითაც წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მითითებული ნორმა წარმატებულადაა გამოყენებული სასამართლო პრაქტიკაში პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი დავების სამართლებრივი კვალიფიკაციისას.

76. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით აღნიშნული ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აბსოლუტური სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის შედეგად, ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი ან მორალური

ზიანის ანაზღაურებისაკენ (შდრ: №ას-1268-1526-09, 2010 წლის 25 მაისი).

77. დელიქტური სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავების განხილვისას საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა შემდეგი: სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირს ზიანის ანაზღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს მიუძღვის (შდრ: №ას-260-244-2014, 28 მაისი, 2014 წელი).

78. აღნიშნული კატეგორიის დავებში პაციენტს ეკისრება, როგორც ფაქტების სრულყოფილად და დამაჯერებლად წარდგენისა და გაცხადების ვალდებულება, აგრეთვე მტკიცების ტვირთი იმის დასადასტურებლად, რომ ადგილი ჰქონდა სამკურნალო შეცდომას. თუ პაციენტის განმარტებები არ დადასტურდება, მაშინ სამკურნალო შეცდომა პაციენტის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არ დამტკიცდება. ასევე, პაციენტმა უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს, რომ დამდგარი ზიანი ეფუძნება სამედიცინო დანესებულების ვალდებულების დარღვევას.

79. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ თუ ოპერაციას მნიშვნელოვანი გართულებები მოჰყვა და პაციენტის ჯანმრთელობას შემდგომში ძვირად ზიანი მიადგა, ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვი, რომ ბრალი სპეციალისტს მიუძღვის და მას პროფესიული მომზადება აკლდა, თუ ამგვარი შედეგი ნარკოზმა გამოიწვია. როგორც აღნიშნეთ, მოთხოვნის წარმომშობ ფაქტთან დაკავშირებით მითითების ტვირთი პაციენტს/მოსარჩელეს ანევს.

80. დაზრალეზულის მტკიცებასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკიდან საინტერესოა სამოქალაქო საქმე დ. კ-ას სარჩელისა მოპასუხეების, შპს „ს. და ი. დ. ინსტიტუტისა“ და ვ. კ-ს მიმართ, თანხის ანაზღაურების შესახებ, იმ საფუძვლით, რომ 2002 წლის 24 სექტემბერს ერთწლიანი გამოკვლევების შედეგად შპს „ს. და ი. დ. ინსტიტუტში“ მოწვეული ქირურგის პროფესორ ვ.კ-ს მიერ მოსარჩელეს ჩაუტარდა ზემო-წინა შუასაყრის სიმსივნე თიმობის თიმოქტომია სტერნოტომული მიდგომით, წინა შუასაყრის დრენაჟირება. ოპერაციის შემდგომ პერიოდში, 2002 წლის 8 ოქტომბერს მას ამოეთესა ბაქტერია სეუდომონას ერუგინოსა, რომლის საშიშროებასა და თვისებებზე მისთვის ცნობილი არ იყო და არც ექიმებს განუ-

მარტავთ სათანადოდ. სავადმყოფოდან განწერის შემდეგ პაციენტის მდგომარეობა გაუარესდა, რის გამოც, 2002 წლის 29 აპრილს იგი მოათავსეს ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში, სადაც დაუდგინეს მკერდუკანა ჯირკვლის სიმსივნე გართულებული მთავანიით, ოპერაციის შემდგომი გართულება, მკერდის ძვლის ნეკროზის ოსტეომელიტი. ამის შედეგად მას ჩაუტარდა განმეორებითი ოპერაცია, ხოლო მე-3 ოპერაცია – 2003 წლის 29 აპრილს ქ. მოსკოვში. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებში შემავალი ფაქტების დამტკიცების მიზნით მოსარჩელემ მიუთითა, რომ მის ორგანიზმში პირველი ოპერაციის შედეგად, რომელიც უკვე „ს-ში“ ჩატარდა ხარვეზით შეჭრილმა ჰოსპიტალურმა ბაქტერიამ ოპერაციებისა და ტრავმების შედეგად მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გააუარესა, რამაც არსებითად შეუმცირა მას შრომის უნარი (ფაქტებზე მითითების ტვირთის რეალიზება). სასამართლომ იხელმძღვანელა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით რომლის თანახმად, ავადმყოფი დ. კ-ს სწორად დაუდგინდა დიაგნოზი და ჩაუტარდა რადიკალური ოპერაცია-თიმექტომია ირგვლივ მდებარე ქსოვილებთან ერთად. თიმოზა ნებისმიერ შემთხვევაში ინვევს იმუნოდეფიციტს, რაც შეიძლება იყოს ოპერაციის შემდგომი გართულების ერთერთი მიზეზი. დ.კ-ს პლევროპნევმონიის დიაგნოზი დაესვა დროულად, მკურნალობა ამ მიმართულებით ჩატარებული იქნა ადეკვატურად, რამაც ხელი შეუწყო ანთების სწრაფ კუპირებას. ფსევდონომა აეროგინეზა წარმოადგენს არამაფერმინტირებულ გრამ-გრამ უარყოფით ბაქტერიას, რომელიც წარმოქმნის ეგზოტიქსინს და ხასიათდება მაღალი ვირულენტობით. განსაკუთრებით გავრცელებულია სტაციონარულ-სამკურნალო დაწესებულებებში, ვინაიდან აქ ხდება იმუნიტეტ-დაქვეითებული მძიმე ავადმყოფების თავმოყრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულების ხარვეზი, რაზედაც (ფაქტებზე მითითების ტვირთის რეალიზების ფარგლებში) მიუთითებდა მოსარჩელე მხარე (პაციენტი) და რასაც შეეძლო გამოენვია მის ქრილობაში ჰოსპიტალური ბაქტერიის შეჭრა, არ დადასტურდა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება ე.ი. იმ გარემოებების დამტკიცება, რომლებზედაც იგი ამყარებდა თავის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, არ გამოიკვეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის წარმოშობის ის საფუძველი, როგორცაა ვნების მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ამ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რის გამოც მოსარჩელე დ. კ-ს

უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე (შდრ: №ას-874-1146-05, 14 სექტემბერი, 2005 წ.).

81. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულის, პაციენტის მიერ მხოლოდ ფაქტებზე მითითების ტვირთი არ წარმოადგენს სასურველი მატერიალურსამართლებრივი შედეგის მიღწევის წინაპირობას, ასეთივე დოზითაა აუცილებელი მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთის რეალიზება.

82. საქართველოს სკ-ის 1007-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებულ დიაგნოსტიკა, ქირურგიული ოპერაცია და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. პაციენტს ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ: 1. სამედიცინო საქმიანობის მიზანი მიღწეული არ არის (აღამიანის ჯანმრთელობის აღდგენა და სიცოცხლის შენარჩუნება) და 2. მედიცინის მუშაკის ქმედება არ შეესაბამება სამედიცინო მაჩვენებლებს.

83. დავის განხილვისთვის რელევანტურ ნორმათა დოქტრინალური და პრაქტიკული განმარტების, ასევე, საქმის გარემოებების შესწავლის საფუძველზე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლომ მართლად სწორად იხელმძღვანელა გამოსაყენებელ მატერიალურსამართლებრივი ნორმებით [სსკ-ის 992-ე, 1007-ე და 413-ე მუხლები], თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელემ ვერ მოახდინა მისთვის დაკისრებული მტკიცების ტვირთის სრულყოფილად რეალიზება და სსკ-ის 1007-ე და 992-ე ასევე 413-ე მუხლების განმაპირობებელ გარემოებებზე მითითება, რამაც მოცემულ საქმეზე იურიდიულად არასწორი მატერიალურსამართლებრივი შედეგი განაპირობა.

84. სსკ-ის 992-ე და 1007-ე მუხლებთან მიმართებით საკასაციო პალატა მიუთითებს მყარად დადგენილ სასამართლო პრაქტიკაზე, რომელიც შეეხება სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურების წინაპირობებს.

85. მოხმობილ ნორმათა თანახმად, ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის [შდრ: სუსგ №ას-874-1146-05, 14 სექტემბერი, 2005წ.; სუსგ №ას-1163-1092-2012, 25 დეკემბერი, 2013 წელი]. ნორმათა დანაწესები ერთობლიობაში განამტკიცებენ საექიმო შეცდომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესს და ადგენენ ზიანის ანაზღაურების ზო-

გად პირობებს. საყურადღებოა, რომ დელიქტური ვალდებულების ზემოაღნიშნული შემადგენლობის რომელიმე კომპონენტის არარსებობა გამოორიციხავს სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობას.

86. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სამედიცინო შეცდომით გამოწვეული ზიანის შემადგენლობაში ბრალის ხარისხზე. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სავალდებულოა დადასტურდეს ექიმის გაუფრთხილებლობა და არა განზრახვა არასასურველი შედეგის დადგომის მიმართ, ამასთანავე, დამდგარი ზიანი უშუალოდ ამ ქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს და არა მკურნალობის თანმდევ შედეგს, რომლის თავიდან აცილების შესაძლებლობაც სამედიცინო დაწესებულებას ობიექტურად არ შეეძლო [მდრ: სუსგ №ას-593-568-2016, 14 ივლისი, 2017 წელი].

87. იმავდროულად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ტერმინი „მცდარი საექიმო ქმედება“ შემდეგი სახით არის განმარტებული კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით: მცდარი სამედიცინო ქმედება – ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია: ა.ა) პაციენტის უფლებების დარღვევით; ა.ბ) მცდარი სამედიცინო ქმედებით. საგულისხმოა, რომ დასახელებული სპეციალური ნორმები, მოთხოვნის მატერიალურ საფუძველს ქმნიან ზიანის ანაზღაურების საკითხში, თუმცა, იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება საჭიროა არსებობდეს რელევანტური და საკმარისი მტკიცებულება.

88. სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. აღნიშნული მსჯელობა მიუთითებს, რომ სადავოდ მიჩნეული უფლების კანონიერება უნდა დამტკიცდეს; დარღვეული უფლების დაცვა მხარეს კონკრეტული ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლია და ამ ფაქტების მითითება მისივე მოვალეობაა; საქმის

სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომელიც სადავოა, დამტკიცებას საჭიროებს; ფაქტების დამტკიცების ტვირთი ფაქტების მიმთითებელ მხარეებს ეკისრებათ; გამონაკლისს წარმოადგენს მატერიალური სამართლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც ფაქტების დამტკიცების ტვირთი ამა თუ იმ ნორმით განსხვავებულადაა მოწესრიგებული. მხედველობაშია მტკიცების განსხვავებული სტანდარტი, რომელიც მოცემულია მოთხოვნის მატერიალურ სამართლებრივ საფუძველში.

89. ნიშანდობლივია, რომ მტკიცების ტვირთის გადანაწილებას არა მარტო საპროცესოსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, არამედ არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი, არახელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, რაც სარჩელის უარყოფაში ვლინდება.

90. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამედიცინო ხასიათის შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის კვლევისას დაზარალებულის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ასეთი ზიანის მიყენების ფაქტის არსებობა. სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში.

91. განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ ზიანის არსებობის ფაქტის დადგენისას მიუთითა შემდეგზე:

92. – პაციენტი იყო მსჯავრდებული პირი. პაციენტის ზოგადი ხასიათის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იყო დადებითი, მას დასმული ჰქონდა სხვადასხვა დიაგნოზი. უდავო იყო, რომ სარჩელის აღძვრამდე პაციენტს შარდ-კენჭოვანი დაავადების გამოვლინების გამო კლინიკაში პირველ ჯერზე გაუკეთდა მარცხენამხრივი რეტროგრადული კათეტერიზაცია და დაეწყო მკურნალობა, შედეგის მიუღებლობის გამო კვლავ მოხდა მისი კლინიკაში გადაყვანა, სადაც განხორციელდა მარცხენა შარდსაწვეთის სტენტირება.

93. – ა-ოს ნ. ყ-ის სახელობის ც-ი ს-ო კლინიკის 2015 წლის 25 თებერვლის წერილით პაციენტს 2014 წლის 14 ნოემბრის წერილის საპასუხოდ ეცნობა, რომ მას ჩაედგა შარდსაწვეთო სტენტი, ხანგრძლივი (6 თვე), ვინაიდან მუდმივი შარდსაწვეთის

სტენტი არ არსებობს. შარდსანვეთის სტენტმა შეიძლება განიცადოს ინკრუსტაცია, მიგრაცია, რაც შეიძლება შემდგომ გახდეს ობსტრუქციის მიზეზი, რის შემდეგაც იცვლება მკურნალობის ტაქტიკა. შარდსანვეთის სტენტის კონტროლი ხდება ამბულატორიულად ექოსკოპიური და რენდგენოლოგიური კვლევების საშუალებით. იგი იმყოფება უროლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ამბულატორიულად უტარდება კლინიკო-ლაბორატორიული კვლევები, რის საფუძველზეც 2013 წლის 1 ოქტომბერს ამოღებულ იქნა შარდსანვეთი სტენტი.

94. – თავად მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას კლინიკაში ჯეროვანი მკურნალობა არ ჩაუტარდა, კერძოდ, ავადმყოფობის სტენტირების მეთოდით მკურნალობისას, მიუხედავად თხოვნისა, ექიმმა ოფიციალურ დოკუმენტში არ დააფიქსირა სტენტის სხეულში ყოფნის გონივრული ვადა და მაშინ როცა მკურნალი ექიმის ზეპირი განმარტებით ასეთი ვადა 3 თვე იყო, სტენტი ამოიღეს 3 თვეზე მეტი ვადის შემდეგ. ასეთი ქმედებით კი, მოსარჩელის ჯანმრთელობას მიაღდა ზიანი, რადგან სხეულში სტენტის არსებობის პერიოდში მას ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები.

95. – სხდომაზე დაკითხული №... მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებათა ქირურგიული განყოფილების ყოფილი უფროსის განმარტებით პაციენტს ნამდვილად ჰქონდა ძლიერი ტკივილები და იგი ხშირად ითხოვდა დახმარებას, რის გამოც ხდებოდა მისი გადაყვანა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში. მან არ უარყო, რომ პაციენტმა გაუსაძლისი ტკივილების გამო თვითდაზიანებასაც მიმართა.

96. – პაციენტის განცხადებებით, სახალხო დამცველის, სასჯელაღსრულების დაწესებულების და ა-ოს ნ. ყ-ის სახელობის ცი ს-ო კლინიკის წერილებით სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ პაციენტს ნამდვილად ჰქონდა ჩივილები სტენტირების პერიოდში და იგი აქტიურობდა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია სტენტირებით მკურნალობის, მისი ვადის, სტენტის ამოღების ვადის გადაცილების გამო საფრთხეების შესახებ, აქვე აღწერილია, რომ მას აწუხებდა ტკივილები და იგი რამდენჯერმე გადაყვანილ იქნა კლინიკაში გამოკვლევების მიზნით, უტარდებოდა ამბულატორული მკურნალობა.

97. ზემოთდადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების ფაქტის სამტკიცებლად მოსარჩელემ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები და ჩათვალა, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობას ზიანი მოჰასუსხე დაწესებულების ქმედებით მიაღ-

გა, რაც სსკ-ის 413-ე მუხლის წინაპირობების განხორციელებულად მიჩნევისათვის საკმარისი იყო, რასაც სადავოდ ხდის კასატორი და მიიჩნევს, რომ არ დასტურდებოდა არც ზიანის მიყენების ფაქტი, არც მოპასუხე კლინიკის ბრალეულობა და სახეზე არც მორალური ზიანის ანაზღაურების განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა.

98. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება) და ამ თვალსაზრისით, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი [სსსკ-ის 393-ე მუხლი].

99. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

100. უდავო იყო, რომ სარჩელის აღძვრამდე პაციენტს შარდკენჭოვანი დაავადების გამოვლინების გამო კლინიკაში პირველჯერზე გაუკეთდა მარცხენამხრივი რეტროგრადული კათეტერიზაცია და დაენყო მკურნალობა, შედეგის მიუღებლობის გამო კვლავ მოხდა მისი კლინიკაში გადაყვანა, სადაც განხორციელდა მარცხენა შარდსანვეთის სტენტირება.

101. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ზიანის მიყენების ნაწილში სწორედ იმ გარემოებას ეფუძნება, რომ სტენტის ამოღება პაციენტის ორგანიზმიდან დაგვიანებით მოხდა, რის გამოც, პაციენტი იტანჯებოდა გაუსაძლისი ტკივილებისაგან, რაც მოპასუხე კლინიკას წარმოუშობს სსკ-ის 992-ე, 1007-ე და 413-ე მუხლის სამართლებრივი საფუძველებით ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

102. აღნიშნულს საკასაციო პალატა არ იზიარებს და დადგენილად მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებში არ არის დაფიქსირებული სტენტის სხეულში ყოფნის კონკრეტული ვადა, არამედ მითითებულია ის გონივრული ვადა, რომელიც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს და რომ მუდმივი სტენტი არ არსებობს, საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ პაციენტი სტენტი 6 თვემდე ამოუღეს.

103. სახელდობრ, 2013 წლის 07 აგვისტოს №... მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების ქირურგიული განყოფილების უფროსის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობით დადგენილია, რომ 2013 წლის 10 მაისის მდგომარეობით პაციენტი დაბრუნდა №... დაწესებულებაში მდგომარეობით.

რეობის გაუმჯობესების გამო. პაციენტის მდგომარეობა დადებითა ჩატარებული მკურნალობის ფონზე დინამიკაში. 2013 წლის 13 ივნისს პაციენტი კონტროლის მიზნით გაიყვანეს მოპასუხე კლინიკაში, ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე პაციენტის ზოგადი მდგომარეობა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად. შესაბამისი მითითებით. შემოიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში ობიექტური ლაბორატორიული და ჰემოდინამიკური მაჩვენებლები ნორმის ფარგლებში. აქვე მიეთითა, რომ პაციენტს 2013 წლის 30 აპრილს მოპასუხე კლინიკაში გაუკეთდა ოპერაცია მარცხენა შარდსანვეთის სტენტირება, მკურნალი ექიმის მითითებით.

104. საყურადღებოა ა-ოს ნ. ყ-ის სახელობის ც-ი ს-ო კლინიკის 2015 წლის 25 თებერვლის წერილი, რომლითაც პაციენტს 2014 წლის 14 ნოემბრის წერილის საპასუხოდ ეცნობა, რომ მას ჩაედგა შარდსანვეთო სტენტი, ხანგრძლივი (6 თვე), ვინაიდან მუდმივი შარდსანვეთის სტენტი არ არსებობს. შარდსანვეთის სტენტმა შეიძლება განიცადოს ინკრუსტაცია, მიგრაცია, რაც შეიძლება შემდგომ გახდეს ობსტრუქციის მიზეზი, რის შემდეგაც იცვლება მკურნალობის ტაქტიკა. შარდსანვეთის სტენტის კონტროლი ხდება ამბოლატორიულად ექოსკოპიური და რენდგენოლოგიური კვლევების საშუალებით. იგი იმყოფება უროლოგის მეთვალყურეობის ქვეშ ამბოლატორიულად უტარდება კლინიკო-ლაბორატორიული კვლევები, რის საფუძველზეც 2013 წლის 01 ოქტომბერს ამოღებულ იქნა შარდსანვეთი სტენტი.

105. საქმეზე დაიკითხა მოპასუხე კლინიკაში მომუშავე პაციენტის მკურნალი ექიმი, რომელმაც უარყო, რომ პაციენტს სტენტირების ვადა 3 თვე განუსაზღვრა. მან განმარტა, რომ სტენტირების ვადა იყო 6 თვე, რომელსაც ეწოდება ხანგრძლივი ვადა, ხოლო 6 თვის გასვლამდე პაციენტს სტენტი ამოუღეს. მან უარყო, რომ სტენტირებას შეეძლო გამოენვია გაუსაძლისი ტკივილები პაციენტისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტენტი არასწორად იქნებოდა ჩადგმული, ასეთ დროს კი, პაციენტი საერთოდ ვერ მოახერხებდა შარდის გამოყოფას.

106. დადგენილია, რომ პაციენტს შარდსანვეთი სტენტი ამოუღეს 2013 წლის 01 ოქტომბერს. მაშასადამე, სტენტი ამოღებული იქნა სტენტის ვარგისიანობის ვადაში.

107. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მოსარჩელე მხარეს სტენტირების მეთოდით მკურნალობის არაჯეროვნად წარმართული პროცესით მიადგა მორალური ზიანი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მოსარჩელე იძულებული

ბული იყო ეთმინა გაუსაძლისი ტკივილები, დაუსაბუთებელი და დაუდასტურებელია [სსსკ-ის 102-ე, 103-ე, სსკ-ის 992-ე და 1007-ე მუხლები].

108. აღნიშნული კი, გამორიცხავს სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძვლით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის მართლზომიერებასაც რამეთუ, ნორმის დანაწესით სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც, მოცემულ საქმეზე კი დაუდასტურებელია სტენტის ჩადგმით ან ამოღებით ჯანმრთელობისათვის ზიანის, ვნების მიყენების ფაქტი.

109. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს, სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც) მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი. ამ ნორმით დაცული სიკეთე, რომლის ხელყოფის შემთხვევაში დაზარალებულმა შეიძლება, მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება, თუმცა მითითებული ნორმით დადგენილი შედეგის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგადაც დაზარალებული განიცდის სულიერ ტანჯვას, ფსიქიკურ სტრესს, რომლის დამტკიცების ვალდებულებაც ეკისრება დაზარალებულს.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია ავადმყოფობის (ჯანმრთელობის დაზიანების) დამადასტურებელი მტკიცებულება, ამასთან, ასეთი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაშიც, მას უნდა წარმოედგინა, ასევე, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მოსარჩელის ავადმყოფობას შორის ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებაც.

110. როგორც ეს საქმეზეა დადგენილი (იხ., ამ განჩინების პ-19), პაციენტი №... მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში შემოვიდა 2012 წლის 27 დეკემბერს №... დაწესებულებიდან. პაციენტს დადგენილი აქვს დიაგნოზი: მარცხენა ერთადერთი თირკმლის კონკრემეტები, მარჯვენამხრივი ნეფრექტომიის შემდგომი მდგომარეობა, ქრონიკული კალკულოზური პიელონეფრიტი, ქრ შეგუბებითი პროსტატიტი, ოლიგურია, ზომიერად გამოხატული დისტალური ეზოფაგიტი, ეროზიული გასტროდუოდენიტი, ქრ. ქოლეცისტიტი ქრონიკუ-

ლი ცე ვირუსული ჰეპატიტი. ჰემოროიდული დაავადება მე-2 სტ, წელის მალეების ოსტეოქონდროზი, პოლიდისკოპათია, გალიზიანებული ნაწლავის სინდრომი, დეპრესიული მდგომარეობა. ჩამოთვლილი დაავადებებისგან სრული განკურნება პრაქტიკულად შესაძლებელია ხანგრძლივი მკურნალობით, შესაბამისი სპეციალისტების მეთვალყურეობით. რაც შეეხება თირკმელკენჭოვან დაავადებას 2013 წლის 01 თებერვალს და 2013 წლის 05 თებერვალს მოპასუხე კლინიკაში ჩატარდა დისტანციური ლითოტრიფსიის 2 სესანსი უშედეგოდ. პაციენტი კონსულტირებულია უროლოგიის ეროვნულ ცენტრში, სადაც მკურნალობის მეთოდად კვლავ არჩეულ იქნა დისტანციური ლითოტრიფსიის წარმოება – რაც პაციენტისათვის შეთავაზებულ იქნა. ლითოტრიფსიის უეფექტობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაისვას პერკუტანეული ან ლია ნეფროლითოტომიის უეფექტობის საკითხი სპეციალიზებულ უროლოგიურ კლინიკაში. გასათვალისწინებელია ერთი თირკმლის არსებობა და ინვაზიური ოპერაციული ჩარევის საკითხი უნდა გადაწყდეს პაციენტის ინფორმირებული თანხმობით.

111. ამდენად, იმ ვითრებაში, როდესაც პაციენტს აღენიშნებოდა სხვადასხვაგვარი ჩივილები, მხოლოდ პაციენტის ახსნა-განმარტება, რომ ის გაუსაძლისი ტკივილები, რომლითაც იგი იტანჯებოდა გამოწვეული იყო მის სხეულში სტენტის ჩადგმით, საკმარისი არ არის.

112. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ საქმეზე (იხ., №ას-866-816-2015, 12 თებერვალი, 2016 წელი) სწორედ სსკ-ის 413-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის – არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობების განხორციელებულად მიჩნევა დაედო საფუძვლად ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. ამ საქმეზე დადგენილი იქნა, რომ კლინიკამ მოსარჩელეს ორთოპედიული მკურნალობა არასწორად ჩაუტარა, რის შედეგადაც პროთეზირების შემდგომ მოსარჩელის ჯანმრთელობა საგრძნობად გაუარესდა; მას დაუზიანდა ჯანმრთელი კბილები, რამაც დამატებითი მკურნალობის აუცილებლობა წარმოშვა. პალატამ პაციენტის სამედიცინო შემოწმების დასკვნის საფუძველზე დაადგინა, რომ მკურნალობის პროცესში ხარვეზები დაშვებულ იქნა, არა მარტო შეუსაბამო სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებების ჩატარების დროს, არამედ სტომატოლოგიურ ლაბორატორიაში ფაიფურის გამოწვის პროცესშიც.

113. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხოლოდ შესაბამი-

სი წინაპირობების დადგენილად მიჩნევის შემთხვევაშია სარჩელი წარმატებული. განსახილველ შემთხვევაში, კი მოსარჩელემ ვერ დაადასტურა რომ მისი გაუსაძლისი ტკივილები, როგორც ამას თავად აღნიშნავს გამოწვეული იყო მოპასუხე კლინიკაში ჩატარებული მკურნალობით – სტენტიის ჩადგმის ხანგრძლივობით.

114. ამდენად, უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან დაუდასტურებელია არაკომპეტენტურად და არაკვალიფიციურად ჩატარებული მკურნალობის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გამოორიცხავს მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ჰ-ის“ დაეკისრა რ. ა-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 3000 ლარის ანაზღაურება;
3. რ. ა-ის სარჩელი შპს „ჰ-ის“ მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სამედიცინო დანესახულების მიერ მიყენებული
ზიანის ანაზღაურება**

**ბანჩინება
საქართველოს სახელით**

№ას-1102-1038-2015

22 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილის

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. კ-ი (შემდეგში: მოსარჩელე ან პაციენტი), 2012 წლის 08 ნოემბერს, 03:55 საათზე, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროებით, მოათავსეს შპს „მ-აში“ (შემდეგში: კლინიკა, სამედიცინო დანესახულება, მოპასუხე ან კასატორი).

2. პაციენტს ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევები და ქირურგის გასინჯვით, 04:30 სთ-ზე დაუდგინდა დიაგნოზი: მწვავე კალკულოზური ქოლეცისტიტი, მწვავე პანკრეატიტი, ქრონიკული C ჰეპატიტი. დაენიშნა წინასაოპერაციო მომზადება, ხოლო კლინიკაში შეყვანიდან დაახლოებით ერთ საათში (05:00-08:00 სთ პერიოდში), ჩატარდა ოპერაცია.

3. ავადმყოფი 08.11.2012წ., 12:00 საათზე გადაიყვანეს პალატაში, მისი ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა და დაენიშნა პოსტოპერაციული კონსერვატიული თერაპია. რამდენიმე საათში პაციენტის მდგომარეობა დამძიმდა, რის გამოც ეჭვი მიიტანეს ნაოპერაციებიდან ინტრააბდომინალურ ნალველდენაზე.

4. ავადმყოფს, გადაუდებელი წესით, დაენიშნა სასწრაფო ოპერაცია, ნალველდენის კერის დადგენის, მისი ლიკვიდაციის და სხვათა მიზნით. 09.11.2012წ. 19:50-22:40 საათებში, ჩატარებული მეორე ოპერაციის შემდეგ დადგინდა დიაგნოზი: „ლაპარასკოპიული ქოლეცისტიქტომიის შემდგომი პერიოდი, მწვავე კალკულოზური ქოლეცისტიტი, მწვავე პანკრეატიტი, ქრონიკული C ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი, დიფუზური ნალველოვანი

პერიტონიტი, ჰეპატოსპლენომეგალია“.

5. ოპერაციის მეორე დღეს – 10.11.2012წ. პაციენტს უტარდებოდა სხვადასხვა სახის კვლევა, მას მარცხენამხრივი პნევმონია დაუდგინდა. იმავე დღეს 14:30-15:00 სთ ჩაუტარდა კვლევა, რა დროსაც ექიმმა-რადიოლოგმა ეჭვი მიიტანა ლვიძღარეთა რომელიმე სადინარის დაზიანებაზე, რომლის ლოკალიზაცია ვერ ხერხდებოდა. 11.11.2012წ. კლინიკამ მიიღო გადაწყვეტილება სასწრაფო ქირურგიული ჩარევის საჭიროებაზე, კერძოდ, გეგმიური სანაციური რელაპარატომიის ჩატარებაზე.

6. 11.11.2012წ. 12:50-15:40სთ (№354 ოპერაციის ოქმის მიხედვით) გაკეთდა ოპერაცია და დადგინდა ოპერაციის შემდგომი დიაგნოზი: მწვავე კალკულოზური კოლექციისტიტი, მწვავე პანკრეატიტი, ცეროზულ-ნალვლოვანი დიფუზური პერიტონიტი, ქრონიკული C ჰეპატიტი, ლვიძლის ციროზი.

7. 12.11.2012წ. ქირურგის კონსულტაციის შედეგის მიხედვით, პაციენტის ზოგადი მდგომარეობა შეფასდა მძიმედ, იგი იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე და სხვ. იმავე დღეს, 10:30 სთ-ზე, რეანიმატოლოგის ჩანაწერის მიხედვით, პაციენტის ზოგადი მდგომარეობა რჩებოდა მძიმედ. 14.11.2012წ. პაციენტს გაუკეთდა გულმკერდის და მუცლის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია, იმავე დღეს, 13:45სთ-ზე, რეანიმატოლოგის ჩანაწერის მიხედვით, ახლოზღების კატეგორიული მოთხოვნით, ავადმყოფი, შემდგომი მკურნალობის მიზნით, გადაიყვანეს თურქეთის საავადმყოფოში. პაციენტის განერისას, სრული დიაგნოზი შემდეგნაირად დაფიქსირდა: ძირითადი დაავადებები – ლაპარასკოპიული ქოლეცისტექტომიის, ლაპარატომიის და რე-რელაპარატომიის შემდგომი მდგომარეობა, მარჯვენამხრივი ქოლანგიოსტომია, მწვავე კალკულოზური ქოლეცისტიტი, მწვავე პანკრეატიტი; ძირითადი დაავადების გართულება: ლვიძლის ქრონიკული უკმარისობა, დიფუზური ცეროზულ-ნალვლოვანი პერიტონიტი, ორმხრივი პნევმონია, გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის, ლვიძლის და თირკმლების უკმარისობა; თანმხლები დაავადებები: ქრონიკული C ჰეპატიტი. ლვიძლის ციროზი, ჰეპატოსპლენომეგალია.

8. შპს „პ-ოში“ ჩატარებული მორფოლოგიური კვლევის შედეგად, პაციენტს დაუდგინდა არა მწვავე (იხ. ამ განჩინების 2, 4, 6 პუნქტები), არამედ ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი.

9. თურქეთში გამგზავრების შემდეგ, 15.11.2012წ-დან, ა-ის კლინიკაში პაციენტს გაუგრძელდა თერაპიული მკურნალობა; 2 კვირაში ავადმყოფი გადაიყვანეს ჩვეულებრივ განყოფილე-

ბაში. იმის გამო, რომ ნაღველდენა გრძელდებოდა ერთ თვეზე მეტხანს, 12.12.2012წ. პაციენტს ჩაუტარდა ქოლედოქის ენდოსკოპიური სტენტირება, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და იგი განერეს ამბულატორიული მეთვალყურეობით.

10. თურქეთის სამკურნალო დანესებულებიდან გამოწერის შემდეგ, სამ კვირაში, პაციენტი ისევ მოათავსეს კლინიკაში მარჯვენამხრივი პლევრიტის დიაგნოზით, რომლის ლიკვიდაცია მოხდა, მას დაენიშნა შესაბამისი ანტიბიოტიკოთერაპია და განერეს ამბულატორიული მეთვალყურეობით.

11. თურქეთის სამკურნალო დანესებულებიდან წარმოდგენილი სამედიცინო დასკვნის მიხედვით, პაციენტი მათთან მოხვდა ნაღვლის სადინარის დაზიანების დიაგნოზით, რაც გამონვეული იყო პოსტ-ქოლედოქისტექტომიური პერიტონული ნაღვლის სეფსისითა და პნევმონიით, ქრონიკული „ც“ ჰეპატიტით.

12. პაციენტის სამედიცინო გამოკვლევისა და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 50 000 ევრო. აღნიშნული თანხა, დავის განხილვის დროისათვის, დაფარულია. ასევე, წარმოდგენილია ინვოისი თურქეთის კლინიკიდან „ა-იდან“ – 60 000 ევროს მკურნალობისა და მომსახურების ღირებულების გადახდის მოთხოვნით.

13. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქ-მ“, პაციენტის თურქეთში გადაყვანისთვის, გადაიხადა 18 500 ევრო.

14. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების სამინისტრომ (შემდეგში ჯანმრთელობის სამინისტრო) პაციენტის მკურნალობისთვის გადარიცხა 10 000 აშშ დოლარი, პაციენტის ვაჟმა – 8755 ევრო, ხოლო თბილისის მერიამ – 30 000 ევრო.

15. პაციენტმა 2013 წლის 10 დეკემბერს სარჩელი აღძრა კლინიკის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისთვის, მატერი-ალური ზიანის – 107 255 ევროსა და 10 000 აშშ დოლარის, ხოლო მორალური ზიანის სახით – 1 000 000 აშშ დოლარის, ასევე, 2012 წლის 8 ნოემბრიდან, ყოველთვიურად, სარჩოს სახით 5000 აშშ დოლარის დაკისრება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 992-ე, 408-ე, 409-ე, 411-ე, 412-ე, 413-ე, 944-ე მუხლები).

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ პაციენტს სწორი მკურნალობა ჩაუტარდა, რის გამოც უარყოფილი იქნა მისი სარჩელი. გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 1007-ე,

992-ე, 413-ე და 411-ე მუხლებზე.

17. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-14 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ემყარებოდა მხარეთა ახსნა-განმარტებების, დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის შპს „ვი-ის“ (შემდეგში დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრი) № 01-02/17 დასკვნას, ასევე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდეგში ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) № 001811514 დასკვნას. სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს (შემდეგში სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო) ინფორმაციის საფუძველზე, საქალაქო სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შედეგად ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია, დადგინდეს საექიმო შეცდომა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში ჯანმრთელობის დაცვის კანონი) მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა.

18. საქალაქო სასამართლომ „პაციენტთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში პაციენტთა უფლებების კანონი) მე-10 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ პაციენტს ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ: 1. არ არის მიღწეული სამედიცინო საქმიანობის მიზანი (აღამიანის ჯანმრთელობის აღდგენა და სიცოცხლის შენარჩუნება) და 2. მედიცინის მუშაკის ქმედება არ შეესაბამება სამედიცინო მაჩვენებლებს. შესაბამისად, პაციენტისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევებში, საკმარისია, დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას. გულისხმიერებასა და ყურადღებიანობაში იგულისხმება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმიწევნით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულება. ამასთან, მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ის გარემო-

ება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო პერსონალის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს. უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უალტერნატივოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ თუ მკურნალობა სწორადაა ჩატარებული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას.

19. სასამართლომ მიუთითა, რომ სამედიცინო დელიქტის (სამედიცინო მომსახურებისას მიყენებული ზიანი) შემთხვევაში, აუცილებელია გამოირკვეს ის გარემოებები, რომლებიც საჭიროებს პროფესიულ სამედიცინო შეფასებას, რადგან ამგვარი შეფასება ვერ მოხდება მხოლოდ სამართლებრივი ინტერპრეტაციის გზით. სამედიცინო დელიქტის განხილვისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზიანის წარმომშობი მიზეზების შესწავლას, რადგან ჯანმრთელობის დაზიანება შეიძლება მოჰყვეს არა მხოლოდ მცდარ სამედიცინო მოქმედებას, არამედ ავადმყოფობის პათოლოგიის სპეციფიკურობას, ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და ზოგ შემთხვევაში, თვით პაციენტის მიერ ისეთი ვალდებულებების დარღვევას, როგორიცაა სამკურნალო დანიშნულების შესრულების ან სხვა პირობების დარღვევა. ამ საკითხების გამოსარკვევად, მნიშვნელოვანია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. სამედიცინო მომსახურებისას წარმოშობილ ზიანსა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა, დიდწილად დამოკიდებულია სპეციალური ცოდნით აღჭურვილი კვალიფიკაციის მქონე პირთა დასკვნაზე. პრობლემის ამგვარი სპეციფიკის გათვალისწინებით, დაუშვებელია ფართო და „ხელგაშლილი“ იურიდიული ინტერპრეტაცია. საკითხის განხილვა უნდა მოხდეს დიფერენცირებული, სრულიად კონკრეტული, სათანადოდ დადასტურებული ფაქტების შეფასების შედეგად. ამასთან, სამედიცინო დოკუმენტაციის არარსებობა ან არასწორად და არასრულად წარმოება გავლენას ვერ მოახდენს ბრალეულობის საკითხის დადგენაში, ვინაიდან იგი, მართალია, უალტერნატივოდ იწვევს მედიცინის მუშაკის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, თუმცა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ანუ ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია მცდარი სამედიცინო მოქმედების ფაქტის დადგენა.

20. პაციენტმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და

სარჩელის დაკმაყოფილება.

21. პაციენტის სააპელაციო პრეტენზიები შემდეგ გარემოებებს შეეხებო:

21.1. სასამართლომ არ გამოიკვლია სათანადოდ მტკიცებულებები, პაციენტი დაობდა არასწორად დასმულ დიაგნოზზე, საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის, ექსპერტიზის დასკვნით დასტურდებოდა, რომ ქირურგის პირველად მიღებული გადაწყვეტილება გაუმართლებელი და ნაჩქარევი იყო.

21.2. სასამართლომ ვერ შეძლო იმის დასაბუთება, რომ თუკი სამედიცინო მუშაკების მხრიდან შეცდომას ადგილი არ ჰქონია, მაშინ რატომ დადგა ესოდენ მიძიმე შედეგი. არ არსებობდა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოსარჩელე მანამდე იყო დაავადებული, სანამ კლინიკაში მოხვდებოდა და, ასეც რომ ყოფილიყო, სამედიცინო დაწესებულებას, სწორი სამედიცინო კვლევით, უნდა მიეღწია პაციენტის მდგომარეობის გამოსწორებისათვის. პაციენტი არ დაეთანხმა სასამართლოს დასკვნას, რომ ექიმის პასუხისმგებლობას არ იწვევს მკურნალობის შედეგად დამდგარი უარყოფითი შედეგი.

21.3. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით უდავოდ დასტურდებოდა, რომ არ არსებობდა მნიშვნელოვანი სამედიცინო ჩანაწერები, თუმცა, სასამართლო ამ გარემოებას, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, არათუ მოსარჩელის სასარგებლოდ არ იყენებდა, არამედ საერთოდ არ აფასებდა და მოპასუხის სასარგებლოდ გამოჰქონდა არასწორი დასკვნები. სამედიცინო დოკუმენტაციით დასტურდებოდა, რომ ქირურგის მიერ თავდაპირველად დასმული დიაგნოზი და მიმართულება სასწრაფო ოპერაციულ ჩარევაზე ენინაღმდეგებოდა შემდგომში დადგენილ გარემოებებს.

22. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით პაციენტის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, კლინიკას დაეკისრა მატერიალური ზიანი – 68 755 ევრო, ასევე, მორალური ზიანი – 20 000 ლარი; პაციენტის სასარჩელო მოთხოვნა – ყოველთვიური სარჩოსა და, დანარჩენ ნაწილში, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე არ დაკმაყოფილდა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-15 პუნქტი).

23. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნები, კლინიკისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლების არარსებობის თაობაზე და აღნიშნა, რომ კონკრეტული დავის გადაწყვეტისთვის, უპირველესად,

მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების პრინციპი უნდა განსაზღვრულიყო, ხოლო ამ მიზნით, მნიშვნელოვანი იყო მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი საფუძვლის, სსკ-ის 1007-ე მუხლის განმარტება. დასახელებული ნორმის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.), პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიყენებული თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი, ამასთან, სსკ-ის 1007-ე მუხლის მიხედვით, მტკიცების ტვირთი აკისრია სამედიცინო დაწესებულებას, ანუ მან უნდა ამტკიცოს, რომ ზიანი მისი ქმედების შედეგად არ დამდგარა.

24. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-14 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და დაასკვნა, რომ განუელ სამედიცინო დახმარებას შედეგად არ მოჰყვა პაციენტის სრული გამოჯანმრთელება. მისი მდგომარეობა პოსტოპერაციულად გართულდა, კვლავ რამდენჯერმე დასჭირდა ოპერაციული ჩარევა და ხანგრძლივი მკურნალობა. სასამართლოს კვლევის საგანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ პაციენტის ჯანმრთელობის აღნიშნული გართულებები რამდენად გამოიწვია არასწორმა დიაგნოსტიკამ, არასწორად ჩატარებულმა ოპერაციამ და შემდგომმა მკურნალობამ. მოპასუხის შესაგებლის მიხედვით, მოსარჩელის მდგომარეობის გართულება, კლინიკაში მოთავსებამდე მისი დაავადების (ქრონიკული „ც“ ჰეპატიტი, ლვიძლის ციროზი) დასაშვებ და მოსალოდნელ გართულებას წარმოადგენდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოების დადასტურება მოპასუხის პროცესუალური ვალდებულება იყო, რაც ვერ შეძლო კლინიკამ და, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, არ დადასტურდა, რომ პაციენტისათვის დამდგარ ზიანში სამედიცინო დაწესებულებას ბრალი არ მიუძღოდა.

25. სასამართლომ, საქმეში განთავსებული წერილობითი მტკიცებულებების საფუძველზე, მიიჩნია, რომ კლინიკაში მოთავსებისას პაციენტისთვის დასმული დიაგნოზი – მწვავე კალკულოზური ქოლეცისტიტი აღმოჩნდა არასწორი. შემდგომში მიღებული მორფოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პაციენტის დიაგნოზს წარმოადგენდა ქრონიკული კალკულო-

ზური ქოლეცისტიტი.

26. სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა განმარტებების, საქმეში წარმოდგენილი სპეციალისტების დასკვნების გაანალიზების შედეგად, პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით (მწვავე პანკრეატიტი, ღვიძლის ციროზი, ქრონიკული „ც“ ჰეპატიტი) იმის ზუსტი განსაზღვრა, პაციენტს აღენიშნებოდა მწვავე თუ ქრონიკული ქოლეცისტიტი, მნიშვნელოვანი იყო, რადგან მოსალოდნელი პოსტოპერაციული გართულებების ალბათობა ამ შემთხვევაში სხვადასხვაგვარი იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ როდესაც კლინიკაში არსებობს მაღალტექნოლოგიური კვლევის შესაძლებლობა და კონკრეტული პაციენტის ზუსტი დიაგნოსტიკა (კონკრეტულ შემთხვევაში ქრონიკული ფორმის გამორიცხვა), რაც არსებითად ცვლის მკურნალობის გეგმას, აღნიშნული, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს მოსალოდნელი გართულების ალბათობას, შესაბამისად, სამედიცინო პერსონალი ვალდებულია, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა მაქსიმალურად იქნეს დაზღვეული რისკები.

27. პაციენტის უფლებების კანონის მე-5 მუხლზე და „პაციენტის უფლებათა ევროპულ ქარტიაზე“ მითითებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურების ყველა გამწვევისაგან, მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგული პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. პაციენტის ამ უფლების რეალიზება სამედიცინო მომსახურების გამწვევის ვალდებულებას წარმოადგენს. ყველას აქვს უფლება ხელი მიუწვდებოდეს ნოვაციურ პროცედურებზე, მათ შორის სადიაგნოზო მეთოდებზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული რეგულაცია მოითხოვს, ერთი მხრივ, თანამედროვე მაღალი ხარისხის ტექნოლოგიების დანერგვას, ხოლო მეორე მხრივ, თავად ექიმთა მიერ მათ სრულყოფილ გამოყენებას, როგორც პაციენტის დიაგნოსტიკების, ასევე შემდგომი მკურნალობის მიზნით.

28. სასამართლოს მსჯელობით, მოპასუხის პოზიციის სანაალმდეგოდ მეტყველებდა ის, რომ:

28.1 ოპერაცია გაგრძელდა 3 საათს, რაც არ წარმოადგენდა ჩვეულებრივ მოვლენას და სპეციალისტებმა ეჭვი მიიტანეს გარკვეულ სირთულეებზე; რა სახის სირთულეებს ჰქონდა ადგილი და ექიმის ბრალეულობის არარსებობა ვერ დადასტურდა.

28.2. ოპერაციის შემდგომი მუცლის ღრუს ექოსკოპიით მუცელში აღინიშნა ნალველდენა და დადგინდა სასწრაფო ოპერა-

ცია მისი კერის დასადგენად, შემდეგ ლიკვიდაციისა და სხვათა მიზნით, 10.11.2012წ. რადიოლოგიური კვლევისას, გაჩნდა ეჭვი ღვიძლგარეთა რომელიმე სანალვლე სადინარის დაზიანებაზე.

28.3. დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის დასკვნით, ნალვლის მასიურ დენადობას ადგილი ჰქონდა როგორც ნალვლის ბუშტის სარეცელიდან, ასევე სანალვლე გზებში არსებული პოსტოპერაციული დეფექტიდან, რის გამოც განვითარდა ნალვლოვანი პერიტონიტი.

28.4. თურქეთის კლინიკიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მათთან ავადმყოფი შევიდა ნალვლის სადინარის დაზიანებით გამოწვეული პოსტ-ქოლექციისტექტომიური პერიტონული ნალვლის სეფსისია და პნევმონიის, ქრონიკული „ც“ ჰეპატიტის დიაგნოზით;

28.5. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ოპერაციის ტექნიკურად სწორად ჩატარების თაობაზე დასმულ კითხვას არ პასუხობდა.

29. ზემოხსენებული გარემოებების დადგენის პირობებში, სასამართლომ დაუდასტურებლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ოპერაციისას ადგილი არ ჰქონია მცდარ სამედიცინო ქმედებას.

30. სასამართლომ ჯანმრთელობის შესახებ კანონის მე-10 მუხლზე მიუთითა: „მცდარი სამედიცინო ქმედება – ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა“ და აღნიშნა, რომ სამედიცინო საქმიანობა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას, მის აღდგენას და გაუმჯობესებას ემსახურება. მედიცინის განვითარების არსებული ეტაპი ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურად ყველა პაციენტის გამოჯანმრთელებას, რიგ შემთხვევებში, მკურნალობა გარკვეულ გართულებებს იწვევს და არ ხდება პაციენტის ჯანმრთელობის სრულად აღდგენა და შენარჩუნება. ასეთ დროს, იმის გასარკვევად, ადგილი ჰქონდა ექიმის ბრალეულ ქმედებას, თუ ექიმის შესაძლებლობების მიუხედავად, ასეთი შედეგი მაინც დადგებოდა, სწორედ სამედიცინო პერსონალია ვალდებული, გამორიცხოს თავისი ბრალი პაციენტის ჯანმრთელობის გაუარესებასა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის არასრულ გაუმჯობესებაში. ამ საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხის გადწყვეტისთვის. ამასთან, ბრალეულობაზე საუბრისას იგულისხმება გაუფრთხილებელი ბრალი, და არა განზრახ ქმედება, რაც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს. არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ სამედიცინო პერსონალი მოქ-

მედებს კეთილსინდისიერად, მაქსიმალური გულისხმიერებით და მის განზრახვას და მიზანს წარმოადგენს პაციენტის გამოჯანმრთელება. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობით არ შემოიფარგლება ამ პრეზუმფციის დარღვევა იმ თვალსაზრისით, რომ თუ დადასტურდა, რომ ექიმის განზრახვა სხვა იყო და გაბათილდა ზემოაღნიშნული პრეზუმფცია, რასაც არ აქვს ადგილი კონკრეტულ შემთხვევაში. სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი დგება სამედიცინო პერსონალის გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად, რაც უნდა განიმარტოს ისეთ ქცევად, როდესაც მან ვერ გამოიჩინა შესაბამისი გულისხმიერება, წინდახედულობა და არ გამოიყენა თავისი ცოდნა და კვალიფიკაცია, მის ხელთ არსებული საშუალებები მოსალოდნელი და დასაშვები რისკების თავიდან აცილების პრევენციისთვის. ქმედების ბრალეულობის დადასტურებისას, მოპასუხის მტკიცების ტვირთია მის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არარსებობის დადგენა.

31. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეზე, დიაგნოზის უსწორობის დადასტურების პირობებში, მხოლოდ ის დასკვნა, რომ ჩატარებული გამოკვლევები და კლინიკური მონაცემები დასმული დიაგნოზის ადეკვატური იყო, ვერ გამორიცხავდა მოპასუხის ბრალის არსებობას. საქმეში არსებობდა განსხვავებული საექსპერტო მოსაზრებაც, რომელიც ადასტურებს, რომ დამატებითი კვლევის ჩატარების შედეგად, შესაძლებელი იყო დიაგნოზის დაზუსტება, რაც ექიმთა განსხვავებულ ქცევას – გადავადებულ ოპერაციას გამოიწვევდა, რითაც საგრძნობლად შემცირდებოდა გართულებების ალბათობა. მით უფრო, როდესაც, თავად შესაგებელია იმგვარი, რომ პაციენტის დაავადების ქრონიკულმა მდგომარეობამ გაზარდა გართულებების საფრთხე. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებისა და დასმული დიაგნოზის დაუდასტურებლობის პირობებში, იმ ვითარებაში, როდესაც ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, პაციენტის მდგომარეობა გართულდა და მას დაუქვეითდა შრომის უნარი, მოპასუხემ ვერ დაამტკიცა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არარსებობა არასწორ დიაგნოსტიკას, მოსარჩელის ოპერაციისდროინდელ და ოპერაციის შემდგომ გართულებებსა და მისი ჯანმრთელობის გაუარესებას შორის.

32. სასამართლომ აღნიშნა, რომ დელიქტის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი თავისთავად ანიჭებს უფლებას იმ პირს, ვინც დაზარალდა – მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის. ჯანმრთელობის დაზიან-

ნების ფაქტი უკვე გულისხმობს, რომ დაზარალებულმა განიცადა ტკივილი და სულიერი ტანჯვა, როგორც თვით დაზიანების მიღებისას, ასევე მკურნალობის პროცესში (განსაკუთრებით თუ მკურნალობა ხანგრძლივ დროს მოითხოვს). ეს სულიერი ტანჯვა გრძელდება მაშინაც, თუ მკურნალობის მიუხედავად, დაზარალებული პირი ვერ გამოჯანმრთელდა სრულად და აღენიშნება გადატანილი დაზიანების ნარჩენი მოვლენები.

33. მორალური ზიანის დაკისრების საკითხის გადანყვეტი-სას სასამართლომ იმსჯელა, რომ პაციენტს შეზღუდული ჰქონდა შრომის უნარი, დასჭირდა გარკვეული მკურნალობა, პირველი ოპერაციიდან, დაახლოებით 36 საათში, მეორე ჩაუტარდა, ხოლო 11 ნოემბერს კი, მესამედ დასჭირდა ქირურგიული ჩარევა. სასამართლომ იმაზეც იმსჯელა, რომ პოსტოპერაციული მკურნალობის არჩეულ გეგმას, თავის მხრივ, პაციენტის მდგომარეობის დამძიმება და გართულებები დამოუკიდებლად არ გამოუწვევია, მაგრამ მტკიცებას არ საჭიროებდა ის გარემოება, რომ დამატებითი ოპერაციული ჩარევა ინვესს ადამიანის ფსიქო-ემოციურ განცდას, სულიერ ტანჯვას. ამდენად, მორალური ზიანის განსაზღვრისას, სასამართლომ გასათვალისწინებელ ერთ-ერთ გარემოებად ის ფაქტიც მიიჩნია, რომ პრაქტიკულად ჩატარდა ერთი ზედმეტი ქირურგიული ჩარევა, რომელიც შესაძლოა თავიდან ყოფილიყო აცილებული. ასევე, მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, გასათვალისწინებელი იყო პაციენტის პერმანენტული სტაციონარული თუ ამბულატორული მკურნალობის საჭიროება და მისი შრომის უნარის დაქვეითება.

34. მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვისას, მოსარჩელის სულიერ და ფიზიკური მდგომარეობასთან ერთად, სასამართლომ შეაფასა მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობაც, რადგან მორალური ზიანი არ შეიძლება იქცეს მოპასუხის ერთგვარ „სასჯელად“, რომელიც შეწყვეტს მის საქმიანობას და ფუნქციონირებას. სასამართლომ იმ გარემოებაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ მოსარჩელის არ წარუდგენია მტკიცებულება მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. სასამართლომ ამ საკითხზე მსჯელობისას იხელმძღვანელა იმ უდავო ფაქტით, რომ კლინიკა საკმაოდ მაღალი ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და მუდმივი დატვირთვით ემსახურება პაციენტებს. აქედან გამომდინარე, პაციენტის მდგომარეობის, ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით, სამართლიანად და გონივრულად მიიჩნია, მორალური ზიანისათვის 20 000 ლარი დაეკისრებინა მოპასუხისთვის.

35. მოსარჩელის სასარგებლოდ გაღებული ხარჯების მოთ-

ხოვნის უფლება (იხ. ამ განჩინების 12-14 პუნქტები), ნაწილობრივ დასაბუთებულად მიიჩნია სასამართლომ და ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოთხოვნა. სასამართლომ სსკ-ის 371-ე და 986-ე მუხლებზე მითითებით, აღნიშნა, რომ პაციენტის მკურნალობის ხარჯების მესამე პირთა მიერ გადახდა დასაშვები იყო მოქმედი კანონმდებლობით, თუმცა, ისიც აღსანიშნავი იყო, რომ მსგავს შემთხვევებში, პაციენტს არ შესწევს უნარი, ანაზღაუროს ხარჯები, რაზეც, როგორც წესი, მისი ახლობლები და ოჯახის წევრები ზრუნავენ. შესაბამისად, ივარაუდებოდა, რომ მოსარჩელის მიმართ მოთხოვნის უფლება ჰქონდათ იმ პირებს, ვინც მისი ვალდებულება შეასრულა. ამ უფლების რეალიზება თავად ამ პირთა ნებაზეა დამოკიდებული, თუმცა, თავის მხრივ, მოვალესაც გააჩნია კეთილსინდისიერი ქცევის ვალდებულება სხვათა მიერ გაღებული ხარჯების დაფარვის თაობაზე. მოსარჩელის კრედიტორთა მხრიდან მოთხოვნის არარსებობის პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ პრეზუმირდება, პაციენტის შვილისადმი დავალიანების ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის ნების არსებობა, შესაბამისად, ამ უკანასკნელის მოთხოვნა 8 577 ევროს ნაწილში, რაც გადაიხადა მოსარჩელის ვაჟმა, საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამ მსჯელობისაგან განსხვავებით, სასამართლომ დაუსაბუთებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის მერია და საქველმოქმედო ფონდი ითხოვენ ან მოითხოვენ მათ მიერ გადახდილი თანხების ანაზღაურებას პაციენტისაგან, რის გამოც, შესაძლოა მოსარჩელეს გააჩნდეს ამ თანხების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოპასუხისაგან (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება).

36. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 50 000 ევრო დავის სასამართლოში განხილვის დროისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდილი იყო, ხოლო თურქეთის კლინიკისადმი პაციენტის დავალიანება შეადგენდა 60 000 ევროს. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა 60 000 ევროს ნაწილში, ვინაიდან წარმოდგენილი ინვოისით დასტურდებოდა, რომ აღნიშნული წარმოდგენდა მკურნალობისა და საავადმყოფოში დარჩენის საფასურს, რომლის გადახდასაც თურქეთის კლინიკა მოსარჩელისაგან ითხოვდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ 50 000 ევროს მოთხოვნის ნაწილში დაუსაბუთებელი იყო მოთხოვნა; მოსარჩელის განმარტებით, მისი ახლობლების მიერ იყო გადახდილი ეს თანხა, თუმცა, არ დასტურდებოდა, რომ აღნიშნული თანხა გადაიხადა პირმა, ვის წინაშეც მოსარჩელეს ვალდებულება წარმოემოზოდა.

37. სასამართლომ ასევე დაუსაბუთებულად და უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა ყოველთვიური სარჩოს სახით 5000 აშშ დოლარის მოპასუხისთვის დაკისრების ნაწილშიც.

38. კლინიკამ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის უარყოფა შემდეგში არგუმენტებით:

38.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, დაუსაბუთებელია სამართლებრივად, არაა შეფასებული მოსარჩელის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის გამომწვევი მიზეზები, შესაბამისად, დაუდგენელია ბრალის დადგენის და მისთვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები.

38.2. სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არ შეაფასა ის გარემოება, რომ მოსარჩელისთვის ჩატარებული პირველი ოპერაციის მომდევნო პერიოდში განვითარებული პოსტოპერაციული გართულება აღმოიფხვრა მოპასუხის მიერ განხორციელებული სამედიცინო ქმედებების შედეგად, ხოლო თურქეთში, სადაც მოსარჩელე, მისივე ოჯახის წევრების დაჟინებული მოთხოვნით, გადაიყვანეს, მხოლოდ დასრულდა მოპასუხის მიერ დაწყებული ინტენსიური თერაპიის კურსი (მართალია, პოსტოპერაციული გართულება არ იყო გამომწვეული მოპასუხის ბრალით და მისი მხრიდან არ ჰქონია ადგილი მცდარ სამედიცინო ქმედებას, მაგრამ ასეთი ბრალის არსებობა-არარსებობის მიუხედავად, ზემოხსენებული გარემოების სამართლებრივი შეფასება მნიშვნელოვანია ზოგადად მოცემული დავის სამართლებრივი შეფასების, მტკიცების ტვირთის განსაზღვრის და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის გარემოებების გათვალისწინებითაც, საფუძვლიანობის შემოწმების თვალსაზრისით).

38.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მასში მოცემული სამართლის ნორმების განმარტება არ შესაბამეა საკასაციო სასამართლოს მიერ სამედიცინო დავებზე მიღებული გადაწყვეტილებებით დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას (სუსგები 27/06/2011 წლის №ას-260-244-2011, 25/05/2010 წლის №ას-1268-1526-09) გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების წინაპირობას ქმნის.

38.4. სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, როდესაც მოსარჩელე მთლიანად გაათავისუფლა მტკიცების ვალდებულებისაგან. გასაჩივრებული გადაწყვეტილების

მსჯელობას არ ეთანხმება კასატორი და უთითებს, რომ სასამართლომ, სსკ-ის 1007-ე მუხლის დანაწესზე დაყრდნობით, ზიანის დადგომაში (პოსტოპერაციული გართულება) მოპასუხის ბრალეულად მიჩნევას საფუძვლად დაუდო, ძირითადად, მის მიერ დადგენილად მიჩნეული ორი გარემოება: 1. პაციენტის პოსტიტალიზაციისას მოხდა დაავადების არასწორი დიაგნოსტიკა და, შესაბამისად, არ არსებობდა გადაუდებელი ქირურგიული ჩარევის (ოპერაციის) აუცილებლობა; სწორი დიაგნოსტიკების შემთხვევაში, შესაძლოა ჩატარებულიყო არა გადაუდებელი, არამედ დაგეგმილი ოპერაცია (რაც შეამცირებდა პოსტოპერაციული გართულების რისკს) და 2. პირველი ოპერაციისას (რომელსაც მოჰყვა პოსტოპერაციული გართულება) ამსახველი სამედიცინო დოკუმენტაციის ხარვეზების გამო, ასევე სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, დადგენილი გარემოებების პირობებში, სასამართლომ დაუდასტურებლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ოპერაციისას არ ჰქონია ადგილი მცდარ სამედიცინო ქმედებას.

38.5. სასამართლოს ზემოხსენებული მსჯელობისა და დასკვნების საწინააღმდეგოდ, კასატორი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 102-ე მუხლის პირველი ნაწილზე მითითებით, აღნიშნავს, რომ 1007-ე მუხლის დანაწესი არ გულისხმობს მოსარჩელის სრულ გათავისუფლებას მტკიცების ტვირთისაგან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ მოსარჩელის ოჯახის დაჟინებული მოთხოვნით, მკურნალობის პროცესში არსებული დადებითი დინამიკის მიუხედავად, იქნა გადაყვანილი პაციენტი სამედიცინო დაწესებულებიდან თურქეთის ერთ-ერთ კლინიკაში, სადაც გაგრძელდა და დასრულდა მოპასუხის მიერ დაწყებული ოპერაციის შემდგომი თერაპიული მკურნალობა. კასატორის მტკიცებით, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას, პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძვლებზე მსჯელობისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმის სწორად გააზრება, თუ რა ჩაითვლება კლინიკაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანად, ხოლო თუ დადგინდება, რომ ასეთი ზიანი სახეზეა, ამის შემდეგ მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, მიუძღვის თუ არა ბრალი სამედიცინო დაწესებულებას მის დადგომაში. როგორც მოპასუხის მტკიცების ტვირთის სიმძიმის ფარგლების განსაზღვრის, ისე ბრალეულობის საკითხის შეფასებისთვის, მხედველობაშია მისაღები ის უდავო ფაქტი, რომ მედიცინა არ არის ზუსტი მეცნიერება (რაც სამედიცინო საკითხებზე, მათ შორის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტუ-

ლი პაციენტის კონკრეტული დაავადების მკურნალობასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხზე აზრთა მნიშვნელოვან სხვადასხვაობას განაპირობებს) და, ამავდროულად, სამედიცინო დახმარების განხორციელება და სწორი სამედიცინო ქმედებები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს პაციენტის სრულ გამოჯანმრთელებას, რასაც, მთელ რიგ ობიექტურთან ერთად, სუბიექტური მიზეზები და ფაქტორებიც განაპირობებს, მაგალითად, პაციენტის ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი ორგანიზმისა და ანატომიური აგებულების თავისებურებები, დაავადების სიმძიმე, დაავადების პროგრესირების ეტაპი, სტადია და ა.შ. ამავე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გამო, სამედიცინო დახმარება არ გამოირიცხავს ასეთი დახმარების/მკურნალობის უშედეგობას, უარყოფით და ზოგჯერ უმძიმეს შედეგს (პაციენტის გარდაცვალების ჩათვლით) ან სხვადასხვა სახის გართულებებს, რომლებიც, ობიექტურად, სავარაუდოა სამედიცინო დახმარების განხორციელების, განსაკუთრებით კი ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში. გართულებების ალბათობა, მათი რისკი დამოკიდებულია არა მხოლოდ მკურნალობის თუ ქირურგიული ჩარევის სირთულეზე, არამედ იმ სუბიექტურ გარემოებებსა და ფაქტორებზე, რასაც კონკრეტული პაციენტის შემთხვევაში აქვს ადგილი. სასამართლოს მიერ სამედიცინო დახმარების ხარისხის შეფასება (რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს ჯერ სამედიცინო დაწესებულების ბრალის საკითხის განსაზღვრაზე, ხოლო შემდეგ კი გადაწყვეტილების მიღებაზე) უნდა მოხდეს ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ხოლო ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით შეფასება, გულისხმობს იმის დადგენას, სწორად და სამედიცინო პრაქტიკაში დამკვიდრებული და აღიარებული მეთოდით (ხოლო ნორმატივების არსებობისას, ასეთ ნორმატივებთან შესაბამისობით) წარიმართა თუ არა სამედიცინო დახმარების ეტაპები და ხომ არ ჰქონდა ადგილი პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებას. მკურნალობის ხარისხის ობიექტური კრიტერიუმებით შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მკურნალობის პროცესში წარმოშობილი გართულებები, უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად და უალტერნატივოდ არ განაპირობებს სამედიცინო დაწესებულების ბრალეულობას და, შესაბამისად, არ იწვევს სამედიცინო დაწესებულების (სამედიცინო პერსონალის) პასუხისმგებლობას (სხვა შემთხვევაში, ყველა სამედიცინო დაწესებულება (პერსონალი) და, მასთან ერთად, მთლიანად ჯანმრთელობის დაცვის სისტემა უმ-

ძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, კერძოდ, სამედიცინო დაწესებულება (პერსონალი), ერთი მხრივ, ვალდებულია სამედიცინო დახმარება გაუწიოს პაციენტს, და იმავდროულად, სამედიცინო დაწესებულება (პერსონალი) უპირობოდაა პასუხისმგებელი, მათ შორის, მატერიალურად, თუკი სამედიცინო დახმარებას არ მოჰყვება პაციენტის სრული გამოჯანმრთელება. მტკიცების ტვირთის განაწილებისას, დავის კონკრეტულ მხარეზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის პროცესუალური ვალდებულების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრისათვის, მათ შორის, იმისათვის, თუ როგორ უნდა შევაფასოთ საკითხი – შეძლო თუ არა სამედიცინო დაწესებულებამ იმის დამტკიცება, რომ სამედიცინო დახმარებისას, პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანში ბრალი არ მიუძღვის. საკითხი ამგვარადაც შეიძლება დადგეს – უტყუარად უნდა დადგინდეს ის გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო დაწესებულების (პერსონალის) მიერ განხორციელებულმა მცდარმა სამედიცინო ქმედებამ, თუ, პირიქით, სამედიცინო დაწესებულების (პერსონალის) მხრიდან უტყუარად და ერთმნიშვნელოვნად უნდა დამტკიცდეს მისი არაბრალეულობა დამდგარი ზიანის მიმართ (კასატორის მოსაზრებით, ამ აზრს სააპელაციო სასამართლო ავითარებს გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში, რითაც, რეალურად სამედიცინო დაწესებულებისგან ითხოვს, რომ მის მიერ განხორციელებული სამედიცინო დახმარების ხარისხის და ჩატარებული მკურნალობის თითოეული ეტაპის მიმართ გამორიცხული უნდა იყოს ყოველგვარი განსხვავებული სუბიექტური მოსაზრება. მაგალითად, სააპელაციო სასამართლომ უალტერნატივოდ გაიზიარა ექსპერტის გ. შ-ის მოსაზრება, რომელსაც კასატორი აბსურდულს უწოდებს, რომ მოსარჩელისთვის ოპერაციის ჩატარების საკითხის გადანყვეტა უნდა მომხდარიყო არა იმ კლინიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რა მდგომარეობაშიც პაციენტი შემოვიდა სამედიცინო დაწესებულებაში და არა სათანადო ანალიზების შესაბამისად განსაზღვრული კლინიკური დიაგნოზის საფუძველზე, არამედ მხოლოდ მორფოლოგიური კვლევისა და ასეთი კვლევის შედეგად დადგენილი დიაგნოზის საფუძველზე. სასამართლომ საერთოდ უგულვებლყო ამ შემთხვევაში სამედიცინო პერსონალის მიერ პაციენტისთვის სამედიცინო დახმარების მეთოდის განსაზღვრის ობიექტური კრიტერიუმები. საქმეში არსებული არც ერთი სხვა მტკიცებულება არ შეიცავს მითითებას ან თუნდაც მოსაზრებას, რომ სამედიცინო პერსონალი მორფოლოგიური კვლევის შედეგებს უნდა დალოდებოდა, ვიდრე ქირურგიული ჩარევის შესახებ გადანყვე-

ტილებას მიიღებდა. და ეს ბუნებრივიცაა – მორფოლოგიური კვლევის შედეგები რამდენიმე დღეს (6-8 დღე) საჭიროებს, ხოლო პაციენტის მწვავე კლინიკური სურათის და სათანადო ანალიზების საფუძველზე გაკეთებული კლინიკური დიაგნოზის არსებობის მიუხედავად, მორფოლოგიური კვლევის შედეგების ლოდინი სამედიცინო დახმარების გასაწევად, მათ შორის, ქირურგიული ჩარევის საკითხის გადასაწყვეტად, პაციენტის უფლებების დარღვევა, მის მიმართ უყურადღებობა და სამედიცინო პერსონალის მხრიდან უმოქმედობა იქნებოდა, თავისი შესაძლო უარყოფითი ან, სულაც, ფატალური შედეგებით).

38.6. სასამართლომ სსკ-ის 1007-ე მუხლი არასწორად განმარტა, მტკიცების ტვირთი არათუ მთლიანად მოპასუხეს (კასატორს) დააკისრა, არამედ მტკიცების სიმძიმის ხარისხი იმგვარად განსაზღვრა, რომ მოპასუხეს დააკისრა მისი ბრალეულობის ერთმნიშვნელოვნად გამორიცხვის პროცესუალური ვალდებულება იმ პირობებში, როდესაც საქმე შეეხება მედიცინას და სამედიცინო დახმარებას, ხოლო განხორციელებული სამედიცინო დახმარების/მკურნალობის ხარისხის შეფასებისას, არასოდესაა გამორიცხული განსხვავებული სუბიექტური მოსაზრებების არსებობა. სასამართლომ, სსკ-ის 105-ე მუხლის დანაწესისა და დისპოზიციურობის პრინციპის საწინააღმდეგოდ, სწორედ ერთ მტკიცებულებაზე – მოსარჩელის მიერ წარდგენილ დასკვნაზე დაყრდნობით და, პრაქტიკულად, ყველა სხვა მტკიცებულების უგულებელყოფით გამოიტანა დასკვნები, რის შედეგადაც სასამართლომ მოპასუხე ბრალეულად მიიჩნია მოსარჩელის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის დადგომაში.

38.7. კასატორი უთითებს კლინიკაში სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად შესვლის მომენტიდან, პაციენტისათვის ჩატარებულ კვლევებსა და მკურნალობაზე (იხ. საკასაციო საჩივარი) და აღნიშნავს, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი შემდეგი დასკვნების შესაძლებლობას იძლევა: კალკულოზური ქოლეცისტიტი – დაავადება, რის გამოც მოსარჩელემ მიმართა მოპასუხეს, აღარ არსებობს განხორციელებული ქირურგიული ჩარევის (პირველი ოპერაცია, 08.11.2012 წ.) შედეგად. პირველი ოპერაციის შემდგომი გართულება, ბუნებრივია, არასასურველი იყო და ამან გაართულა პაციენტის მდგომარეობა. თუმცა, იმავე სამედიცინო დანესებულებაში ჩატარებული მომდევნო მკურნალობის (მათ შორის, ორი ეტაპისგან შემდგარი ქირურგიული ჩარევა 09.11.2012 წ. და 11.11.2012 წ.) შედეგად, პირველი ოპერაციის შედეგად განვითარებული გართულება (ნაღ-

ველდენა პერიტონუმის ღრუში) დაძლეულ იქნა და აღნიშნული დასტურდება არა მხოლოდ მოპასუხის სამედიცინო დოკუმენტაციით და საქმეში არსებული სხვადასხვა, მათ შორის, მოსარჩელის მიერვე წარმოდგენილი, საექსპერტო დასკვნებით, არამედ, ასევე, მოსარჩელის მიერვე თურქეთის კლინიკიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით, რომლის მიხედვითაც ნაღველდენა მუცლის ღრუში აღარ გრძელდებოდა და პაციენტს გაუგრძელდა თერაპიული მკურნალობა (ის მკურნალობა, რაც მოპასუხის კლინიკაში უკვე უტარდებოდა პაციენტს გაუგრძელდებოდა, პაციენტი თურქეთში რომ არ გადაეყვანათ). მამასადამე, პირველი ოპერაციის შემდგომი გართულება დაძლეულ იქნა სწორედ მოპასუხის მიერ განხორციელებული სწორი ადეკვატური სამედიცინო დახმარების შედეგად. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება და მისი სწორი შეფასება უმნიშვნელოვანესია იმის დასადგენად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის პროცესში გართულების წარმოშობისას, თუნდაც ამ გართულების წარმოშობაში სამედიცინო დაწესებულების ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში, გართულების ამავდროულად სამედიცინო დაწესებულების მიერ აღმოფხვრა რამდენად შეიძლება შეფასდეს ზიანად, რომელიც ანაზღაურებას ექვემდებარება (მოპასუხისთვის მოსარჩელეს არ გადაუხდია მკურნალობის საფასური) და რამდენად შეიძლება თურქეთში პაციენტის გადაყვანა მხოლოდ მისი ოჯახის წევრების ინიციატივით (ასეთი გადაყვანის აუცილებლობის არარსებობის პირობებში – პაციენტის სხვა სამედიცინო დაწესებულებაში, მათ შორის, უცხოეთში გადაყვანის აუცილებლობის განსაზღვრის და განხორციელების წესს კანონი ადგენს) და იქ მკურნალობის გაგრძელება მიჩნეულ იქნეს მოპასუხისათვის თურქეთში გაგრძელებული მკურნალობის ხარჯების სახით ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლად.

38.8. კასატორს დაუშვებლად მიაჩნია, მრავალი მტკიცებულების არსებობის პირობებში, სასამართლო ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას და დასკვნების გამოტანისას, დაეყრდნოს მხოლოდ ერთ კონკრეტულ მტკიცებულებას, მოცემულ შემთხვევაში, დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრის დასკვნას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმეში არსებული ყველა სხვა მტკიცებულება (ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნა, ინვაზიურ ქირურგთა ასოციაციის რეცენზია, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთან არსებული სპეციალური ორგანოს – პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომის ოქმი, მსოფლიოში ცნობილი, დიდი ბრიტანეთის

ერთ-ერთი საუკეთესო ქირურგის, დიდი ბრიტანეთის NHS ჯანდაცვის იმპერიული კოლეჯის ლეიძლის, ბილიარული და პანკრიატული სამსახურის დირექტორის, პროფესორ ნ. ჰ-ის დასკვნა და ა.შ.) ერთმნიშვნელოვნად და არსებითად განსხვავებულია მისგან სამედიცინო დახმარების ხარისხის შეფასების კუთხით. იმავდროულად, მხოლოდ ერთი კონკრეტული მტკიცებულება არ ქმნის საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ მოპასუხეზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი და პროცესუალური ვალდებულება შეუსრულებლად იქნეს მიჩნეული, ხოლო მოპასუხის ბრალეულობა დადასტურებულად ჩაითვალოს. დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრის ხსენებული დასკვნა, არათუ არასაკმარისი, არამედ სრულიად არასარწმუნოა და, შესაბამისად, არასწორია გასაჩივრებული გადაწყვეტილების უმთავრესად სწორედ ამ დასკვნაზე დაფუძნება.

38.9. სასამართლომ დადგენილ გარემოებად მიიჩნია, რომ სამედიცინო დაწესებულებამ არასწორად დასვა დიაგნოზი და, შესაბამისად, ეჭვქვეშ დგება სასწრაფო ქირურგიული ჩარევის სისწორე და ადეკვატურობა. კასატორი უთითებს პირველ ინსტანციაში საქმის ზეპირ სხდომაზე განხილვისას მონვეულ ექსპერტთა განმარტებებზე და ერთ-ერთი მათგანის (გ. შ-ძე) კომპეტენციის ნაკლებობაზე აპელირებს, რაც კასატორის მოსაზრებით, გამოვლინდა საქალაქო სასამართლოს და მხარეთა მიერ უშუალოდ სპეციალისტისათვის დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებით. კასატორი აღნიშნავს, რომ საქალაქო სასამართლომ, სპეციალისტის ზეპირი განმარტებების და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ობიექტური შეფასების საფუძველზე, მართებულად არ გაიზიარა მისი მოსაზრებები დიაგნოსტიკებისა და გადაუდებელი ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილების სისწორის შეფასებისას. სააპელაციო სასამართლომ კი უპირობოდ გაიზიარა ამ სპეციალისტის ზემოაღნიშნული დაუსაბუთებელი მოსაზრება და არ იმსჯელა იმაზე, რომ საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, რაც ზემოთ აღინიშნა, გადაუდებელი ქირურგიული ჩარევის შესახებ გადაწყვეტილება, მოცემული მწვავე კლინიკური სურათის პირობებში, სწორ, გამართლებულ და ადეკვატურ გადაწყვეტილებადაა მიჩნეული. კასატორი აღნიშნავს, რომ არცერთ ექსპერტს არ მიუჩნევია, რომ სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტის შეყვანისას დასმული დიაგნოზი არ შეესაბამებოდა პაციენტის მწვავე კლინიკურ სურათს და ჩატარებული ანალიზების შედეგებს; არ მიუჩნევია, რომ გადაუდებელი ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილება არასწორი და არაადეკვატური იყო მოცემულ კონკრეტულ

შემთხვევაში; არ მიუჩნევია, რომ მორფოლოგიური კვლევის შედეგად დასმული ქრონიკული კალკულოზური დიაგნოზი გამოირიცხავდა იმ გადანყვეტილებას, რაც სამედიცინო პერსონალმა მიიღო. პირიქით, ინვაზიურ ქირურგთა ასოციაციის რეცენზიაში აღნიშნულია, რომ პირველი (ანუ გადაუდებელი) ოპერაციის ჩვენება განსაზღვრული იყო ადეკვატურად. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში მითითებულია, რომ პაციენტის ჰოსპიტალიზაციისას დიაგნოსტიკური ღონისძიებები იყო ადეკვატური. პროფესიული განვითარების საბჭოს 2014 წლის 7 თებერვლის №2 სხდომის ოქმით არ დადგენილა, რომ არ იყო სასწრაფო ოპერაციული ჩარევის ჩვენება ან ის გარემოება, რომ მკურნალობის სხვა მეთოდი იქნებოდა უფრო სწორი ან გამართლებული.

38.10. კასატორი გასაჩივრებული გადანყვეტილების მსჯელობას აკრიტიკებს, რომელიც ოპერაციის ოქმს (პროტოკოლს) ეხება (იხ. საკასაციო საჩივარი).

38.11. კასატორი ასევე აკრიტიკებს გასაჩივრებულ გადანყვეტილებას მოპასუხისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების თვალსაზრისითაც და აღნიშნავს, რომ:

ა) 2013 წლის 28 ივნისით დათარიღებული თურქული კლინიკის ინვოისი 60 000 ევროზე არის არა ჩატარებული, არამედ დაგეგმილი მკურნალობის თაობაზე შედგენილი ინვოისია, რომელიც წინასწარ გაუგზავნეს პაციენტს, ხოლო საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, თუ კონკრეტულად რა დაავადების მკურნალობის მიზნითაა იგი გაცემული;

ბ) დაუსაბუთებელია სასამართლოს პოზიცია მოსარჩელის ვაჟის მიერ გადახდილი 8755 ევროს მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, რადგან სასამართლოს ისიც კი არ დაუდგენია, რომ კონკრეტული პირი პაციენტის შვილია. ამ საკითხზე კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს (იხ.საკასაციო საჩივარი).

გ) სასამართლომ არ შეაფასა თავად პაციენტის მიერ წარდგენილი მტკიცებულება – ვიდეორეპორტაჟის ჩანაწერი, სადაც მოსარჩელე საუბრობს, რომ მას დაეხმარნენ, მისი მკურნალობის ყველა ხარჯი სხვა პირებმა გადაიხადეს, რაც პროცესულურად მოსარჩელის ახსნა-განმარტებაა და თუნდაც მართო ეს ასაბუთებს, რომ ზემოხსენებული 60 000 ევროს დავალიანება, თურქული კლინიკისადმი, მოსარჩელეს არ გააჩნია. იგივე განმარტება იმასაც გულისხმობს, რომ თუნდაც მოპასუხის ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში, მოსარჩელის მკურნალობის ყველა ხარჯი გაღებულია სხვადასხვა სახელმწი-

ფო თუ კერძო ორგანიზაციების საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში, ასევე, კერძო პირების მიერ, რომელთა დაკისრება მოპასუხისთვის და, სასამართლოს მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილება, უსაფუძვლო იყო.

38.12 კასატორს მიაჩნია, რომ როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურება მოპასუხეს არ უნდა დაეკისროს, რადგან კლინიკის მიერ განუული სამედიცინო დახმარების არც ერთ ეტაპზე ადგილი არ ჰქონია მცდარ სამედიცინო ქმედებას და შესაბამისად, მოპასუხეს არ მიუძღვის ბრალი მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანებაში.

39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში, სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამონმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ სამედიცინო დაწესებულების საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშვებელია, შემდეგ გარემოებათა გამო:

40. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადანყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადანყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

41. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

42. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სა-

სამართლოს გადანყვევტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვევტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან, კონკრეტულ გადანყვევტილებებზე მითითებულია ქვემოთ პუნქტებში მსჯელობისა.

43. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადანყვევტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

44. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვები რომც ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენიათ.

45. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს შემდეგს:

45.1. განსახილველ შემთხვევაში პაციენტი დავობს კლინიკის მიერ არასწორად დასმული დიაგნოზისა და, მკურნალობის შედეგად, ჯანმრთელობისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ პაციენტის მკურნალობისას ადგილი ჰქონდა მცდარ სამედიცინო ქმედებას, რაც მისთვის მატერიალური და მორალური ზიანის დაკისრების საფუძველი გახდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს კვლევის საგანს წარმოადგენს კასატორის პრეტენზიების შეფასება, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, კლინიკის პერსონალის მიერ განხორციელებულ, მცდარ სამედიცინო ქმედებას ეხება.

45.2. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის საჩივარში მითითებული პრეტენზიები ვერ აბათილებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების თაობაზე.

45.3. საკასაციო სასამართლოს, განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად მიაჩნია სადავო ურთიერთობისადმი სსკ-ის 1007-ე მუხლის მისადაგება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოხმობილი ნორმის მიხედვით, მტკიცების ტვირთი აკისრია სამედიცინო დაწესებულებას ანუ მან უნდა ამტკიცოს, რომ ზიანი მისი ქმედების შედეგად არ დამდგარა. დასახელებული ნორმის დეფინიციის მიხედვით, ცალსახადაა განსაზღვრული, რომ „არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი აწევს სამედიცინო დაწესებულებას. ასეთ დროს, პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტის არსებობა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და საწინააღმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულებამ უნდა განახორციელოს“ (იხ. სუსგ №ას-260-244-2014, 28.05.2014წ.). საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, არასწორი დიაგნოზის დასმა გახდა წინაპირობა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გასატარებელი შემდგომი სამედიცინო კვლევების, ღონისძიებებისა და დამატებითი ოპერაციული ჩარევებისათვის. არასწორი დიაგნოსტიკა, ჯანმრთელობის დაცვის კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განიმარტება, ხოლო ამავე კანონის „ტ“ ქვეპუნქტით, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, განმარტებულია, როგორც სამედიცინო დახმარება, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება; ასევე დადგენილი ფაქტია, რომ მოსარჩელე სწორედ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროებით იქნა მიყვანილი მოპასუხე კლინიკაში (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი), შესაბამისად, მისთვის დასმული დიაგნოზი და შემდგომი სამედიცინო დახმარება უნდა გადაწყვეტილიყო სწორედ იმ ფაქტის შეფასებით, რომ მოცულ შემთხვევაში, გადაუდებელი ოპერაციის ჩატარების გარეშე, გარდაუვალი იქნებოდა პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება. სადავო შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულების მტკიცების ტვირთი იყო, დაემტკიცებინა, რომ მან ყველა მართლზომიერი საექიმო ქმედებები გამოიყენა პაციენტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის, სწორედ ამ მსჯელობას

ავითარებს სააპელაციო სასამართლო და ისე გამოაქვს დასკვნები (იხ.სუსგ №ას-714-677-2013, 09.01.2014წ.).

45.4. კასატორის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლოს განხილვისა და შეფასების საგანია, არა მარტო დამოუკიდებელ ექსპერტთა ცენტრის, არამედ საქმის მასალებში არსებული ინვაზიურ ქირურგთა ასოციაციის, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ღვიძლის ბილიარული და პანკრიატიული სამსახურის დირექტორის პროფესორ ნ. ჰ-ის და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნები, ბოლო ორი მათგანი, ყურადღებას ამახვილებს ჩატარებული კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევის მიხედვით დადგენილი დიაგნოზის ადეკვატურობაზე, თუმცა, არც ერთი არ შეიცავს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფაქტობრივად ამოკვეთილი ნაღვლის ბუშტის მორფოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა დასმული დიაგნოზის უსწორობა, და რამდენად იყო შესაძლებელი ექიმების ხელთ არსებული საშუალებებით, ტექნოლოგიებით მისი გამორიცხვა. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ოპერაციის ტექნიკურად სწორად ჩატარების თაობაზე დასმულ კითხვას არ პასუხობს (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება).

45.5. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელზეც კასატორი აპელირებს, პაციენტისათვის არასწორი დიაგნოზის დადგენაა, რამაც განაპირობა სასწრაფო ოპერაციის ჩატარება და პოსტოპერაციული გართულებები. კერძოდ, იმის ზუსტი განსაზღვრა, პაციენტს აღენიშნებოდა მწვავე თუ ქრონიკული ქოლეციტი, რადგან მოსალოდნელი პოსტოპერაციული გართულებების ალბათობა ამ შემთხვევაში სხვადასხვაგვარი იყო. სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებაში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, თითოეული ამ კომპონენტის თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. იმავე პირობების არსებობას მოითხოვს სსკ-ის კოდექსის 1007-ე მუხლი: „ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია, დადგინდეს საქმიანობის შეცდომა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კა-

ნონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ექიმის პროფესიულ შეცდომად აღარ ჩაითვლება“. (იხ. სუსგ №ას-247-237-2013, 01.07.2013წ.)

45.6. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, კლინიკაში არსებული მაღალტექნოლოგიური კვლევის შესაძლებლობის ხელმისაწვდომობასა და კონკრეტული პაციენტის ზუსტ დიაგნოსტიკაზე, რაც არსებითად ცვლის მკურნალობის გეგმას, შესაბამისად, მნიშვნელოვნად ამცირებს მოსალოდნელი გართულების ალბათობას, სამედიცინო პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა მაქსიმალურად იქნეს დაზღვეული რისკები. აღნიშნული მსჯელობა თანმიმდევრული, კანონიერი და დასაბუთებულია (იხ. ამ განჩინების 25-26 პუნქტები).

45.7. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის არასრულყოფილება, კერძოდ, ოპერაციის ოქმის სიმწირე გავლენას არ ახდენს განუვლი სამედიცინო დახმარების ხარისხზე (იხ. ამ განჩინების 38.10 ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ოპერაციის პროტოკოლის არარსებობა, თავის მხრივ, პირდაპირ ადასტურებს მის არასწორ მიმდინარეობას. ოპერაციის ოქმი, დეტალურად აფიქსირებს ოპერაციის მსვლელობას, ასახავს მის მიმდინარეობას, ქმნის ზუსტ სურათს და იძლევა ამომწურავ ინფორმაციას ჩატარებული სამედიცინო ღონისძიების შესახებ, შესაბამისად იმ შემთხვევაში როცა ოქმი არაა დეტალური, ინფორმაცია ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ არაზუსტია, რაც სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასებას შეუძლებელს ხდის.

45.8. კასატორის განმარტებით, პირველი ოპერაციის შემდგომი გართულება დაძლეულ იქნა სწორედ მოპასუხის მიერ განხორციელებული სწორი ადეკვატური სამედიცინო დახმარების შედეგად. საკასაციო სასამართლო სამართლებრივად დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის დასკვნას, რომ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის პროცესში გართულების წარმოშობისას, თუნდაც ამ გართულების წარმოშობაში სამე-

დიცინო დანესებულების ბრალეულობა დადასტურდეს, გართულების ამავე სამედიცინო დანესებულების მიერ აღმოფხვრა შეიძლება თუ არა შეფასდეს ზიანად. კასატორის აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელია, ისევე, როგორც მისი პრეტენზია, იმის თაობაზე, რომ მთლიანად ჯანმრთელობის დაცვის სისტემა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუკი მიჩნეული იქნება, რომ სამედიცინო დანესებულება (პერსონალი) უპირობოდაა პასუხისმგებელი, მათ შორის, მატერიალურად, თუკი სამედიცინო დახმარებას არ მოჰყვა პაციენტის სრული გამოჯანმრთელება. კასატორის პრეტენზიები დაუსაბუთებელია, რადგან საექიმო საქმიანობის დამოუკიდებლობის პრინციპი ისევეა აღიარებული კანონით, როგორც პაციენტის უფლება, მიიღოს ადეკვატური, განვითარების შესატყვისი სტანდარტის სამედიცინო მომსახურება. სადავო საკითხი ეხება არასწორი დიაგნოსტიკის შედეგად წარმოშობილ გართულებებს, რამაც გამოიწვია რამდენიმე ქირურგიული ჩარევა, შესაბამისად, პაციენტის სასარგებლოდ, დაკისრებული მორალური ზიანი, ასევე, გონივრულად და სამართლიანად განსაზღვრა სასამართლომ, რის გამოც, კასატორის პრეტენზია ამ თვალსაზრისითაც დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

45.9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოკვლეული ფაქტებისა და შესაბამისი მტკიცებულებების ერთობლიობით, დადასტურებულია მცდარი სამედიცინო ქმედების ჩადენა, რაც მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, პაციენტის მოთხოვნის დაკმაყოფილების დასაბუთებული და კანონიერი საფუძველია. სამედიცინო დანესებულებამ ვერ შეძლო, დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულებებით გაებათილებინა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები, რის გამოც, სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3 მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „მ-ის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი,

დარჩეს განუხილველად;

2. შპს „მ-ას“ (ს/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 8 000 ლარის (საკრედიტო საგადახდო დავალება №1, გადახდის თარიღი 2015 წლის 19 ოქტომბერი), 70% – 5 600 (ხუთი ათას ექვსასი) ლარი;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიეპელი

1. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი	
1.1 საზიარო უფლებები	
საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას	3
1.2 უსაფუძვლო გამდიდრება	
ვითომ-კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები	17
სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები ...	28
სხვის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგები	41
2. დელიქტური ვალდებულებანი	
ზიანის ანაზღაურება	56; 81
სოლიდარული პასუხისმგებლობა	
მიყენებული ზიანისათვის	105
სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის	
შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება	117
სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული	
ზიანის ანაზღაურება	131; 163
სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული	
ზიანის ანაზღაურება	163